

# ლიტერატურული გაზეთი

№19 (299) 15 - 28 ოქტომბერი 2021

ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევით

ფასი 80 თეთრი

## პროზა

ნათია როსტიაშვილი

### სხვა სკოლა

ფრაგმენტი  
მომავალი რომანიდან

ელექტრონული საბუთი

წერილი მოვიდა! დანარჩენი წერილებით ფურცელზე დაწერილი და კონვერტში ჩადებული კი არა — ელექტრონული! უფრო სწორად, წერილი კი არა, საბუთია.

მე ვერე ძალიან გახარებული მამაჩემი და დედაჩემი, მგონი, არასდროს მინახავს. ორივეს რო ერთდროულად უხაროდეს რამე, ეგ კიდევ, მგონის გარეშე — არასდროს.

მაგათი გაჩახჩახებული ოთახის ფანჯარას ჩაბნელებული სამზარეულოდან ვუყურებ და სიბნელებში ჩადგმული განათებული ფანჯრიდან კიდევ ისე ჩანს, თითქოს, ეს ყველაფერი მართლა კი არ ხდება, ტელევიზორში გადის. ვხედავ, როგორ ზის მამა თავის მაგიდასთან და კომპიუტერის მონიტორზე გახსნილ წერილს ისე მისჩერებია, თვალებს საერთოდ არ ახამხამებს. დაჰიპნოზებულივით. შეიძლება თვალეში წრეებიც უტრიალებს, როგორც მულტიფლემებშია. დედა კიდევ ზურგიდან ეხუტება და თავზე კოცნის. თან თვალებს ხშირ-ხშირად ახამხამებს. ალბათ — ორივეს მაგივრად. ოღონდ დედას თვალეში, წრეების მაგივრად, ცრემლები აქვს. ოღონდ, ეს ცრემლი, ზუსტად ვიცი, რო სიხარულისაა.

საერთოდ, დედაჩემს სამი მიზეზით ეტირება: 1. თუ წერვიულობს; 2. თუ უხარია; 3. თუ არც წერვიულობს და არც უხარია. ანუ თითქმის ყოველთვის, მაგრამ მე დედას სამივე სახეობის ცრემლს ეგრევე ვცნობ. არ არსებობს, ერთმანეთში ამერიოს. ამაში მართლა სუპერმენი ვარ.

II-III

### განაწილება

ამირან არაბული

სულუქციკრად  
საკითხავნი

X-XI

სოსო მეშველიანი

ქართულ წარწერას  
ბადაწყდები...

XII-XIII

### გაზეთია

როსტომ ჩხეიძე

როგორ შევქალებ გავაქცე,  
უფალო?

XIII-XIV



## პოეზია

დოდო ჭუმბურიძე

\*\*\*

გული მიკვდება, ვინათგან  
ყოფა გადიქცა ჰარემად,  
ამ ჩიტმა იცის, რას ვფიქრობ,  
ამ ხემ და ამ მდინარემაც,  
მარტო ეს ფიქრი მამდიდრებს,  
მავეწყებს ქვეყნის არევისას,  
უფალი უნდა ვადიდო,  
უნდა ვეახლო ბარემაც...

IV-VI

ლელა სამნიაშვილი

ოლიმპიადა

სამყაროს ოთახს ვინ დააღებებს,  
ბატონ-პატრონი როცა მტვერია  
და მტვერის მაჯებს და თითის ფალანგებს  
თავისი ძვლები დაუმტვერეია  
ყველა კენჭით და ასტეროიდიტ.  
ჩვენ კი ვუმართავთ ოლიმპიადებს  
საკუთარ თვალებს, ვავსებთ მოედნებს,  
რომ დავინახოთ რამე დიადი —  
ილეთი, თუნდაც მცირე რეკორდით  
გავცდეთ ჩვენს თავებს. ვირჩევთ ფალანგებს  
და ბოლო წამი ისევ ექოა —  
გამარჯვებულებს რომ აავადებს  
ოქროთი, ხოლო დამარცხებულებს  
სულ წყალში უყრის, რაც უწვლიათ  
ბოლო წამამდე, თითქოს ვერცხლიც კი  
ქვიშაა, თითქოს ერთი წამია —  
რაც აინონის მთელ დროს — მანამდე  
და წამის გარდა — ქრება უკვალოდ,  
რაც იყო, თუნდაც თავს ვუმალავდეთ,  
რომ ძველ თავებსაც თავი ვუკარით  
მტვერში — ამ ერთი წამის იმედით,  
ბოლო იმედით თან რომ წაიღო,  
თითქოს ფალანგის ყველა ილეთი  
გადაღეჭილი მითი არ იყოს.

VIII

### თარგმანი

რიხარდ დემელი

პეტერ ჰუხელი

პაულ ცელანი

ინგებორგ ბახმანი

ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი

თარგმანი ნიკა ჯორჯანელია

XV

რაინერ მარია რილკე

თარგმანი ირმა შიოლაშვილია

XVI



ნატო ინგოროყვა

მურმურაცია

ნუ დაუყრი საკენკს ბელურებს —  
მისაყვედურა მეზობელმა,  
როცა პურის ნამცეცები  
ჩვენს საერთო ღობეს გასცდა,  
მის ეზოში დაცვივდა.

გინახავთ, როგორ ცეკვავენ ბელურები? —  
სიტყვა ბანზე ავუგდე.

ვიცი, თბილ ქვეყნებში არ მიფრინავენ.  
მიპასუხა და ფიქრი სადღაც გაექცა.

გუნდებად დაფრინავენ, —  
ვთქვი ისე, თითქოს თავი ვიმართლე.

ფრენისას უცნაურ ფორმებს ქმნიან,  
დაუჯერებელს,  
თავისებური წესრიგით,  
რომელსაც არასოდეს არღვევენ —

სინათლე ყველას თანაბრად ეფინება,  
ჩრდილში არავინ რჩება.

ასე გადარჩებიან, —  
ვუთხარი და ფიქრი შემოვუბრუნე.

VIII-IX

დიანა ანფიმიადი

დამნაშავე

დამნაშავეა, რომ მოკვდა,  
მოკვდა არეულ სანოლში,  
თავი გვერდზე გადაადგო და, ღმერთო ჩემო,  
პირლია მოკვდა. რა სირცხვილია!  
არც ოთახი მიაწესრიგა,  
არც ჭურჭელი დარეცხა,  
წარმოიდგინე, საფერფლეც კი სავსე დატოვა,  
და ეს მტვერი თაროებზე?  
არც ფოტოები წაუშლია ტელეფონიდან,  
ისეთი, ცოტა უხერხული,  
არც წერილები,  
ან ეს შიშვლად სიკვდილი,  
რა უპატივცემულობაა,  
რა სირცხვილია!  
არც ცოლს შეურიგდა,  
არც ვალები გადაიხადა,  
ან განვადება და კრედიტი,  
არც მეზობელს ჩაუტანა ლიფტის ფული,  
სადარბაზოს საკეტის ფული,  
სარეცხი მაინც გაერეცხა  
ან თუ გაშრა, შემოეტანა.  
არც პროფესიულ წარმატებას მიაღწია,  
არც სტარტაპერი გახდა,  
ბლოგერი ან ინფლუენსერი,  
მაინც როგორ უნდა მოახერხო ასე სიკვდილი,  
რას იფიქრებენ?  
როგორ არ შერცხვა?  
წვერი მაინც გაეპარსა,  
თმა დაევარცხნა,  
სანამ ნაცემი მოკვდებოდა  
ტკივილისგან,  
ღამით და მარტო.

IX



დასაწყისი პირველ გვერდზე

ხომ მივჩნევთ ამით ეგრე და უცებ ვიგრძენი, რომ მამაც დედასავით ძალიან შემეყვარა. ვდგავარ, ვუყურებ და მსიამოვნებას, რომ ორივენი ეგრე ტოლად მიყვარან, მაგრამ მამაჩემმა, რა თქმა უნდა, ყველაფერი გააფუჭა. წამოხტა, „ტელევიზორიდან“ გამოვარდა, სამზარეულო გადაჭრა, გავარდა გარეთ, კიბეზე ჩაირბინა, გაიარა ეზო, გამოალო ჩვენი ხის ჭიშკარი და ზედ მიმაგრებული რკინის საფოსტო ყუთი ისე საზეიმოდ ააგლიჯა, გულში ალბათ ტამიცი დაუროს თავის თავს.

კი გავეციოდე, რო ხელი შემემალა, მაგრამ როცა მივედი, ვერაფერიც ვერ ვთქვი. სულ ეგრე მემართება — ან საერთოდ ხმას ვერ ვიღებ, ან რამე ისეთს ვამბობ, ჯობდა, ხმა არ ამომელო.

რა მიხვედრა ამას უნდა — ეს საბუთი თუ წერილი უკვე ელექტრონული ფოსტით მოვიდა და ეს ყუთი აღარაფერში სჭირდება. მე კიდევ ეს ყუთი ყუთივით კი არა, ადამიანისთვის მიყვარს. პატარა რო ვიყავი, აქედან ვიღებდი მსოფლიოში ყველაზე ლამაზი გოგონების მონერილ ბარათებს, სადაც სულ ჩემი ქება ეწერა და კიდევ ეს: „ლეო, შენ ნამდვილი სუპერმენი ხარ!“ მოკლედ, იდეალური წერილები იყო. მართლა. ერთადერთი მინუსი ჰქონდა — სინამდვილეში ამ წერილებს გოგონები კი არ მწერდნენ, მე ვუნერდი ჩემს თავს. თითქოს ხომ სევდიანი ამბავია, არა? მაგრამ თან ძალიან სახალისოც. ერთი უშუალოდ მქონდა მოფიქრებული: ხომ მივწერდი ჩემს თავს წერილს, ვთქვით ანასგან. როგორც კი ამ ყუთში ჩავაგდებდი, ეგრევე ვივინყებდი. აი, უბრალოდ ვივინყებდი, რო დავწერე და ჩავაგდე. იმიტომ, რო მერე „წერილის მიღებისას“ ნამდვილი სიხარულსმავგარი რაღაც მართლა მეგრძნო. ასე, რაღაცების გამოგონება და დაჯერება ძალიან კარგად გამომდის და ხან ნამდვილად რაც ხდება, იმაზეც მგონია ხოლმე, რო არაა ნამდვილი, ან არ მინდა, რო ნამდვილი იყოს და ვიჯერებ, რო მოგონილია.

მოკლედ, საფოსტო ყუთის ამბავი დამთავრდა. დღეიდან აღარაფერი აღარ იქნება ძველებურად იმ რაღაც ჯანდაბა საბუთის გამო. ასეთი საზოგადოებრივი მაცქვს — როგორც კი ვწერვიულობ, ცრემლები მომდის, მაგრამ ბიჭი ვარ და არ შეიძლება, მამაჩემი როცა მხედავს, მაშინ კიდევ უფრო მეტად არ შეიძლება და ამიტომ ვიკავებ. კიდევ კარგი, შეკავება მაინც შემიძლია და კიდევ კარგი, რო დედაჩემი ქალია, თორემ კაცი რო იყოს, მაგდენი, სამი სახეობის, ცრემლი რანაირად უნდა შეეკავებინა, წარმოადგენა არ მაცქვს.

ერთხელ ჩემმა ძმაცაცმა ნიკომ მითხრა, არასდროს მიტირიაო. „ტირილი რა არის — არ ვიცი“ — ზუსტად ასე თქვა. ხან ძალიან მომინდება ხოლმე, ლეოს მაგივრად ნიკო ვიყო, მაგრამ მაინც ლეო ვარ. ასეთი რამეები არჩევით არაა.

დედამ კიბეები ჩამოიშრინა და ჩვენთან მოვიდა თუ არა, მამამ ისეთი სიამაყით გაჰკრა ფეხი ძირს მიგდებულ საფოსტო ყუთს, თითქოს მამა კი არა, მონადირეა, დინოზავრი მოკლა და ტყიდან სახლამდე სულ ზურგით მოათრია.

მე ცრემლი ისევ შევიკავე და თვალე-ბთან ერთად პირიც მაგრად მოვეკუმე.

— კარგი, რაა, რობი, რა სულსწრაფობა იყო ამის ჩამოგლეჯა?..

მამას უთხრა დედამ და თვალეები რო გავახილე, იმ თავის სიხარულისგან დასველებულ თვალებში უკვე მეორენაირი ცრემლი ჰქონდა გაშვებული. ხომ ვთქვი, ეგეთებს ეგრევე ვატყობ ხოლმე.

— თუ გინდა, მერე ამას შენს ოთახში ჩამოვიკიდებთ, ლეო, არ იდარდო.

ეს მითხრა თუ არა, წკაპ! მამას თვალეების ნათურა ეგრევე ჩაუქრა და ელვა აენტო.

— შეგიძლია, კარგად გაიარო?! ძლივს საბუთი მივიღეთ, ძლივს ახალ სოციალურ საფეხურზე გადავედით! როგორც იქნა, წარმატებულ ხალხში გარევის საშუალება გვეძლევა! დროა, ძველმოდური, უსარგებლო, დრომოჭმული ნივთებისგან განვთავისუფლდეთ! რაც შეეხება ამ ბავშვს... მე აქეთ მხარეს ვიყურები, მაგისკენ არა. ნიკოს სახლისკენ გზას ვუყურებ, მაგრამ ხომ ვიცი, რო თითი აქვს ჩემსკენ გამოშვებული და მე კიდევ ოლონდ ჩემკენ თითს ნუ გამოიშვებ და თუ გინდა, ბაყაყის გულღვიძლის კატელტს შევჭამ.

— ეს ბავშვი სამკურნალოა, ელზა! მეც ვიყავი მაგის ტოლი და ეგრე უაზროდ გული არ მიჩუყდებოდა ჟანგიან ნივთებზე და მკვდარ პეპლებზე! ბიჭი ეგრე გულწვილი იყოს — ნორმალური ამბავი არაა! მეც ვიყავი მაგის ტოლი და ეგრე უაზროდ გული არ მიჩუყდებოდა. მეც ვიყავი მაგის ტოლი და ეგრე უაზროდ გული არ მიჩუყდებოდა!

— რობი! — დედამ თვალეები დაუქაჩა.

— დღეიდან ამ სახლში ახალი ცხოვრება იწყება, ელზა, მორჩა! ახალი ცხოვრება ახალი კანონებით! ახალი ცხოვრება ახალი კანონებით!

როცა წერვიულობს, ყოველთვის ეგრე ორ-ორჯერ იმეორებს.

ქუჩის მხრიდან რო ხის გრძელი სკამი გვიდგას, იმაზე ჩამოჯდა. დედამ ძირს მიგდებული ყუთი აიღო და მიიხუტა. ასე მგონია, ორივეს წინაშე ბოლიში უნდა მოვიხალო, ოლონდ რისთვის — არ ვიცი.

მამამ სიგარეტს მოუკიდა.

— ჰო, რაც შეეხება ამ ბავშვს, სამშობათიდან საუკეთესო სკოლაში გადავიყვან.



ეყოფა იმ ლატაკი სოფის კლასში ჩამყავება. მაგ ქალის და მაგ სკოლის გამოშტერებულია ეს!

სოფი ჩემი მასწავლებელია, მსოფლიოში საუკეთესო. სკოლა ცოტა ჩამონგრეული კია, მაგრამ მერე რაა-რო?!

— ნავალ, სადილს გვაკეთებ, — თქვა დედამ და წელან მამა რო გარეთ გამოვარდა, ეგრე ჩქარ-ჩქარა ნავიდა სახლისკენ.

— ის ჯაბახანა ჩაიდანაც გადააგდე, ელზა! — ხმამალა გასძახა მამამ.

ხმამალა იმიტომ, რო დედა ისე ჩქარა მიდიოდა, უკვე სახლის კიბესთან იყო.

— ხვალ ელექტროჩაიდანს ვიყიდი. ელექტროჩაიდანს და ელექტროსიგარეტს, — ხმადობლა დაამატა, თავისთვის.

შემოვტრიალდი და წამოვედი სახლისკენ. ოლონდ ნელა. რო მეტირება და ვიკავე ხოლმე, ეგრე წამოვედი. სახლში შევედი თუ არა, სხენის კიბეებზე ავირბინე, მანდაა ჩემი ოთახი. ერთ წამში შევვარდი ოთახში, ავხტი საწოლზე და თავზე ბალიში დავიფარე. ისევ მინდა, ნიკო ვიყო, მაგრამ მაინც ლეო ვარ. ნიკოს ჩემსავით რაღაცების წარმოდგენა და ამბების გამოგონება არ უყვარს, ნიკო უფრო ადვილია. მამაჩემი ნიკო უფრო ვეყვარებოდი, მაგრამ ამ ამბავს უკვე აღარაფერი ეშველება.

„ხოლო რაც შეეხება“ ჩაიდანს, საერთოდ არაა ჯაბახანა! პირიქით, ცოცხალი ივითაა. აი, ვთქვით, დადგამ და შეხვალ გვერდით ოთახში სამეცადინოდ. ცოტა ხანში ფშიუუუ!.. უშტვენს. ანუ, გეძახის, რო მოდი, ჰა, დროზე, წყალი აგაიღებ, მზადაა! თუ ვთქვით, დაგეზარა და არ ადექი, მერე ხმა ეცვლება და ხრინზე გადადის: „ბიჯო! არ გესმის?! რა ხარ ეგეთი ზარმაცი რამე, ჰა?! ადე, დროზე, სანამ მამაშენი მოვიდა და ეს ჩემი ხრონი შტვენა იმის ყვირილთან შედარებით იავნანად ჩაგესმა, ოე!“

ხან არ მეზარება ხოლმე ადგომა, მაგრამ მაინც არ მივდივარ გაზის გამოსართავად, იმიტომ, რო მაინტერესებს, აბა, დღეს რას დაიძახებს, რას მოიფიქრებს. ძალიან სასაცილოდ ბრაზდება ხოლმე და ბევრ გრამატიკულ და ყველანაირ შეცდომას უშვებს. როგორც კი მივალ და გამოვრთავ, გვერდზე გაიხედავს ხოლმე და ამოისუნთქავს: „ფში-ი-ი-უ...“ ვითომ გაბრაზებულია, მაგრამ თან ხომ ვიცი, რო უხარია, ჩაის რო დავლევ. ძმაცაცია, რაა! ელექტროჩაიდანს კიდევ რის მაცნისია? ვერც გეძახის, ვერაფერი.

ეს საფოსტო ყუთიც ხომ ძმაცაცია და ნერვები მემულება, რო ვერაფერი ვთქვი, რო დამეცვა.

— ლეო! კაკ-კუკ.

დედაა. ეგრე შემოვა ხოლმე და მერე ამბობს — კაკ-კუკ. მე რა ვიცი, რატომ.

ერთი ამოვხედე და ისევ ბალიში დავიმხე თავზე. ეგ კი დავინახე, რო უცრემლო თვალეები ჰქონდა. უცრემლებო და მხიარული დედა თითქოს ნამდვილი არაა, მაგრამ მაინც ძალიან მომწონს.

ტუ! ჭრა-ჭრუ! ბალიში და საბანი მარტო ბოლო ასოებს ჩამოვფარა, მეტს ვერა.

როგორც ჩანს, საფოსტო ყუთს აჭედებს! გამიხარდა, მაგრამ მალევე ისევ ცუდ ხასიათზე დავდექი. ხან ასე ვარ, რაზეც გავბრაზდი, იმას რო გამოასწორებენ ხოლმე, თითქოს კი არ ვმშვიდდები, პირიქით, უფრო მეტად მემულება ნერვები. ვერ ვხსნი კარგად, მაგრამ როგორც ვთქვი, ეგრეა. თითქოს მიჩვენია, გაბრაზებული ვიყო. თუ ისევ აჭედებს, წესით ხომ უნდა გამიხარდეს, არა? მაგრამ თან გუშინ ხომ ჩამოგლიჯა და, აი, რანაირად არ უნდა ვიყო გაბრაზებული?! მოკლედ, აღარ მინდა, რო მიაჭედოს!

ბალიში და საბანი გადავიძრე თუ არა, ის წელან დამალული ბგერებიც დამესივნენ: ბრახხ-ბრუხხ! ტაკ-ტუკ! ჭრახხ-ჭრუხხ!

ნოლას აზრი აღარ აქვს, ავდექი. მაისური უკულმა პირზე ამოვატრიალე და ეგრე ჩავიცი. ცუდ ხასიათზე როცა ვარ, ყვირილს და ჩხუბს ეგეთი რაღაცების გაკეთება მიჩვენია ხოლმე. ან უკულმა ჩაცმა, ან ნამცხვარზე უარის თქმა და ეგეთი სისულელები.

ჩამოვდივარ კიბეზე და ვხედავ, ჩემი ძმაცაცია ნიკო ზის სამზარეულოს მაგიდასთან. ძალიან გამიხარდა, რა თქმა უნდა, მაგრამ უცებ ნიკო დედაჩემს ეუბნება:

— ელზა დედა, თქვენ ხომ უკვე ოქროსფერი აბრა მოვანიჭეს და ჩემს ოჯახს კიდევ — არა. ჰოდა, ვთქვით და ლეოს ჩემთან მეგობრობას თუ აუკრძალავთ, მაშინ ეს ამბავი თქვენს გამომცხვარ შაქრის პუდრიან ფუნთუშებზეც იმოქმედებს? ანუ თუ ლეოს ძმაცაცია აღარ ვიქნები, ფუნთუშებს აღარ მაჭმევთ ხოლმე?

აჰა, ესე იგი ფუნთუშების დარდი აქვს, ძმაცაცობის კი არა!

იმათგან არ ვჩანვარ, მაგრამ მე ვხედავ. ნიკოს პირი აქვს გამოტენილი ლუკმით. თან ლეჭავს, თან დედაჩემს უყურებს საწყლად. ნამდვილ საწყლად კი არა, ვითომ საწყლად, მე რას გამომაპარებს?!

დედამ გაიცინა და თავზე ხელი მოუთათუნა. ეს დედაჩემი კიდევ ყველაფერს ეგრევე იჯერებს!

— მაგაზე არ იდარდო, ნიკო, შენ და ლეო ყოველთვის მეგობრებად დარჩებით.

— მაინც?! აი, ვთქვით რობი ძიამ დაგვიშალა მეგობრობა, ან რამე... ასეთ შემთხვევაში ფუნთუშებს მაინც მაჭმევთ?

— რა თქმა უნდა, ნიკო, რა თქმა უნდა! — ისევ გაეცინა დედას და ამ დროს დამინახა კიდევ, — აი ლეოც მოდის! მოდი, ისაუბრე.

დავჯექი გაბრაზებულივით. ძალიან გაბრაზებულივით! დედაჩემი ხომ ყველაფერს ეგრევე იჯერებს, მაგრამ ჩემი გაბრაზება საერთოდ ვერ შეამჩნია. ბედი არ გინდა?!

— ვა, ლეო! — ნიკო მეუბნება, — მაისური უკულმა გაცვია.

— შენი საჭმელი არაა! — ვუთხარი და ჩემი ფუნთუშა გვერდზე გავწიე. ოლონდ, საითაც ნიკო იჯდა, იქით არა, მეორე მხარეს.

დედამ მაგიდა რო ალაგა, მე და ნიკო გარეთ გამოვედით. ჩვენი შტაბი გვაქვს ლელესთან, ფულუროში. კვირაობით დღიდანვე მივდივართ ხოლმე.

მამაჩემი ჭიშკართან დგას, უკვე აღარ აჭედებს, ლობესთან მოგოვილ მეზობლებს მადლობას უხდის რაღაცნაირად გაბლენძილად. ეგრე მომეჩვენა.

ჩავუარეთ, გარეთ გამოვედით. თვალი გავაპარე და კარზე საფოსტო ყუთი არაა. სულ ტყუილად მეგონა, რო არ მინდოდა, დაეჭედებინა. ძალიანაც მდომებია. გამოცარიელებულ ადგილას ოქროსფერი აბრა მიუმაგრებია. ესე იგი, ამას აჭედებდა. მზეზე ისე ლაპლაპებს, რო რა გითხრა! მაგრამ ჯინაზე თავი გვერდზე მივატრიალე. ნიკო კიდევ დააშტერდა უნახავივით. აქ ეს ათვალეიერებს პირდაპირული, იქ — მეზობლები აქებენ და მამაჩემი კიდევ რაღაცნაირ გულგრილ მადლობებს იხდის. აი, თითქოს უთხრეს — დღეს ღრუბლიანი დღეა, არა, რობი? და ამანაც ჰო-ო, თქვა ზრდილობისთვის, ისე, რო ცისკენ არც აუხედავს.

— ფეხი გამოადგი, ბიჭო! — ნიკოს გაცძახე.

ამ წამს თითქოს მეც რაღაცნაირად მამაჩემს დავემსგავსე. ისე, საერთოდ არ გვავარ. დედაჩემივით შავი, ზუჭუჭა თმა მაცქვს და მამა კიდევ მელოტია, თან ულვაშები აქვს. თან ეს ულვაშები აქვს მუქი ქერა. ერთხელ სკოლის სპორტულ შეჯიბრში ვერ ვი-

ოქროსფერი აბრა ტყუილების უბანში

დილით ისე ადრე გამეღვიძა, გამოფხიზლებამდე მივხვდი, რო დღეს კვირაა. ადვილი მისახვედრი იყო, იმიტომ, რო სკოლის დღეებში დილით თვალს ძლივს ვახელებ და უქმეებზე გათენებამდე მეღვიძება. ეგეთი უკულმართი ვარ. ამწუთას კიდევ ჩვეულბრივი უკულმართი კი არა, ცუდ ხასიათზე მყოფი უკულმართი ვარ. როგორმე უნდა ჩავიძინო და ახლიდან, კარგ ხასიათზე გავიღვიძო. ზოგჯერ გამომდის ხოლმე ეგეთი ფოკუსები.

— ელზაა!

მამაჩემი, ეტყობა, ჭიშკართანაა და იმხელა ხმაზე იძახის, უკვე ჩაძინებული როცა ვიყო და კარგ ხასიათზე გასადვიებლად მომზადებული — არ გამომივიდოდა. დაძახების მერე რაღაცის დაჭედება დაიწყო და ბრა-ბრუხ! ტაკ-ტუკ! ჭრახ-ჭრუხ! აუუ, კვირას! თან მარტო კვირას კი არა, პლუს კვირა დილით!

თავზე ბალიში დავიფარე, მერე ზემოდან საბანი, მაგრამ მაინც ბრა-ბრუ! ტა-

ვარგე, ძალიან ვერ ვივარგე და ჩემი თავისთვის სამაგიერო რო გადამეხება, გასახდელის სარკეში ვეუბნები ვერ, ძალიან დამცინავდა: „აი, თმით ხომ დედაშენს გავხარ და უღვაშით რო მამაშენს დაემსგავსო, რას ვიციანებ?!“

მგონი, მთელი ტყემლების უბანი ჩვენს ჭიშკართანაა მოგროვილი. ხომ არსებობს ალუბლების ქუჩა, ბრონეულის ქუჩა, ყოლოს ჩინი და ეგეთები, ხომ შეიძლება, ჩვენსასაც რაღაც მაგდაგვარი რქმეოდა? მაგრამ არა! მაინცდამაინც მუავე ტყემალი! ამნუთას ესეც ნერვებს მიშლის, თითქოს ჩემი უბნის სახელი დღეს პირველად გავიგე.

გზაში არც მე, არც ნიკოს ხმა არ ამოგვივლია. ეგრე უხმოდ მივედით ჩვენს ხესთან, ტომრისგან გაკეთებული ფარდები გადავნიეთ, უფრო სწორად, ნიკომ გადასწია და ფულუროში შევჯექით. შევედითო, ვერ იტყვი, იმიტომ, რომ ფეხზე მდგარი მანდ ვერ შეეტევი, უნდა იჯდე. ფეხებიც შიგნით შევიკეტეთ და ფარდა ჩამოვაფარეთ, გავასწორეთ. უფრო სწორად, ორივემ არა, მართლ ნიკომ.

— რა იყო? — ნიკო მეკითხება, — რა გეტაკა? — თან ხის ხმლის გამოთლა დაინყო.

— არაფერი.  
— აბა, რა სახე გაქვს? ოქროსფერი აბრა თავში ხომ არ აგივარდა, ბიჭო?! — ხუმრობით თავში წამომარტყა.

— შენი საქმე არაა! — ავიჯაგრე და ხელი გავანვივინე, მაგრამ თან არ მინდა, რო ასე ვიქცეოდე, მაგრამ თან სხვანაირად მოქცევაც არ შემიძლია.

— მისმინე, წესით ბედნიერი უნდა იყო: ოქროს აბრა კარზე, შაქრის პუდრიანი ფუნთუშები სახლში და ჩემნაირი ძმაცაყი — გვერდით. მეტი რა ჯანდაბა გინდა? რა გეტაკა?

— და ჩემზე რატომ ნერვიულობ? შენთვის ხომ მთავარი ფუნთუშებია?!  
— რეებს ბოდავ?  
— დედაჩემს რო ელაპარაკებოდი, ყველაფერი მოვისმინე.  
— ხმაღს არ თლი?  
— არა.

რაღაცნაირად, უაზრო დღე გამოვიდა. მალევე წამოვედით ფულუროდან.

ეზოში რო შევედი, ვხედავ დედა ოთახიდან ოთახში გარბო-გამორბის, თან თავშალს აფრიალებს. გული გამისკდა, მეთქი რა სჭირს, ვუყურებ პირდაღებულს და თურმე ბუზის გაგდება უნდა გარეთ. რანაირი დღეა, ნეტა მალე დაღამდეს. მთავარია, ახლა მამამ არ დაიძახოს ეზოდან: „ელზა, ეს გლეხურად ბუნებრივი ბუზები აღარ გვეკადრება, ხვალ ელექტრობუზებს მოვიყვან!“

— გამანაზა, ძლივს გავაგებ, — დედა სკამზე ჩამოჯდა, — თავი დაიბანე, ლეო. საღამოს ნიკოს დედა მოვა, თმა უნდა შეგჭრას. ხვალ შენს კლასთან დასამშვიდობებლად შეგიძლია წასვლა და ზეგ უკვე ახალ კლასელებს გაიცნობ. წარმოგიდგენია?

კი, როგორ არ წარმოგიდგენია: მივალ და მთელი კლასის ან სკოლის გასაგონად გამოაცხადებენ: გაიცანით, ლეო ტყემლების უბნიდან! რა საცოდაობა იქნება, ღმერთო! არც ბრონეული, არც გარგარი ან რამე თავმოყვარე ხილი. არა, მაინცდამაინც ტყემალი! ფუჰ.

საღამოს დედამ რაღაც გამხმარი ყვავილების ჩაი დააყენა და ფინჯნებში დაასხა. უკვე ყელში ამოვიდა, რაა! ეზოში ყვავილები, ფანჯრის რაფებზე ყვავილები, ფარდებზე ყვავილები, გადასაფარებელზე ყვავილები და ახლა უკვე — ფინჯნებშიც. ვზივართ სამივენი მთავრისთან და ვსვამთ. უფრო სწორად, ვითომ ვსვამთ, სინამდვილეში არ ვსვამთ. შაქარს რატომ ვყრით და ვურევთ, აზრზე არ ვარ, აშკარად არ ვართ დამლევები. გარშემო ყველგან კია მოდებული, მაგრამ ჩვენს კუჭში ყვავილები მშკარად ვერ ჩააღწევს. ამალამ მაინც.

გულში ვფიქრობთ ჩვენთვის რაღაცებს. ესენი — არ ვიცი, ალბათ იმ ახალ, უცნაურ სკოლაზე, სადაც წიგნების გარეშე ატარებენ გაკვეთილებს, მე კიდევ იმაზე — ნიკოს დედა ჩემი თმის შესაჭრელად რო მოვა, ნიკოც ხომ წამოყვება, როგორც ყოველთვის, ჰოდა, რაღაც ბოდიშისმაგვარი მინდა, ვუთხრა. სიტყვა ბოდიში კი არა, ჩემი საუკეთესო ძმაცაყი როა და ფუნთუშებს რო ყოველთვის ჩემს წილსაც სიამოვნებით მივცემ — ეგ. კიდევ ის, რო ფულუროში ცუდად მოვიქეცი. არც ფარდის ჩამოფარებაში მივეხმარე, არც ხმალი გამოვთალე.

თითო ხმაღს ყოველ მისვლაზე ვთლით და ვავგროვებთ. ნიკო ამბობს, შეიძლება ომი დაიწყოს, ან სხვა რამეში დაგვჭირდეს. ამ ფიქრში ვარ, რო გარედან ნიკოს დედამ დაიძახა:

— ელზააა!  
ეგრევე წამოვხტი და ფანჯარას ვეცი. მამამ კიდევ გაბრაზებულია თქვა:

— ამ გლეხურ ქუჩიდან დაიძახებებს ბოლო უნდა მოვულოთ! ხვალ ჭიშკარზე ზარს დავაყენებ. უკვე სხვა ფენას ვეკუთვნი და ზარი გვეკუთვნის.

დედაც მოვიდა ფანჯარასთან და შორიდანვე გასძახა, შემოდე, მადონაო. ამან მამას საბოლოოდ გაუფუჭა ხასიათი. ჩაის კოვზი მაგიდაზე მიაგდო და სამზარეულოდან გავარდა.

ნიკოს დედა პირველად მოვიდა ჩვენთან ნიკოს გარეშე. ცუდ ხასიათზე დავდექი, მაგრამ არ შევიძინე, სარკის წინ დავჯექი და ველოდები, შეჭრას როდის დაიწყებს. არც ნიკო რატომ არ მოვიდაო, მიკითხავს, არც არაფერი.

— ვაიმე, ელზა, ძალიან ვნერვიულობ. ნახე, ხელში მაკრატელი მიკანკალებს. შევხედე, მართლა უკანკალებს.

— რატომ ვიფიქრე, რო ნიკო ხომ არაა ავად, ან რამე, მაგრამ ეგრე რო იყოს, დედაჩემს ტირილს ვერავინ დაასწრებდა, თვითონ ნიკოს დედაც კი. ჰოდა, დედაჩემი ტირის კი არა, გაეცინა კიდევ:

— რა განერვიულებს? პირველად ხომ არ ჭრი?!  
— აქამდე უბრალო გლეხის ბავშვს ვჭრიდი, იმ ცნობილი სკოლის მოსწავლისთვის არასდროს შემიჭრია. რო არ მოეწონო?

— ღმერთო! სკოლაა თუ ციხე?!  
— ნუ სულელობ, საყვარელო, ლეოა, უცხო ხომ არაა?! ყოველთვის მშვენივრად ჭრი, რატომ არ უნდა მოეწონო? ძალიან დაბალზე ხომ არ შევჭრა? იქნებ, იმ უცნაურ სკოლაში ხუჭუჭები ეკრძალებათ, ჰა?

ეს თქვა თუ არა, ჩემი ხუჭუჭა თმა, შიშისგან, ეგრევე გასწორდა და ყალყზე დადგა.  
— მა-დო-ნა! — დედამ თვალები დაუქაჩა. ეგ ძალიან მაგრად გამოსდის ხოლმე.  
— აჰ... მე... ისე ვთქვი, უბრალოდ. მაგ სკოლაში ხომ უკუღმართი წესებია და... ამასწინათ ჩემი ქმარი ამბობდა, ქალაქელებს ზედმეტი თმა არ უყვართ, სანთლით რო ეძებო, წვერ-ულვაშიან კაცს ვერ ნახავო, ჰოდა, მეთქი, ეგებ ხუჭ...  
— მა-დო-ნა! ამ სკოლაში ბავშვებს წარმატებულ ადამიანებად აყალიბებენ, თმა რა შუაშია?! — დედამ ხმას აუწია და ისევ ანიშნა, გაჩუმდიო.

ხმაზე მამამაც შემოყო თავი და ყველამ იმის უღვაშს შევხედეთ. თითქოს, ნიკოს დედის სიტყვების მერე, ძალიან გრძელი მეჩვენა.

— აჰ... მე. აბა რა! მორჩა, ვჭრი. დავიძაბე. თვალები მაგრად დავხუჭე და სანამ შეჭრას არ მორჩა, არ გამიხელია. როცა გავახილდე, არც სარკეში ჩავიხედე, არც დავიბანე. ოთახში გამოვიქეცი და თავზე ბალიში დავიფარე. მაინც რა უნდა იყოს ეს ახალი სკოლა ამისთანა? რანაირი წესები უნდა ჰქონდეთ? ან წიგნების გარეშე რანაირი გაკვეთილები უნდა იყოს? მაგრამ ცუდი სკოლა რო იყოს, ჩემები ხომ არ მიმეყვანდნენ და ამდენ ფულს ტყუილად არ გადაყრიდნენ? თან ვიცი, რო მაგარი შენობაა. არც ჩამონგრეულია და არაფერი, პირიქით, ძალიანაც აშენებულია.

მოკლედ, ვინაირად ეგეთ სულელურ ფიქრებში, მთელი დღე ვერ დავიძინე და ძლივს როგორღაც ჩაძინება რო დავიწყე, ზუსტად ამ დროს დამიძახა დედამ:

— ლეო, კაკ-კუკ, დილა მშვიდობისა! ნიკო გელოდება, სკოლაში აგვიანებთ. ბავშვებს ხომ უნდა დაემშვიდობო... მალე ახალი სკოლის დასათვლიერებლად წავიყვანო, წარმოგიდგენია? აჰ, არც-კი-მჯერა, რო ეს დღე დადგა!

— დე, მაინც რანაირი სკოლაა ეგეთი, ნიკოს დედას მაგის ხსენებაზე რო მაკრატელი დუქანკაღდა?  
— აუდა დაიბნასავით.  
— სიმართლე ვითხრა, ზუსტად არც მე ვიცი, ლეო. რაღაც ახლებური მეთოდებით ასწავლიან. მართლ საგნებს კი არა — ცხოვრებას! საგნებიც სულ სხვანაირი აქვთ, ისეთი არა, როგორც ჩვენს სკოლაში. ეს ძალიან პრესტიჟული სკოლაა, საუკეთესო! სწრაფად ჩაიცი, ქული დაიფარე და ჩამოდი.

— სიმართლე ვითხრა, ზუსტად არც მე ვიცი, ლეო. რაღაც ახლებური მეთოდებით ასწავლიან. მართლ საგნებს კი არა — ცხოვრებას! საგნებიც სულ სხვანაირი აქვთ, ისეთი არა, როგორც ჩვენს სკოლაში. ეს ძალიან პრესტიჟული სკოლაა, საუკეთესო! სწრაფად ჩაიცი, ქული დაიფარე და ჩამოდი.

— სიმართლე ვითხრა, ზუსტად არც მე ვიცი, ლეო. რაღაც ახლებური მეთოდებით ასწავლიან. მართლ საგნებს კი არა — ცხოვრებას! საგნებიც სულ სხვანაირი აქვთ, ისეთი არა, როგორც ჩვენს სკოლაში. ეს ძალიან პრესტიჟული სკოლაა, საუკეთესო! სწრაფად ჩაიცი, ქული დაიფარე და ჩამოდი.

— სიმართლე ვითხრა, ზუსტად არც მე ვიცი, ლეო. რაღაც ახლებური მეთოდებით ასწავლიან. მართლ საგნებს კი არა — ცხოვრებას! საგნებიც სულ სხვანაირი აქვთ, ისეთი არა, როგორც ჩვენს სკოლაში. ეს ძალიან პრესტიჟული სკოლაა, საუკეთესო! სწრაფად ჩაიცი, ქული დაიფარე და ჩამოდი.

აშკარად რაღაც ისე ვერაა, რაა, მაგ სკოლაში...

დღეს ყველაფერი წაღმა ჩავიცივი, გუშინდელივით ძალიან გაბრაზებული აღარ ვარ, მაგრამ ნიკო წუხელ რო არ მოვიდა, ამის გამო ჩემი უმკლავებო მოსაცემელი მანინც უკუღმა მოვიცივი. ქულიც ავიღე, რახან დედაჩემმა მითხრა, მაგრამ რა ჯანდაბად მინდა, ზამთარი ხომ არაა?

ჩამოვედი და ვხედავ, დედაჩემი სკოლაში წასაღებად გამზადებულ ფუნთუშებს აწვდის ნიკოს, მაგრამ ნიკომ არ აიღო. წარმოგიდგენია?! გიჟდება დედაჩემის გამომცხვარ ფუნთუშებზე, მაგრამ ცოცხალი თავით არ გამოართვა. ეგრევე ჩანთა იატაკზე დავდე, მოსაცემელი გავიხადე და შერიგების ნიშნად წაღმა გადმოვებრუნე. ორივემ გამომხედა და რაღაცნაირი გაცემული სახე მიიღეს.

— ქული დაიფარე! — მითხრა ნიკომ და თვალი ამარიდა.

აჰა, გასაგებია. ზამთარი და ზაფხული არაფერ შუაშია. ამ ჩემი ახალი ვარცხნილობით ქალაქის გაპრიანებულ სკოლაში კი არა, ამ ჩვენს ჩამონგრეულშიც არ მიისვლება უქულოდ.

დავიფარე კი არა — ჩამოვიფხატე. გზაში ხმა არ ამოგვიღია. მალაზიასთან მამაჩემი შეგვხვდა და შორიდან ხელი აგვიწია. რაღაცნაირად სხვანაირია, ოღონდ ზუსტად ვერ მივხვდი, რითი.

ჩვენი სკოლის ეზო არადროს მომწონდა. არც შენობა. ლობეც ჩამონგრეულია და კედლებიც შეუღებავი, მაგრამ ახლა ვუყურებ და ისე მომწონს, ისე ძალიან მომწონს, ისეთი მშობლიურია, რო მინდა, ვიდგე და ვუყურო, მაგრამ მართლა ხომ არ დავდგები და მივაშტერდები სულელივით. ეტყობა, ბოლოჯერ რო მოვედი აქ, მაგიტომ მეჩვენება, რო მსოფლიოში საუკეთესოა.

საკლასო ოთახთან რო მივედით, ნიკომ მკლავზე ხელი მომიკადა და მითხრა:

— ბიჭო, ფუნთუშებზე ვიხუმრე გუშინ. შენთან თუ ვეღარ ვიმძაკაცებ, რა ჩემ ფეხებზე მინდა ფუნთუშები?!

— ძმა ხარ! — ვუთხარი და ცრემლი რო არ მომადგეს, უცებ შევევარი კლასში. გაკვეთილებზე რაღაცნაირად მძინარესავით ვიჯექი. თან უძილო ხომ ვარ, თან ახალ სკოლაზე ვფიქრობ, თან ნიკოზე და ფუნთუშებზე.

ბოლო გაკვეთილიც რო დამთავრდა, სოფი მასწავლებელმა დამიძახა, ცოტა ხნით დარჩიო.

— ლეო, გავიგე, ახალ სკოლაში გადადიხარ, — თან გახარებულმა მითხრა, თან მონყენილია.

— დიას, მას. ოღონდ მე აქ მირჩვენია. სხვა სკოლაში რა უნდა ვაკეთო?

— რასაც აქ აკეთებ — ის. უნდა ისწავლო და ხანდახან ჩვენც შემოგვიარო, ყველას ძალიან მოგვწონს.

სოფი ჩამეხუტა და ქული მომძვრა. ეგრევე ვეცი, ჩამოვიფხატე ისევ და თითქმის ნიკაპამდე ჩამოვქაჩე, მაგრამ უკვე დაინახავდა ამ ჩემს გაკორტნილ თმას, რა აზრი აქვს. სოფიმ ქული შუბლამდე ამიკეცა. უცებ მთელ სახეზე დამცხა და, მგონი, ოფლმაც დამასხა, მაგრამ სოფი სულ სხვანაირი მასწავლებელია. არც შენიშვნა მომცა, არც გაეცინა, საერთოდ არაფერი შეიმჩნია. უბრალოდ, ქული გამისწორა და მითხრა:

— ლეო, ხომ გახსოვს, ადამიანი არც თმის სიგრძით იზომება, არც ჩაცმით. ამის დამახსოვრება ძალიან გამოგადგება იქ, სადაც გადადიხარ.

შეკავება ვეღარ გამომივიდა და, ნერვიულობის გარდა, კიდევ სხვანაირი ცრემლებიც წამომივიდა. ნაღდად დედაჩემისგან გადმომედო.

— ყველაფერი კარგად იქნება, ლეო, არ იდარდო. მართალია, იქ სულ სხვანაირი სკოლაა, სულ სხვანაირი სწავლება, მაგრამ ვიცი, თავს გაართმევ. შენ საუკეთესო მოსწავლე და ძალიან საინტერესო ადამიანი ხარ. ესეც აუცილებლად უნდა გახსოვდეს.

### ექსკურსია ახალ სკოლაში

სკოლაში წასაყვანად მანქანამ მოგვაკითხა. მთელი უბანი ისევ ჩვენს ჭიშკართან მოგროვდა. დგანან და ათვალიერებენ. ერთმანეთს ეუბნებიან, ნახე, ბენზინ-

ზე კი არა, დენზე მუშაობსო, ვა, მაგარიო და ეგეთებს.

ქული დავიფარე და გავედით. მე და დედა უკან დავეხედით, მამა — წინ, მძლოლთან. ისევ მეჩვენება, როგორც მალაზიასთან მომეჩვენა, რო მამა რაღაც სხვანაირია, მაგრამ ახლა ამაზე ფიქრის თავი არ მაქვს. მეტირება, მაგრამ იმეების ჩამოთვლა დავიწყე, როგორც სოფის ვგონივარ — ნიჭიერი, საუკეთესო, საინტერესო და ეგეთები. ცოტა გამიარა. მერე ისინიც გამახსენდა, რასაც გოგოები მწერდნენ წერილებში და დავემშვიდდი კი არა, უკვე ლამის თავი სუპერმენი მგონია, ქულიც კი მოვიხადე თავდაჯერებულად, მაგრამ მერე გამახსენდა, რო იმ წერილებს ხომ გოგოები კი არა, მე თვითონ ვწერდი ჩემს თავს და ისევ დავიფარე.

ქალაქი ლამაზია. ძალიან მაგარი! მოპრიანებული გზები. არც ტალახი, არც ორმო, არც მტვერი. ხალხიც ისეთი გაპრიანებული დადის, გეგონება, ყველა ქორწილში მიდიოდეს. ეს მძლოლიც რაღაც სასაცილოებს უყვება მამაჩემს და დედას ცრემლებიც აშკარად სიხარულის უფროა. იმედით მომეცა, რო ყველაფერი კარგად იქნება.

დიდი შენობის ჭიშკართან ჩამოვედით. დაკეტილია და თან არც სახელური აქვს, არც ბოქლომი ადევს.

მამამ რაღაც ლილაკს მიაჭირა თითი და პატარა რადიო ჩაირთო. რადიოდან ხმამ გამოკითხა, ვინ ვართ, რა საქმეზე ვართ და მერე ჭიშკარი თავისით გაიღო.

სანამ სკოლის შენობამდე მივედით, ყვავილების ბაღი გავიარეთ და სკოლასთან კიდევ ლამაზი ქალი დავხვდეთ, თან — გაღიმებული. იასამნისფერი კაბა აცვია, მუხლამდე. ოღონდ კაბა კი არა, კანი უფრო გეგონება, ისე მჭიდროდ აქვს ტანზე შემოკრული.

— მოგესალმებით. მე ნიუ მქვია. შენ ლეო ხარ, ხომ? — რო დაიხარა, მეთქი, ეხლა ეს კანი-კაბა შემოასკდება ზურგზე, მაგრამ არა, — კეთილი იყოს შენი მოზრდნება, ლეო. იქით წავიდეთ, ახალმოსულ მოსწავლეს პირველ დღეს ექსკურსია ეკუთვნის ეზოში, რა თქმა უნდა — უფასოდ.

ეს თქვა თუ არა, შეტრიალდა და რაღაცნაირად, ცეკვასავით ნაბიჯებით წავიდა ეზოსკენ. მე და დედამ თვალი გადავყოლეთ, მამა — თვითონ გაყვა.

რამდენიმე ნაბიჯის მერე შემოტრიალდა ეს ნიუ და მამას ეუბნება ღიმილით:

— თქვენ ხართ ახალმოსული მოსწავლე?

— აჰ, უკაცრავად... — მამამ დაირცხვინა და აწნამს მივხვდი, რითია შეცვლილი, უღვაში შეუმოკლებია!

ეგრე დარცხვენილი შემოტრიალდა ჩვენკენ და ეგრევე გაბრაზებული სახე მიიღო, გვანიშნა, ფეხი დროზე გამოადგითო. ჩვენც ეგრევე „გავადგით“, რა თქმა უნდა.

ეზო ძალიან ლამაზია. ჩემი სოფლის სკოლის ეზო ამასთან შედარებით ქოხივითაა. ქოხი რა შუაშია, მაგრამ მაინც. აქ თითქოს რაღაც ფილმს ან ზღაპარს იღებენ და მოამზადეს, ფოთლები ფერადად შეღებეს, ლობეზე ყვავილები დააკრეს, ბალახი დიდი საფარცხლით დავარცხნეს და ეგეთები. სავარცხლის გაფიქრებაზე ცოტა ხასიათი გამიფუჭდა და ქული გავისწორე.

— ჩვენთან ზოგი გაკვეთილი სკოლის შენობის გარეთ ტარდება. აი, მაგალითად, ამ ბაღში.

ქალმა ჩუქურთმებიანი კარის ლილაკს ბარათი ჩამოუხვია. საკეტმა გაიტკაცუნა და კარი გაიღო.

აუუ, ამდენნაირი ხილი ერთ ბაღში! თან რამდენი ასხია! ნეტა ნიკოც აქ იყოს! მაგას მართლ ფუნთუშების ჭამა კი არ უყვარს! წარმოვიდგინე, როგორ დავარცხვდით ამ ხეებს, მერე ბალახზე წამოვწვებოდით და ნიკო — ხრუუუუ! გემრიელად ჩაკებდა და შეჭამდა ყველა ხილს, რაც კი ჩამოცვივებოდა.

— ბაღში, მასწავლებლის გარეშე შემოსვლა, ცხადია, აკრძალულია. ახლა კი, შეგიძლიათ, ნებისმიერი ერთი ხილი დააგემოვნოთ. გადახდის გარეშე, ეს სკოლის საჩუქარია.

ისევ გავვიღიმა. ბაღში უამრავი ხილი იყო, მაგრამ არჩევა აზრად არცერთს მოგვსვლია. სამივემ ერთდროულად გავიწოდეთ ხელი უახლოესი ხისკენ და ამან კიდევ ერთხელ გავვიღიმა:

— საჩუქარი მხოლოდ ახალმოსულისთვისაა.

გაგრძელება მე-7 გვერდზე



დოდო ქუმბურიძე

\*\*\*  
შულამისას, შვიდში, არ ვიცი, რად ვწერ ამას,  
ქარმა მოწყვიტა გირჩი, სული შემიკროთო რამაც.  
კომედია თუ დრამა, ვიფიქრე: არ ღირს გრამად,  
მთელი ცხოვრება, როცა, მივსდევ უსიერ ტრამალს,  
ქრება გონების კვალი, წლები ქცეულან ნამად,  
გამწყვრალი არის ჟამი, მოუსავლეთის ჟამად...

ჯვანოში

ეფესოში, სადაც ღვთისმშობლის სახლია,  
აგვისტოს შუადღემ თავბრუ დამახვია,  
ანტიკურ ღვთაებებთან აქ თუმცა ალაპია,  
იესოს გარეშე ერთი ყვავილიც არ იშლება,  
ერთი ვარსკვლავიც არ ანთია...  
არ ხარობს, ბალახი რომ ბალახია...

ბედნიერების წყალი შეესვი  
და ცრემლიც ბევრი დავღვარე,  
ღვთისმშობლის სახლთან  
ლოცვებით თავი მინამდე დაეხარე,  
თითქოს დედაჩემიც აქ იყო და, უბრალოდ, ეძინა,  
არტემიდას ჭალიდან მობერილი სიოც კი  
სხვაგვარად შემძიმა...  
აირეკლა იესოს სახეზე, სახეზე კი არა, —  
ნამდვილი იესო — სანთლების კიაფში,  
დუმილი გამეფდა,  
მუდმივი ტრაგედია  
ალარ ხმინებდა ანტიკურ თეატრში.  
ეფესოში, სადაც ღვთისმშობლის სახლია და  
ღვთაებრივი სიხალგაეთე,  
დავჯექი და ვიტყვი,  
უბრალოდ, ნერვებმა მილაღატეს...

ციკლიდან:

დაა სასანლელი ელი გორდელიანს,  
გულანშაროდან პარიზში

\*\*\*  
ელი, სულ ცოტა სიყვარული მინდა, განა ბევრი,  
თუნდაც, მოკითხვა რომიდან ანა-მარია ანაბელის,  
ბაღდადიდან თამუნა ერისთავის მოლოცვა შობისა,  
ძმისგან ერთი ზარიც,  
დასტური დისადმი სიყვარულისა და ძმობისა...  
ისე გულანშარო, გზა-შარაა და ნაღვლის შავი დილეგია,  
აქ ყველას  
სანტა-მარიადან გამოგზავნილ ლუკმის იმედი აქვს,  
არც ზრუნვა, არც შრომა და არც ამაგი მოყვრისათვის,  
კაცი შესაძლოა გმირი გახდეს ოცნების მოკვლისათვის.  
ვარდი რომ ვარდია, ყვავილებს ეკლიდან გამოიღებს,  
აქ კი ყოველი სიკეთედან მარტოდენ შხამი გამოიყვებს.  
ხალხი დაამარცხეს  
და გამარჯვების დროშები გამოკიდეს,  
ციხე-რაბათები და საყდრებიც კი ყველა ამოჰყიდეს,  
ნაქურდალი ტვირთად უცოდველ თაობებს წამოჰკიდეს,  
იმედი რომ გადარჩეს, ელი,  
უნდა ჩამოხვიდე!..  
მე კი, სულ ცოტა სიყვარული მეყოფა, განა ბევრი,  
შენი ნახვა და  
თუნდაც ერთი ზარი რომიდან, ანა-მარია ანაბელის...

\*\*\*  
მდინარეც რარიგ ზარმაცია, —  
მიდის და თითქოს არცკი მიდის,  
ესაა ჩემი დალმაცია, სურნელოვანი ცაცხვის ბინდით.

იები ამოჩქროლილები,  
თებერვლის პირველ მზის საჩუქარი,  
ცაში ვარსკვლავი-ცდომილები და არაფერი საწუხარი.  
მგზავრები მხიარულნი ვართ ამ გემის,  
ვიხსენებთ ტროას და აქეას,  
შორსაა დანგრეული კართაგენი,  
უქიმერიონი კი აქვეა...

\*\*\*  
ისევ მარტოსული ვარ,  
ისევ ჩაკეტილია ჩემი ეზოს ერდო,  
ბედზე გულმოსული ვარ,  
დუმან ხეთა ჩრდილები, მხიარულნი ერთ დროს.  
გზას მიქცევენ მძიერი კოლოებიც, ცბიერნი,  
ალარ უნდათ მენდონ.  
შეთვალული ყურძნები  
მონყენილი მისდევენ  
გადაკვალულ ფერდობს,  
მზე ღრუბელში შესულა, არაფერი შესრულდა  
მისი დანაპირები, ერთ დროს...

\*\*\*  
ეს ის ქალაქია, მზემ რომ ზარდა,  
მომხდურმა მრავალჯერ რომ არბია,  
მეფე დავითი შემობრძანდა,  
არაბები ქალაქიდან გარბიან.  
აქ უკვე იყო ბულა-თურქი,  
მურვან-ყრუც, შათიც და ჯარაპიც,  
ნარსულის ჭრილობას ნულარ მჩუქნი,  
კვლავ თვალში მიყურებს ჯალათი.  
ორთქლიმ გახვეული აბანოა,  
სიამე უცხოა და ყაღბია,  
მეფე დავითის ამბავია —  
თურქები ქალაქიდან გარბიან...  
ნარიყალას ნარსულის ჩრდილი ადგას,  
მაგრამ მყობადზეა დანდობილი,  
დიდგორი გადახდილია და  
კურაპალატობა დაგმობილი.  
ჯერ მეტეხი არ არის აგებული,  
ჯერ ამ ადგილს სახელიც არა ჰქვია,  
ვგრძნობ, სიცოცხლითა ვარ ვალდებული:  
ეს ქალაქი ჩემი ქალაქია.

\*\*\*  
შენთვის ვილოცებ გელათს, ბეთანიით და ბერთით  
და გულს შეგნირავ ერთგულს,  
ღმერთი დიდია, რადგან  
შეგვაძლებინებს ღმერთი,  
რომ დავეხმაროთ ერთურთს.  
და რაც არ უნდა მოხდეს, გაჩნდეს რამდენი ბზარიც,  
შიში, წარლენასთან შერთვის,  
მაინც ვიქნებით ერთად,  
უფლის ნებით და ძალით:  
შენ ჩემთვის, მე კი — შენთვის...

\*\*\*  
ქარი ცრემლსაც არ აშრობს, სადღაც კივის ზარნაშო,  
თვალშიც ჩუმად თამაშობს, მარჯვენა თუ მარცხენა,  
ჩიტი ფრთასაც ალარ შლის, ყოფას ვიღაც საღად სჯის,  
ყრმა ალარ ნევს ბაგაში, სული ნუხს და არ ცხრება.  
ზეცა მინდა მჭვირვალე და ტაძარი ბრწყინვალე,  
ხატები რომ ბრწყინავენ და ეშმაკი მარცხდება.  
ასეთია ეს ცხადი, ბატონს ტყვედ რომ მეც ცვაფდი,  
კვერავდი და ვრეცხავდი...  
სიზმარია, რაც ხდება...

\*\*\*  
მნემოსინემ შვა ზევსისაგან ეს ჩემი მუზაც,  
ვწერ, როცა გულზე მომედება აპოტროფია,  
რომ გადავცურო ოკეანე, ჩაფუშვებ ლუზას,  
ყაჩაღს ვუყურებ, კარზე მომდგარს, ხელში თოფიანს.

ქალღმერთ ქარიტებს უხარიათ,  
ცრემლი რომ მმუხტავს,  
ჩემში როდესაც უბედური პენელოპეა,  
თვალს ავარიდებ ბედისწერას, მსახვრალს და მუხთალს,  
გულიც განყდება, თითქოს ლექსის ბოლო სტროფია...

\*\*\*  
შემოვიარე ნუთით  
ჩემს ქალაქსა და სახლში,  
და როგორც ჩრდილი თუთის —  
ვდგავარ ნაზამთრალ ბაღში.  
ჩიტი მაჯდება მხარზე,  
ნუში ყვავილებს მაყრის,  
ეს სიცოცხლეა ასე,  
შეხვედრების და გაყრის,  
ეს ქალაქია ნუთი,  
სუნთქვას რომ მიკრავს კუთვნილს,  
რომ მოვეფერო ჩუმად,  
შემოვიბრინე ნუთით.

\*\*\*  
აქ ოდესღაც ხომ იყო მითანი,  
შრილებს ჩუმად ქარში იფანი,  
მათში ცხოვრობენ კელიადები,  
შულამისას ხმები ეითარის  
მკითხავს: ხომ მოგწონს ეს ხმა, მითხარი,  
ბრილიანტები სველი ვარდების.  
გამოიღვიძებს ახლა სელენე  
და გადმოხედავს მინას ზერელედ,  
ახმაურდება სისხლი იქორის,  
დამშვიდება ვთხოვ ქალღმერთ მოიერებს,  
ჩემი ბედი რომ ტანზე მოიერგეს,  
მომპარეს ელვაც ღვიძლი სტრიქონის...

\*\*\*  
იზაბელა, იზაბელა, გული ისე იზანტება,  
გრძნობა ისე იძაბება,  
ნაოჭები იზრდება და ანჯამები ჭრიალებენ კარის,  
მოდის მიქელ-გაბრიელი, მაგრამ ისევ მიბრძანდება,  
ღმერთს დიდება, მიბრძანდება,  
დედაჩემიც მიბრძანდება, —  
ნუ ჩქარობო, მანდ დატოვე კვალი...  
ეჭა დედა, დედაჩემო, ამ ქვეყანას უსულგულოს,  
როგორ უნდა მოვერიო,  
ანდა როგორ მივუხურო მისი ხელით გაღებული კარი...  
გავაჩუქე მარგალიტი, სიყვარულით გავღარიბდი,  
ცაში ფრენად ალარ მიდის,  
დაღლილია სიკვდილის წინ გედი,  
როგორ უნდა მოვერიო ბოროტებს თუ ბოროტებას,  
როგორ უნდა შევეგუო მოყვრებს,  
ქცეულს ბოლოს მტრებად,  
როგორ გავწვრთნა ძუ მგელივით ბედი...  
დედაჩემო, დედაჩემო,  
ისრებს, მტრების გამოსროლილს, ალარა აქვს ანგარიში,  
გავაჩუქე უკვე გული, რა უნდა გქნა, ალარ ვიცი,  
ყოფა არის უკაცური, უმადურიც არის, რთულიც,  
მომიტეხე ლუკმა პური,  
ჩამიკარი გულში ისევ, დედი!!!

შოგა იარუსალიში

რამდენი დრო გავიდა და ისევ გელოდები იესო,  
ისევ გელოდები,  
ანა-მარიასთან ერთად გეძებ,  
მზრწყინავ საბურავით მელანდები,  
მოსაკლავად გეძებენ, იესო,  
სასტიკნი არიან ჰეროდენი...

გეთსიმანიის ბაღში, ფილაქანზე ჩამომჯდარი,  
ლამეს ვათევე,  
ციდან ერთადერთი ვარსკვლავი მიყურებს,  
თითქოს რამეს მმატებს,  
მერამდენე წელია და  
მერამდენედ რარიგ აუტანლად მომენატრე!..

უხერხულია, შენ გკლავდნენ  
და მე აქ დავდიოდე ჩვეულებრივ,  
„ნუ გალობთ-თქო“, — ღამის ჩიტებსაც კი ვეუბნები,  
ხეებიც შრიალს წყვეტენ, გახვევებულნი და ეულები...

ცისკარიც მალე გაბრწყინდება,  
ჟამი დადგება ზიარების,  
ცვარს გადაიყრიან ორხიდეები და რძიანები,  
იერუსალიმის თავზე ვარსკვლავები ციალებენ...

შემოვდივარ უკარო სასახლეში, უფანჯრო ცის თაღში  
და მადლს მინილადებ,  
ვთხზავ შენთვის ხოტბას  
და გიძლენი ათასნაირ დითირამებებს,

რამდენი დრო გავიდა, გეძებ და გელოდები, უფალო, და დაგელოდები სიკვდილამდე!..

**ქუთაისისთვის**

ცხადის და სიზმრის მითიურ ნაზავს —  
ბაგრატიის ტაძარს და ბაღის კიდეს —  
წვიმა დარეცხავს და მწვანე ბაზარს  
მზე გახდის ძაძას და სხივებს ჰკიდებს.  
აიეტის ეტლს და დაღლილ მონას  
ვუმზერ და ვამბობ: რა მიხარია,  
ველარ გავყვები აფსირტეს ცოლად,  
ის უკვე მოკლეს კარგა ხანია;  
აქ კეისრებმა დიდხანს იომეს,  
დროის მირაჟში სევდა გარიეს,  
ადიდებული მოქუხს რიონი  
და არაფერსაც არ ინანიებს...  
მოვალ, არ მოვალ, ჩემი ნებაა,  
კოლხეთის ვაკე ცრემლით შემინეს,  
სკეპტუხიების ერთი ბელადი  
ფასისელ მკითხავს ბედს არჩევინებს.  
ბრონეული რომ ბრონეულია, —  
მივხვდი, სხვა სისხლს და ფეთქვას შემირევს...  
აქეთკენ სტრაბონს ჩამოუვლია,  
აიას ნახვა ახლა ჩემი რევს...  
ბერძენი ყველგან მზეს და წყალს ხედავს,  
მოსჩვენებია ქედები ლომად,  
პელორი — ტიბრად, ათენად — მცხეთა,  
ვერძები — ოქროდ, აია — რომად.  
მეც, გელათს ლოცვას უნდა ვუმატო  
და მონაშეთის გვირაბში ძრომას,  
ცეცხლს შევეუკეთებ, ვინმე თუ ნატრობს,  
ანა დედოფლის ბესიკთან რომანს.  
ხან საყვირებით დროს გავაღვიძებ,  
ხან გადავივლებ რიონის ტალღას,  
ამ შესახვევში ვნახავ ლალიძეს,  
თუ გული ეძებს, რა უნდა ნახვას...  
ეს ქალაქი ხომ შავებს არ იცვამს,  
ერთის ღრუბელივით და ცისფრად ფეთქავს,  
აღდგომის მარხვას როცა დავიცავ,  
ტაძარში შევალ, მოსილი თეთრად...  
ამ სარკოფაგებს, შუბებს, ამ თასებს,  
ფოთლებს ვაზისას სხვა სუნი დაჰკრავს,  
ცრემლს ნუ ჩამითვლი ნაკლად, ძვირფასო,  
და ნურც სიყვარულს ჩამითვლი ნაკლად...

**ნარსულის ლანდუბთან...**

დრო მიდის და დღეებს მინათებს ალმასივით  
სხივი ბავშვობისა, რომ ვერ შლის ვერაფერი,  
თითქოსდა მეზობლის ლერწამა ალვასი ვარ,  
ანდა ალვასავით გოგო — სერაფიმი.  
მინაში დამარხულ ანტიკურ ქალაქთან  
მდუმარე ბაბუას მივყავარ არქონტივით,  
რამდენი სიზმარი ვნახე და არ ახდა,  
რა ცოტა დავრჩით და  
რამდენია დახოცილი...

\*\*\*  
მადლობელი ვარ, უფალო, ეს ცხოვრება რომ მაჩვენე,  
ამ შარებზე რომ მატარე, ამ ლაბირინთს რომ მაცნობ,  
საჩემო ტანჯვით მანამე, ხან მაცინე, ხან მაცრემლე,  
ხან ცხადით, ხანაც სიზმრებით  
შემაგრძნობინე, რაც რომ...

მადლობელი ვარ, უფალო, როდი ვარ შვილი უძლები,  
თუმც ვერაფერი მოვასწარ, ვერ ავისრულე ნატვრა,  
დანა ვიყავი უტარო, მტკიოდა ყველა უჯრედი,  
ცეცხლი მეკიდა, რომ არ სწავს, მეხს მიშენდნენ, რომ  
არ კლავს...

\*\*\*  
ჩრდილები ერთმანეთში ჩადიან და ჩერდებიან,  
ფიჭვები წინვებით მზის სხივებს ისრუტავენ,  
ცაზე თეთრი ღრუბლის მსუბუქი ჩელტებია,  
აქ კი — მინდვრისა და მდინარის სისუფთავე.  
მთები გარშემორტყმულ სოფლებს დარაჯობენ,  
მტერი და ეშმაკი მათ გამო ვერას ავნებთ,  
ჩემო საყვარელო ქვეყანა, გამარჯობა,  
ხომ ისევ ჯანმრთელი და ცოცხალი ხარ, გენაცვალე!..

\*\*\*  
ბედისწერით ატანილი  
მოდგა კაცი ნაჯახით და  
ძირში მოჭრა ერგასი წლის ნიგვზის ხე,  
გადაიბნა აკვარელი,  
ნაცრისფრამდე დაყვანილი,  
ეზოს გულში გულმოსული ზის სიცხე...

რას არ იზამს კაცის ხელი,  
ბოროტი და ავის მქმნელი,  
ბედისწერა რომ ამთავრებს, ის იწყებს...

\*\*\*  
საათს აჩქარებს გუგული,  
კარებს ეხსნება ურდული  
და მზე აელვებს სარკმელს,  
ვარდი გაყვება აივნებს,  
სხვას ველარ ხედავ რაიმეს —  
ამ მშვენიერებაზე ნაკლებს.  
რა ძალა აქვსო, გაიგე,  
მხრებზე სამყაროს გაიდებს,  
სიყვარულია ჯადო,  
სასთუმლად მთვარეს დაიდებს,  
დაელოდება რაინდებს,  
ქაჯთა მოსვრა რომ სცადოს...

\*\*\*  
ქუთაისამდე, გომიდან, ცაში გაფრენა მომიწდა,  
თითქოს მელოდეს რომი და  
ტაძარი აფროდიტისი,  
თითქოს ედება ცას რული,  
ზურმუხტში ოქროდ ჩასმული,  
იქ მელოდება აია, ჩუმად ჩაფლული მითებში.

ელავენ ქართლის მინდვრები, ფიქრები ცაში ასულნი,  
რომ ვცხოვრობთ, ანმყო კი არა, წარსული არის,  
წარსული.

თითქოს მელოდეს რომი და აკროპოლისის ლომიდან  
გადმომდინარი მავსებდეს სისხლი თქრიალა ლიქორის,  
აქ გაფრენილი მზერაა, მზის ცეცხლია და კორიდა  
და დიდი სიყვარულია უკვდავი შოთას სტრიქონის...

ქუთაისამდე, გომიდან, ცაში გაფრენა მომიწდა,  
აქ არის ჩემი რომი და ციხე-გოჯი და დიდგორი.

\*\*\*  
ვეფერები ქარებს, კლდეები რომ გამოფიტეს,  
ვარსკვლავებს, მშვიერი ბელურებივით რომ მიცქერენ და  
მზად არიან ჩემთან ჩამოფრინდნენ...  
ხეებს ვეფერები, სიღრმეებს რომ ჩანვდნენ,  
ფოთლებს, მინიდან ცაში რომ ინავარდეს,  
სხივებს ვეფერები, მიღმეთს რომ გაცდნენ,  
მათაც, სიმართლეს რომ მუდამ მიმალავდნენ,  
ვეფერები ჩუმად ცხოვრებას მითებთან,  
ემშაკებს, ანგელოზებად რომ ითვლებიან...  
ვარსკვლავები თითქოსდა მშვიერი ჩიტებია,  
ისე მიყურებენ, ჩამოფრინდებიან...

**სალაგასიოსი**

გადმოიწია ოტარიდმა, ჩამომჩურჩულა,  
რომ ეგეოსზე განვიმდება, ორმა ურჩხულმა:  
სცილამ, ქარიბდამ გზა გახსნეს  
და კლდე კლდეს დაცილდა,  
სალაგასიოსს ესტუმრეო, კუშადასიდან.  
აქ დაიბარა ადრიანემ ერთხელ ფარსმანი,  
აქ ბევრჯერ იყვნენ ქართველები, კვალი რაც არის  
ავრელიუსის, ავგუსტუსის, ანდა ვერესის,  
მათი სასახლის ნანგრევებიც ჟამს აქვს ხელებში.  
ვკითხულობ სტელას, ალბათ დილით წავალ ეფესოს,  
ვნახავ გორდიონს, ლავდიკიის ამაყ მეფესაც,  
ვნახავ პრიემას, მილეტსა და ლამაზ დიდმას,  
ბიზანტიაში ჩაკარგული ვერსად მივდივარ...  
უკვე განვიმდა ეგეოსზე, დარბის ქარიბდა  
და იონია ნისლეულში ჩუმად გარინდდა...

**თაბალ-გვირისტაბი**

\*\*\*  
ტრაგედიით სული აივსება,  
ცხოვრება ჯოჯოხეთის სადარია,  
ულირსობა კი არა, ღირსება,  
როდესაც გაბრკოლებს ადამიანს...

\*\*\*  
ფაზისს ქაფი მოსდებია უხვად  
და წვიმის ქვეშ ტირიფები ნუხან...  
ფხედავ, ცაში ჩიტს ადევნებ მზერას,  
ჩიტს თუ ამჩნევ, მეც შემამჩნევ, მჯერა.

\*\*\*  
გული გამიტყდა, მაგრამ მაინც ცემს,  
ისე ჩქარ-ჩქარა, ლამის გაიქცეს,  
ნეტავ ქვეყანაც გაუკეთესდეს,  
თუ არ აყვავდა, სულ არ დაიქცეს...

\*\*\*  
რა არ ვცადე, რალა ვცადო,  
ვერ გავფრინდი ლალად ცადო,  
დაღაცათუ რამე ვერ ვქმენ,  
ვერ ვიქცი რალაცადო...

\*\*\*  
დიდია ღმერთი: ის აზავებს ღმირღმირ ნაღველს,  
თუ ერთი კარი იხურება, მეორეს აღებს,  
უცნობმა ჩუმად გაიღიმა და ჩაიარა,  
და თან წაიღო ეშმაკისგან დადგმული მახე.

\*\*\*  
ცუდმა ცხოვრებამ ვისი სული აღარ დასცალა,  
უღმერთობა გაბატონდა, მაღლი აირწყა,  
რაც არ ვიცოდით, სიყვარულმა ის შეგვასწავლა,  
სიძულვილმა კი ყველაფერი გადაგვაიწყა.

\*\*\*  
თუკი ასე გაგრძელდა, ცრემლი მინას გააღობოს,  
კაცის სულს კი ნალექავს უგულობის მდინარე,  
მერე ჟამი მოდგება და ყველაფერს დაარბევს,  
ცოცხლებს დააძინებს და გააღვიძებს მძინარეთ...

\*\*\*  
ხსოვნა მომედება ალივით,  
მზერის, გავლებულის ალში,  
ბავშვის გამგებელი ფრანივით  
გული გაფრინდება ცაში...

\*\*\*  
უცხო ბედისწერის ვარსკვლავზე გაჩენილს  
ცხოვრება მავლებდა საკუთარ ყალიბს,  
ვგავარ მიტოვებულ ჭის ფსკერზე გარჩენილს  
და მფარავს ნელი-ნელ ყელამდე წყალი...

\*\*\*  
გადაება ღამე ღამეს  
მთვარიანი შემოდგომის,  
გადაველო ქარი ბაღებს,  
ბრონეულით შემოლობილს,  
დგას საყდარი ამაღლების —  
ამოხსნას რომ ჩემობს ყოფის,  
უფლის გარდა, ქვეყნად ვინმეს  
რომ არა აქვს შენატყობი...

\*\*\*  
გულზე ვარდი მიკეთია, არის პოეტური ჟესტი,  
ყოფა ისევ ისეთია, — უსულგულო დასჯის ტესტი,  
თუკი რამე სიკეთეა,  
ბოროტებს და ბრიყვებს შესდით...

\*\*\*  
მზე ამოდის, ადნობს ოქროს,  
მთებს ფერებით ავარაყებს,  
ამ ქარებმა მეტი რა ქნან,  
ცაში ღმერთი დამანახეს,  
ყველა ფარდა გადასწიეს,  
დამტუქსეს და განმანახლეს...

\*\*\*  
გონებას მიფანტავს ნუხილი,  
არაფერს არ უნევს ანგარიშს,  
ღმირღმირ მაცვლევივით ცრემლში და  
კენჭში, უბრალოში, მარგალიტს.  
როცა აივსება მოთმენა  
და ვფიქრობ, რომ ყოფა აღარ ღირს,  
შეხვედავ კისკისა ნაკადულს, —  
ბედნიერ სიცოცხლის მაგალითს.

\*\*\*  
რა მშვენიერა აქვს ამ ტყეს,  
ამ მინდორ-ველს და ამ ცას,  
— რა ოდა უნდა ვუძღვნა,  
მაღლი ვინც მცხო და რამცა,  
რამ მივაგო, მითხარ,  
განსაცდელისგან დამცავს...  
ეს ჩემს ანგელოზს ვკითხე,  
პასუხი ქარმა გამცა...

\*\*\*  
არაფერი აღარ მინდა,  
დედამინა ვალარიბდა,  
დაინრიტენ მდინარენი,  
ღმერთი განყრა მაღალი და

მთებმაც დაბლა დაინიეს,  
ყანა გაქრა ღალანითა,  
დეა, რალას დაინახავ  
ცრემლიდან და ჭლარიდან,  
ოცნებებიც დაიღალენ,  
თავს ველარ ნევ დაღალვიდან...





გაგრძელება

სამივენი გავნიტლდით და ალბათ ისე ძალიან დავემსგავსეთ ერთმანეთს, რო ალ-არც მელოტობა ითვლება, არც ხუჭუჭობა, არც ქუდიანობა. ჩვენი, სამივეს ალწერა მარტო ესაა: განითლებული.

მოვწყვიტე, რაც ხელში მომხვდა და აღ-მოჩნდა, რო უამრავი ხილიდან ჩვენთან ახლოს მანცდამანც ტყემალი იდგა.

— თავმდაბლობა გადასარევი თვისე-ბაა, — ქალი ღიმილიდან სიცილზე გადა-ვიდა, — მაგრამ ჩვენს საქციელში ყო-ველთვის უნდა ჩანდეს ჩვენი გემოვნება, ხომ გესმის? არჩევანის გაკეთებამდე კარ-გად უნდა გავიაზროთ, როგორ მივიღოთ მეტი სარგებელი. ჩათვალე, რომ ეს შენი პირველი გაკვეთილია ჩვენს სკოლაში. და-იხარა, ღიმილით შემომხედა პირდაპირ თე-ალებში და თითქოს დენმა დამარტყა. ოლ-ონდ, სასიამოვნო დენმა. ღმერთო, ოლონდ ახლა არ მკითხოს, ჩემს უბანს რა ჰქვია!

— შესანიშნავი გაკვეთილია! ლეო, ახ-ლავე ჩაინერე ეგ სიტყვები, — მითხრა მა-მამ, უნდა რო ამ ნიუს ასიამოვნოს.

დედამ თავის საფირმო მიმიკა ჩართო — მამას თვალები დაუქანა. ქალმა კიდე რამდენიმე ნაბიჯი გადაიკვკა წინ და რა-ღაც უცნაურ ხესთან შეჩერდა. დიდი, მუ-ქნითელი ხილი მონყვიტა და მომანოდა.

— გმადლობთ, — ვთქვი მე და მადლი-ერების გამოსახატად კინალამ ქუდიც მო-ვიხადე, მაგრამ დედამ დროზე შემაჩერა.

ხილი ჯიბეში ჩავიდე. მთელი ბალი შე-მოვიარეთ, ეს ქალი კიდევ რაღაცებს გვიხ-სნიდა, მაგრამ სანახავი იმდენი იყო, მოს-მენის დრო არ რჩებოდა. მარტო მამა უქ-ნევდა თავს და ისე უხაროდა, გული დამწ-ყდა, რო ახალმოსულად არ ითვლება.

— ახლა კი ახალმოსულს ცხოველების სახლი ვაჩვენოთ. თქვენზე უსაფრთხოებ-ისთვის, სჯობს, გარედან დათვალაიერებას დავჯერდეთ, თუ წინააღმდეგი არ იქნებით.

— არა, არა, არ ვიქნებით, არ ვიქნებით! ასე ორ-ორჯერ გაიმეორა მამამ და ძა-ლიან გამიკვირდა, რო ნერვიულობს. მე არათუ დამმედიდებული, უკვე ძალიან ბედნ-იერიც კი ვარ! ვივლი სკოლაში, სადაც ბა-ღში ნაირ-ნაირი ხილია, ნაირ-ნაირ ცხოვე-ლებს უვლიან და ვინ იცის, კიდევ რამდენი რამეა!

ცხოველების სახლი ფერმასავით გრ-ძელი შენობა გამოდგა დიდი ეზოთი. გალ-იებში იმდენი ძალი, კატა, კუ, ზღარბი და ზაზუნაა, რო რა გითხრა!

ნიკო ნამდვილად სიხარულისგან გაგი-ჟდება, აქ რო მოვიყვანო! ნეტა შეიძლება ძმაცაკის მოყვანა? სასწავლად კი არა, სტ-უმრად.

გაგჩერდით და ვათვალაიერებთ ყველა-ფერს. ერთი კაცი ცხენს ვარცხნის, ორი ძაღლების გალიეში არიგებს საჭმელს, სა-მი ეზოს ალაგებს. აქ, მგონი, ზაზუნებსაც თავი ლომი ჰგონიათ, ისე უფლიან და ემ-სახურებიან. რო მცოდნედა ასეთ მაგარ ადგილას მოვდიოდი, ვინერვიულებდი კი არა, დღე და ღამე ვირბენდი და ვიმღერებ-დი ბოლო ხმაზე.

— ახლა აქეთ წამობრძანდით. აქ იმ პა-ტარა შენობას ხედავთ? ეგ აბრეშუმის ჭიის აპარტამენტებია.

ეს ბოლო სიტყვა აშკარად ხუმრობით მოაყოლა, მაგრამ მამა, ეტყობა, ვერ მიხვ-და და არ გაუცინია.

— აბრეშუმის ჭია? — დედაჩემი აღფრ-თოვანდა, — ჩემი მშობლები უვლიდნენ იმ სოფელში, საიდანაც გამოვთხოვდი.

ნიუშ დედას სულ ცოტათი გაუღიმა, მა-მამ კიდე ძალიან დაუბრიალა თვალები.

— აქ, აბრეშუმის ჭიის ოთახში, მოსწავ-ლეებს, ძირითადად, თავდაცვის გაკვეთი-ლები უტარდებოდა. ახლა კი ახალმოსულს ჩვენი ეზოს მეორე ნახევარს დავათვალ-იერებინებ.

ამ „აქ გაკვეთილები უტარდებოდა“-მა ცოტა კი დამძაბა, მაგრამ ამასობაში სპო-რტული მოედანი გამოჩნდა და ისეთი მაგა-რი რამე იყო, ეგრევე ისევე მაგარ ხასიათზე დავედექი! უამრავი სავარჯიშო მოწყობი-ლობაა და, რაც მთავარია — ძალიან ბევრი ბურთი! ამდენი ბურთი ერთად მალაზია-შიც არ მინახავს!

ერთხელ მე და ნიკომ ჩვენს სარდაფში ჩუმად ცოტა ღვინო რო დავლიეთ, ზუს-ტად ეგრე ვგრძნობ თავს, გაბრუებულად. ეზო მთლიანად რო შემოგვატარა, გა-დახურულ, უკედლებო ადგილას მიგვიყვა-ნა, სადაც თეთრი მგვიდა და ფერადი, რბ-

ილი სავარძლები ელაგა. დავსხედით. ნიუშ მაგიდაზე მდგარი პატარა ეკრანი ჩართო და მკითხა:

— ახალმოსულის შთაბეჭდილებები უნდა ჩავინიშნო. ლეო, როგორ შეაფასებდი იმ ყველაფერს, რაც დაათვალაიერე?

— თქვი, თქვი! — მამა, მგონი, ახლა კი-დევე უფრო მეტადაა გახარებული, ვიდრე მამინ, ელექტრონული საბუთი რო მიიღო.

რა უნდა მეთქვა? ეზოს ექსკურსია მაგა-რი იყო! ეზოც მაგარი! სკოლის შენობაც მაგარი! ნიუშ — მაგარი. მოკლედ, ვუთხ-არი, ყველაფერი მაგარია-მეთქი.

— აჰა... რამე რჩევას ხომ არ მოგცემ-დი?

მე მეკითხება! მამაჩემს კი არა — მე! ეს მართლა მაგარი სკოლა ჩანს. აქამდე ჩემ-თვის რჩევა მარტო ნიკოს თუ უკითხავს. ისიც — როგორ ფიქრობ, ამ ხმაღს წვერი კიდევ ნაუთალო თუ ეყოფა? მარტო ასეთი დებილობები. ჰოდა, რა რჩევა უნდა ვუთხ-რა ახლა ამ ქალს, აზრზე არა ვარ.

— თქვი, თქვი! — მამაჩემი კიდე ადგ-ილზე ცქმუტავს, მაჩქარებს.

— ჩემი აზრით... ლიონისფრად შედე-ბილი სკოლა კარგია, მაგრამ იასამნისფერი სახურავი საქმეს აფუჭებს. გოგოების ფე-

ნათია როსტიაშვილი

სხვა სკოლა

რია, — ვთქვი და გავიბღინძე. უცებ მომა-ფიქრდა სახურავზე.

დედაჩემს და მამაჩემს ჩემი ასეთი სითა-მამე ისე გაუკვირდათ, პირი დააღეს. იმ ქა-ლს კიდე საერთოდ არ გაკვირვებია, ჩემზე თამამებისგან ჩემს ნათქვამზე უარესი რჩე-ვების მეტი რა ექნება მაგას მოსმენილი?

— კი ბატონო, ჩავინიშნავ... ეს დაეხ-მარება მასწავლებელს, განსაზღვრონ, რა მიმართულებით იმუშაონ შენთან.

— ააანუ... ანუ, არასწორად ვთქვი? — გაბღუნდილობა ეგრევე ჩამოფუშა.

— ამის ახსნა ჩემს მოვალეობებში არ შედის, ლეო, — ისევე გამიღიმა. ნეტა ამდე-ნი გაღიმიებისგან თავებრუ როგორ არ ეხვე-ვა? მე უკვე დამეხვა, — მაგრამ გეტყვი, რომ გოგოს ფერი და ბიჭის ფერი არ არსე-ბობს. ფერი ფერია.

— ესეც მეორე გაკვეთილი! — გაიხა-რა მამამ და როგორც კი ქალს შესცინა, ეგრევე პირი მოკოშმა, თვალები დაჭყიტა და განითლდა. კულტურულად რო ვთქვა, ეჭვი მაქვს, მაგდის ქვეშ დედას ფეხმა მა-მას ფეხზე ზენოლა განახორციელა.

— კარგი, ცოტა დაისვენეთ და დირექ-ტორი როგორც კი მოიცლის, მის გასაც-ნობად შეგიყვანთ. ახლა წვენს მოგართ-მევენ, უფასოდ. აქცია გვაქვს.

ჯიბიდან ის რაღაც ხილი ამოვიდე და ჩავკებიჩე. საშინელება იყო. დედამ გამომა-რთვა და ხელსახოცში გახახია.

— გზაში მამაშენს ვაჭმევ, მოშივდება. როგორც კი ნიუ წავიდა, თეთრებში გა-მონყობილი ბიჭი მოვიდა, ხელშიც თეთრი ლანგრით, ლანგარზე სამი გამჭვირვალე ჭიქით და ჭიქაში ჩასხმული რაღაც ფერა-დი წვენი. ჰო, წვენი კიდევ — იასამნის-ფერი სანრუპებით, მაგრამ მაგას რა მნიშ-ველობა აქვს? ფერი ფერია!

მიმტანი რო წავიდა, მამამ მიიხედ-მო-იხედა, იასამნისფერი სანრუპი მოისროლა და ჭიქა ერთ წამოყუდებაზე ბოლომდე ჩა-ცალა.

„გთხოვთ, დაიცვათ სისუფთავე. ეზოს ნუ დაანავიანებთ!“ — გაისმა ეკრანიდან. მამა ადგილზე შეხტა, მე და დედას გაგ-ვეცინა. მშვენიერი დღეა, ღმერთმანი.

სკოლის დირექტორის გაცნობა

სკოლის კარი შავტუხა, მხიარულმა კა-რისკაცმა გაგვილო, საერთოდ არ ჰგავდა ჩემი სკოლის ბრაზიან კარისკაცს. კარისკა-ცი არც გეგონებოდა — ჯერ ერთი ბიჭი უფრო იყო, ვიდრე კაცი და, რაც მთავარ-ია, თეთრი ხელთათმანები ეკეთა. კარისკა-ცი და თეთრი ხელთათმანი, წარმოგიდგე-ნია?! მაგრამ ეგრე არც ეს სკოლა ჰგავს სკოლას, უფრო — თეატრს, ან — სამინის-ტროს, მაგრამ სკოლაა.

— ქუდს ჩამოგართმევ, ახალო ბიჭო, — მიუბნება.

— ადგა და არ წამოვიდა უცებ ჩემკენ?!

— მეფარება, — დავიწურჩლე.

— იყოს, ეფაროს, — უთხრა ნიუშაც და ღიმილით წავიდა გრძელი, ბევრი ნათურ-ით განათებული დერეფნისკენ.

სამივე ერთად გავყვიეთ უკან, მაგრამ დედამ ფანჯრის რაფებზე ჩამსკრივიებული ქოთნის ყვავილებისკენ დაიწყო ყურება და აშკარად შეანელა ნაბიჯი. ზუსტად ვიცი, უნდა, რო ნიუს ჰკითხოს: „ბოდიში, ამის თე-სლს ხომ ვერ მომცემთ?“ ან თვითონვე ჩუ-მად ჩამოატყებოს ფოთლები და სახლში წა-ილოს დასარგავად. მამაც მიუხვდა და მხა-რი გაკრა, გამოაფხიზლა. ძნელი მისახვე-დრიც არ იყო, დედა სადაც ყვავილს ნახ-ავს, ყველგან ეგრე შერება.

მთელ დერეფანში რბილი ხალიჩაა და-გებული, იასამნისფერი ესეც. კედლებზე ფერადი ნახატები კიდია და ფანჯრებზე კიდე — თეთრი ფარდები. მოკლედ, ამ სკო-ლის მოსწავლე რო ჩემს სკოლაში გადაიყ-ვანო, ეგრევე ინფარქტი გლიჯავს.

დერეფანი ცარიელია, ეტყობა, ყველა გაკვეთილზეა. ღმერთო, იმედი მაქვს, ამ სკოლაში ბავშვებზეც ისეთივე თბილები და კეთილები არიან, როგორც უფროსები.

— მე ამ კართან დაგემშვიდობებით, დი-რექტორი კაბინეტში გელოდებოდა, — გა-

გვიღიმა ნიუშ, — დღეს ლეო დაისვენებს, სკოლის პანსიონატში მისთვის ოთახი უკვე მზადაა, ხვალიდან კი გაკვეთილები დაენ-ყება. წარმატებულ მომავალს გისურვებ, ლეო. გახსოვდეს, გახდე წარმატებული — ეს ადამიანის ცხოვრების უმთავრესი მი-ზანია!

მიზანზე სოფი უფრო ადვილ რაღაცას გვასწავლიდა, მაგალითად, ცხოვრებაში მთავარია, ადამიანი იყო, მაგრამ ეს ნიუშ კარგი ვინმეა, შეიძლება, სოფიზე მეტადაც შემოიყვარდეს.

დირექტორის კაბინეტში ჯერ მამა შეე-ვიდა, მერე დედა, ბოლოს — მე.

— ჯერ ბავშვი შემოატარეთ! — ოთახი-დან ქალმა იმხელა ხმაზე დაიყვირა, შევხ-ტი, — ჩვენს სკოლაში ბავშვი მთავარია!

— დიახ, დიახ, რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, — თქვა მამამ და ორივენი განზე გადგნენ, გამატარეს. მოკლედ, აქ წამდვილ სუპერმენად ვგრძნობ თავს.

შევედი და რა ვიცი, მე ასეთი გაბრაზე-ბული სახე აქამდე არსად მინახავს! ნიუს და იმ კარისკაცის და ყველაფრის მერე უცებ ამ ქალის გაბრაზებული სახე რაღაც შეცდომასავითაა.

— დასხედით! დავსხედით.

— პირველ რიგში, გილოცავთ ამხელა ცხოვრებისეულ ნახტომს. ხუმრობა ხომ არაა, თქვენი შვილი სოფლის ერთი უბრა-ლო სკოლიდან უცებ ქალაქის საუკეთესო სკოლაში მოხვდა! აქვე მინდა, გითხრა, რომ ის არცთუ მცირე გადასახადი, რომ-ლის გადახდაც ჩვენთან მოგინევთ, სრუ-ლიად შეესაბამება აქ სწავლების ხარისხს.

დირექტორი ორი წამით გაჩუმდა, რო მამას „დიახ, დიახ“ ეთქვა და დედას თავი დაექანა.

— დიახ, დიახ, — თქვა მამამ.

დედამ თავი დაუქანა.

— მეორე რიგში: ჩვენთან ნიგნებს ვერ ნახავთ. აქ პრაქტიკული სწავლებაა, უაზ-რო დაზუთხვები ჩვენი სტილი არაა, ხომ გესმით?!

— დიახ, დიახ, თქვენი სკოლა წამდე-ლიად საუკეთესოა, წამდევილად, — თქვა მამამ.

ამ ქალის ხმა, დედაჩემის სიჩუმე და მამაჩემის ნერვიულობა ძალიან მძაბავს. ნერვიულობისგან მელანდება, თითქოს დირექტორს კაბის ქვეშიდან კუდი გამოე-ზარდა. წამოვიდა ეს კუდი, წამოვიდა და მაგიდაზე მიყუდებულ ლომისთავიან ხე-ლჯოხზე გადაწვა.

ჩემები ისე შესცივინებენ, მგონია, სადა-ცაა საკამიდან ჩამოცურდებიან, იქვე ჩა-იმუხლებენ, ხელეხს თათებივით მიიტანენ მხრებთან, ენას გამოყოფენ და სწრაფ-სწრაფად დაიწყებენ სუნთქვას.

— რა არის სკოლა? რა არის მისი მი-სია? — დირექტორმა უფრო ხმამაღლა და მკაცრად განაგრძო, — სკოლის მისიაა, ბავშვს წარმატებისკენ სწრაფვის სურვილი

გაუღვიძოს და გაუღვივოს. სწორი მიმა-რთულება მისცეს ბავშვის მიერ სამყაროს აღქმის უმნიშვნელოვანეს საქმეს. გაარ-კვიოს ღირებულებებში, ასწავლოს თავდა-ცვა, გაულრმასოს თავდაჯერებულობა, — თან ხმას უფრო და უფრო უწევს, — რათა ცხოვრებამ არ ჩაინიხლოს, ასფალტს არ დაანარცხოს, მინას არ დააჭყლიტოს, ქუს-ლით არ გასრისოს, სული არ გააფრთხოთ-ნოს და საერთოდ არ გააქროს ბოლოს და ბოლოს!!!

დედამ და მამამ ერთმანეთს გადახედეს, მე — დედას და მამას, დირექტორმა — ჯერ ჩემს მშობლებს, მერე — თავის ხელჯოხს. ხელჯოხმა არაფერი, მაგრამ ჯაჭვი რო არ გამწყდარიყო, ჯოხი, ჩემს ფიქრებში, ჩემი მშობლებისკენ მივახედე, უფრო — მამა-ჩემისკენ.

ასეთი დამფრთხლები რო გვნახა, ეტყ-ობა, მიხვდა, რო გადაამლაშა.

— მასპატიეთ, — თქვა და ტურნებით რა-ღაც ღიმილის მაგვარი მოძრაობა გააკე-თა, — იმდენად მთელი არსებით ვილტვი ბავშვების დაცვისკენ, იმდენად მნიშვნე-ლოვანია ჩემთვის მათი სწორად აღზრდის პრინციპები, რომ ზოგჯერ როლებში ვი-ჭრები. ხომ გესმით...

მამამ თავისი დიახ-დიახი აღარ თქვა და ძალიან გამიხარდა. დედამ თავი მაინც ისევე ისე დაუქნია, მაგრამ არ მწყენია.

როგორც იქნა, ლაპარაკით დაღლილი დირექტორი გაჩუმდა და ჩემს წარმოდ-გენებშიც კუდი შეისრუტა, აფუფეული თმა ჩამოეტკეპნა და მხრებზე კეთილი ბებოს თავშალი მოისხა, მკვრივი ღაბბები ჩაეფუშა და თანთალი დაიწყო საყვარლად.

— დღეს დასვენება, ხვალიდან — სწავ-ლა, — თქვა ბოლოს, — ესეც გაკვეთილებ-ის ცხრილი.

პატარა, ოთხკუთხედი ეკრანი ისე გა-მოგვიწოდა, მაგიდიდან თავი არ აუნწევია. ცოტა ხანს შევყოყმანდით და მერე მამა ადგა, მივიდა. დირექტორმა ხელი გაიქნია, სახე ისევე მაგიდისკენ აქვს დახრილი, თი-თქოს რაღაცას კითხულობს.

მამა თავის სკამთან დაბრუნდა და დე-დას ანიშნა. დედა ადგა, მივიდა და დირექ-ტორმა თავი ასწია:

— ბავშვმა გამომართვას, ხალხო! ჩე-ენს სკოლაში მთავარი ბავშვია!

ამ „ბავშვი მთავარიზე“ თავს სუპერმე-ნად კი ვგრძნობ, მაგრამ ახლა უკვე — აკა-ნკალბულ სუპერმენად. მუხლების კან-კალით მივედი დირექტორთან, ხელის კან-კალით გამოვართვი და წამოვიდეთ კა-რისკენ. დედაჩემს კიდე ხმა აუკანკალდა:

— ერთი თხოვნა მაქვს თქვენთან, ქალ-ბატონო დირექტორო, შეიძლება, პირვე-ლი კვირის განმავლობაში გაკვეთილებზე ქუდით იჯდეს?

როგორც ჩანს, დირექტორმა თავი და-უქნია, იმიტომ, რო ხმა არ გამიგია და დე-დაჩემმა კიდევ მადლობა გადაუხადა.

გამოვედით და დაგვხვდნენ ნიუ და კარისკაცი გაკრეჭილები, გაგაცილებით. მშობლები გადავკოცნე, დედამ „თავს გა-უფრთხილიდო“ მითხრა და კარისკაცმა ორივე მთავარი შესასვლელისკენ წაიყვა-ნა. მე კიდევ ნიუს გავყვიე.

სკოლიდან უკან შესასვლელიდან გა-ვედით, მერე სკოლის ეზოდანაც გავედი და სკოლის ფერებში შეღებულ შენობაში შევედი, რომელსაც დიდი ასოებით ეწერა: „პანსიონატი“.

ნიუშ კიბეებზე აირბინა, მე ადგილიდან ვერ დავიძარი რატომღაც. როცა ავედი, ნიუ უკვე ჩემი ახალი საცხოვრებლის ღია კარში იდგა და მანიშნა, შემოდიო. შევედი. ცხრილი სადაც ეწერა, ეგ ეკრანი გამომა-რთვა, უკან მაგნიტი ჰქონია, მაცივარზე მიაკრა და, ეტყობა, ამდენი ღიმილისგან ქანცი ჰქონდა გამძვარალი, მკაცრი სახით, დაუმშვიდობებლად გავიდა ოთახიდან.

ეგრევე მაცივარს ვეცი, რა თქმა უნდა, ცხრილის წასაკითხად არა. გამოვალე და იქვე დავიწყე ჭამა, ასე ძალიან ცხოვრება-ში არ მომშინებია.

— ცოტა მეც დამიტოვე, — ვილაცის ხმა გავიგე და ლუქმა გადამცდა. ვილაც ძალიან შავტუხა ბიჭი იყო, ჩემზე 1-2 წლით დიდი. წყალი მომიტანა. დავლიე და თვა-ლებში გამოვიხედე.

— მე ჯიმი ვარ, ორი „მ“, ჯიმი. ერ-თად უნდა ვიცხოვროთ. იმედია, დავმეგო-ბრდებით...



პანი

ალბათ მხატვრებით იყო სავსე ძველი კოლხეთი — ოქრო კი მათთვის — ტილო იყო. ყველა ხატავდა, კვეთდა არნივებს, ლომებს, ვერძებს.

მათთან მოხვედრილ უცხოტომელებს აოცებდათ სრულქმნილ საგანთა სიმრავლე. და ის მითიური ბერძნული არგო — ნავტიკაც ნაპირს მიადგა და მერე მრავალმა წყალმა და ქარმა ჩაიარა და ძველები ჩარგო და ზედ ლერწამზე გაიხარა. დიდხანს მალავდა მინა — საგანძურს. წრიალებდნენ ზემოთ — ახლები — აგურს ადებდნენ აგურზე და მარტივ დოქებსაც ძერწავდნენ, მაგრამ თიხას ოქროდ ვერ ასალებდნენ, აღარ შეეძლოთ ერთმანეთის გულის მოგება ბორჯღალოს ღილით. რადგან ალბათ უკვე არავის აღარ სჯეროდა, რომ ამქვეყნად მზეა მთავარი.

ალკატრასი

ჩაკეტილია ეს სამყარო სულებისათვის. ეს ალკატრასი არ იკარებს შემთხვევით თვალებს. ახალმოსულებს ძველებში რომ ურევს — ის არის „განგების ხელი“. თავგაპარსულ ახალმოსულებს ზედებით კედლები. რამდენიმე სათნო პატიმარს — გულში ჩაუკრავთ. მერე — ეზო, საკანი, ეზო. ფილოსოფიურ ტატიუბად ზედ ახატიათ — ვის ვინ უყვარდა, ვის როდის და სად რა მიეზლო. მათ შორის ღმერთიც გამოკრთება. ზედამხედველებს დღის განრიგი აქვთ უფრო მძიმე, ვიდრე პატიმრებს — გამოწერილი აქვთ დილიდან ოთხი კედელი, თვალის მოხუჭვას ზეზეულა ვინ აპატიებთ. ისევ საკანი. ისევ ეზო. მზით თუ უმზეოდ. დრო, ძველების გავლით, ამ ციხესაც არქმევს მუზეუმს.

პინ ყოფნა

ძალიან დიდხანს არ ვიყავი შინ და მოვედი და ვერაფერი მაიძულებს ახლა მომბეზრდეს შინ ყოფნა, რისაც თან მჯეროდა, თან მეშინოდა — მოხეტიალეს, შეყვარებულს გზებზე. ღობეზე — ლურჯი ზამბახი ბაღს აშენებს. ზღურბლს და იატაკს, ფარდას, ფანჯარას, მტკვერსასრუტსაც, ოდესღაც მე რომ პანდორას ყუთიც კი მეგონა, თვალს მივადგამ მშვიდად. მივადგამ ამ მაგიდას, რომ ისევ ვნერო — ოლონდ შინიდან. რვეული რომ მუხლებზე მედო და ჩანთა მხარზე, და სადგური, აეროპორტი წინ გუგუნებდა — თუ მოჩანდა იქიდან ეს დრო — მოჩანდა მხოლოდ ხაფანგივით. მაგრამ მოლოდინს ძაფივით იხვევს გზა. ჩერდები. თითებში თითებს შეაცურებ და ჭერქვემ მხრებსაც უბრალოდ გაშლი და თუ სიბერე შორიდანვე ძალიან გლღიდა, ახლა უბრალოდ, სიბერეში, საკუთარ სახლში შედიხარ, როგორც ბავშვობაში. და ჯამში უდრის — სამყაროს მტკერი — ოთახის მტკერს — გინევს მტკიცებათა თავისთვის. და ეს მტკერსასრუტი — პანდორას ყუთი — ისევ იცლება, ივსება და ისევ იცლება.

ავოლუცია

რა მარტივია ზამბახთან — ვარდი. ვიდრე ვარდი ლამაზია, მხოლოდ ვარდია, ზამბახიდან ევოლუცია შემოგვეყურებს. შეგიძლია წარმოიდგინო, როგორ გულდასმით აპირებდა გადაქცევას — ლეოპარდად, მძინვარე კატად, ბოლქვის მთელი ენერგია ატუმბა კვირტში, ხავერდით სავსე ხახა ღეროზე გამოიბა, ყვრიმალეზე გადაიკრა ყვითელი ბენვი, მელნისფერი, წვრილი ხაზებით მთელი სხეული მოისვირინგა, მოემზადა ნახტომისათვის. და სწორედ იმ არქაულ ნაშში — იგრძნო — ისეთი სრულქმნილი იყო, რომ ღეროს — მაგრად ჩაეჭიდა, ყვავილად დარჩა.

გზად

დილა ნახევრად მკვახეა და გზაში მწიფდება, რომ ისევ მოწყდეს დროს, რომელსაც მოაქვს აქამდე თავისი ძველი ნაკადები, ფსკერის რიფები, ზედაპირები, მწვერვალები, რომ არ გაქვავდეს — წამს და მარცვალს ვერ გამოტოვებს, ვერც ნოტს, უმატებს ტემპს, სინათლეში ურევს თავის სანყის კუნაპებს. ვიძინებთ. თითქოს გავაცურებთ ამ ძილით სიკვდილს.


ვიღვიძებთ. თითქოს გადავლახავთ ზღურბლს და ჰორიზონტს. და ხანგრძლივ სიციხეს და სიყვარულს, ხანგრძლივ სიგრილეს დავეძებთ. იქნებ ასეც მოხდეს. ყველა ომი რომ დამთავრდეს — ძვლები ყვავილებს თუ გამოისხამენ, დრო თუ იქცევა უმკვდრო, უძვლო, დახუნძლულ ბაღად, ან არყოფნაში თუ იქნება დილის სისხამი, ან სიყვარული თუ გაგვყვება, ან გადალახვას თუ მოვახერხებთ ამ ეჭვების. სხეულის კიდე — შუა თითია, თუ თხემია კეფის, თუ ენის ნეტი, რომლითაც ჩავებეჭდეთ და ჩავეჭიდეთ დროს, ნასვრეტები გაფუჩინეთ. ასეთი ნელი კადრებისათვის შეჩერება ღირს. და მარტივად ვეტყვიტ სამყაროს — როგორ გვიყვარს, როგორ გავებით. ისე დაფრინავს სარკმლის მიღმა ჭადრის ფანტელი, რომ მოგინდება, დაინახო მათი თვალებით, ვისი თვალების ნაპრალებიც ცალკე სივრცეა, ვერ ჩაანათებს მზის ფარანი — ჯიბის სანათი. ავტომობილი კრეფს სისწრაფეს, თითქოს იცოდეს მიმართულება და მანძილი და მისამართი.

კადრები. ქაპულის აეროპორტი

აი ეს კადრი — ლტოლვილებით სავსე სალონი — თვითმფრინავის — ცაში იწევა და მის ფრთებზე ჩაფრენილი ხალხი ცვივა საკუთარი ქვეყნის მიწაზე, საკუთარი ქვეყნის ჰაერში დამარცხებული ადამიანი — ვარდისათვის განწირული, დაცემისათვის, რადგან ერთბაშად ჩაუკეტეს სამშობლოც და დედამიწაც. და თვითმფრინავშიც — სხეულები — ერთმანეთზე აკრულები — რამდენიმე ასეული ქალი და კაცი და ბავშვები, ეს ბავშვები — თითო-ოროლა მკერდზე, კაშკაშა გულსაბნევეად ძლივს დატეული, მოცახცახე ხელებმა რომ აიტაცეს, სხვა ბავშვების ნაკადებში გამოაღწიეს, — ქვემოთ ტოვებენ ავტომატების ხმად დანყვეტილ მკვლელ სიტყვებს, დამჭკნარ წვეროსან კაცებს, ყველას მომავალს რომ ლეჭავენ „წმინდა წერილად“, აპყურებენ თვითმფრინავის ჭერს და გრძნობენ ცის ვიბრაციას, კარის მიღმა რომ მალავს დიდ სივარდილეს. ადამიანი კი ეცემა, ენარცხება მის მიწაზე გაჩენილ კოცონს მთელი რწმენით, სისხლით და ხორციით, და მანამდე ჰაერში ბრუნავს, ამ უცეცხლო ჯოჯოხეთში, რომელსაც ვსუნთქავთ, ჩვენ, ცოცხლები, ვიდრე შევეყურებთ ეკრანებზე გაყინულ მომენტს და უფრო ხარბად ვეჭიდებით ჟანგბადის ბალიშს ვრცელ სავიელე ჰოსპიტალში — მთელი პლანეტის.

გობრის ყვავილი

ანთია მზეშიც ფარანივით. ანთია, თუნდაც არავინ არ უყურებდეს. ფრიალა ფურცლების კარავია — გულში აქვს პეპლის ჭურპიანი უკუნეთი. აგვისტოს გრძელი გვალვებიდან გააღწევს, ეტლადაც გაგორდება ზღაპრისაკენ. მზიდან შეისრუტავს წარინჯისფერს, კოვზებს და ფაიფურს დაადნება, საკენკად კი — მუჭს გახსნის, მიწაზე დაიპნევა. ჯერ არც არავისი მოსავალი — ყვითლად ყვავის. ვინ იცის, ხვალ ვინ — ვინ იქნება, თუკი მხოლოდ ერთხელ ყვავილობენ დღის და ღამის ჩრდილებს აყოლილი სხეულები, მზე რომ ადრის მიღმაც ეგულებათ. ალბათ ამ დროს სიმწიფე ჯერ არც კი ესიზმრება და ცდილობს ჭურპიდან პეპლის ფრთები გამოზარდოს.



ფრაგმენტები. სხვა ფორმა N100

\*\*\* ახლა, როცა ყოველი დღე უფრო და უფრო ნაკლებ საიმედოს ხდის ჩემს მეხსიერებას, რომ არ ვიგრძნო უხერხულობა დავინყებული დღეებისა და გამქრალი ამბების გამო, — ეს ლექსი გახდეს ჩემი შეგრძნებებისა და მოგონებების საცავი.

\*\*\* ლექსებში ზოგჯერ ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან ამბები, მაგრამ მაინც გვერდიგვერდ ცხოვრობენ. ზოგი ამბავი დაუსრულებელი რჩება, ზოგიც სხვა ამბებს დაირთავს. სიტყვების ამოჩემება წესად იქცევა — ცვალებად ცხოვრებაში უცვლელი წერტილის საპოვნელად ან პირიქით, ერთფეროვანი ცხოვრებისგან თავის დასაღწევად, არა აღმაფრენისთვის — უფრო ნუგეშისთვის.

\*\*\* მოხეტიალე ყურადღება ნებსრიგს ძნელად ემორჩილება. სიტყვები ზოგჯერ მწყობრად მოდიან, ზოგჯერ — ალაღებდზე. ვინერთ, ვინიშნავთ, რომ არ დაგვისხლტნენ, გადავიკითხავთ, ვაცლით იმას, რაც აღარ მოგვწონს ან რის დანერასაც ჯერ ვერ ვებედავთ.

\*\*\* ზოგჯერ თვითონ ავირჩევს სიტყვა. შენი თავისუფლება მხოლოდ ხმაა, რომელიც ჰაერს არხევს და იკარგება. რა უნდა ქნა, როცა ის დუმილს ჰგავს და შეუვალა? ილუზიონისტი სახელოდან მოულოდნელ ნივთს რომ გამოაძვრენს, ისე უნდა გამოაძვრინო ამბავი, შენი მოსაუბრე ხმები გარეთ გამოიტანო, სხვებს გაავიწო.

\*\*\* შეიძლება ასეთ დროს დაინყოს დაღმართი. ეშვები, მიექანები უკანმოუხედავად. უსასრულოა ეს დაღმართი, უძირო. არასდროს ვყოფილვარ კარგი მორბენალი — ვგრძნობ, ძალა მეცლება, ჟანგბადი აღარ მყოფნის. ყურებში მხოლოდ ბავშვობიდან შემორჩენილი ნაცნობი ხმა ჩამეხმის, თითქოს აბრეშუმის ჭია თუთის ფოთოლს ჭამს.

\*\*\* დავეცე მაინც — მუხლისთავებს თუ გადავიყვლეფ, სხვა ტკივილი ჩაანაცვლებს უჰაერობას. ბორგავ და სიყვარულს უხსნი აჩრდილებს, რომლებსაც არასოდეს უცდიათ თუნდაც ერთი ნაბიჯით გასწრება.

\*\*\* ამბობენ, რომ არავინაა ვალდებული, მოჰყვეს სინამდვილეს.

და მაინც: შემომეგება ბებიაჩემი, ალბათ უკვე ას ოცი წლის (არასოდეს ამხელდა ასაკს). დამინუნა ღამის პერანგი, ხმაში საყვედურიც გაერია. ბავშვობაში დაუზარლად გვიმეორებდა: „წარდგა მშიერი და არა შიშველი!“ ჩემი ახალი ლიმონებიანი კაბა გამომიწოდა, რომელიც რამდენიმე დღის წინ შევიძინე და რომელმაც ავადმყოფობას დაასწრო ჩემს ტანზე მორგება.

ინგოროყვა



„ჩემი სული გსურს?“ — მკითხა. უარის თქმა მომერიდა და თავი ვიმართლე: „სული არ გაიყოფა“.

შემომეგება მამაჩემიც კეთილმოსურნე გაკვირვებით. „ჩემი სული?“ — მკითხა ხმადაბლა, როგორც სჩვეოდა, თანაგრძნობით. „მხოლოდ ჩემი სული მსურს“, — ვუთხარი და ხელი გადავხვიე, როგორც თანატოლს.

შემომხვდნენ სხვებიც. მე მათ ჩემი კაბიდან ვუკრეფდი ლიმონებს — C ვიტამინს ვუნჯავდი.

\*\*\*  
ეს ერთნაირი დღეების მზეა — გადასხმის სისტემაზე მიმაგრებული უფერული სითხით სავსე კონტეინერი, რომელსაც ექთანს ყვითელ ფერს ამატებს. მცხრალია ეს მზე. ჩამქრალი. ექთანს ეს არ აღელვებს. სიკეთეც შეიძლება იყოს ჩუმი და დაძაბული. ცივი, მშვიდი და შორეული.

\*\*\*  
მჯეროდა, რომ გადავრჩებოდი.

უანგბადის გზაზე გადავიკვეთეთ. მატარებლების გვერდის აქცევამ წამებს სიზუსტე დაუთვალა.

მჯეროდა, რომ გადავრჩებოდი,

რადგან ჩემს კაბაზე, თითოეული მოწყვეტილი ლიმონის ადგილას, კვირტი იშლებოდა და თეთრად ყვაოდა. სურნელს ვერ ვგრძნობდი, მაგრამ ვიცოდი, ის მელოდა, ვინც ხელი ჩამკიდა და აღარ გამიშვა.

პარასკევი

უფალო, შენც გექნება ტელევიზორი, თუმცა ჩვენს სიხშირეს ვერ დაიჭერ — მანძილი ჩაახშობს.

მე მაინც გეტყვი:

ეკრანებიდან ნიღბიანი კაცები შიშინებენ, რომ გვახსოვდეს სიკვდილი და შინ ჩავიკეტოთ.

სულსწრაფია ჩვენი შიში.

ვისაც არ გვცდია, ვეშურებით ტანსაცმლისაკენ, რადგან ვიცით, შენგან ვიცით, რომ განკითხვისას უნდა წარვდგეთ მშვირები და არა შიშვლები.

გატეხილი აქვს თვალი ჩვენს შიშს.

ვისაც არ გვშია, სურსათს ვიმარაგებთ, რადგან ვიცით, — შენგან ვიცით, — რომ პურია ჩვენი არსობის

და ამიტომაც

მოვეფინეთ ქალაქის ქუჩებს, გადავკეტეთ მოძრაობა. სიკვდილიც ჩვენთან ერთად იდგა საცობში, — გავუძნელეთ დროზე მისვლა ადრესატამდე.

შავ პარასკევს შეუძლია იყოს წითელიც და პირიქითაც.

იცოდე. მაინც.

ლიანა ანფიმიადი

შამოდგომა

დღეს დაუმოკლდა მოსასხამი, ალბათ შენიშნავ, უჩანს ძვალტყავა ფეხები და ქუსლის ბზარები, ქარის ქაშმირის პირსახოცზე სახეს შევიშრობ, თან მინდა ცრემლით დაძინება, თან მეზარება. ძილს ვაფრთხობ, როგორც ღამეს ძალი, ანგელოზს ბავშვი, ღამე უცნობი ენის ზმნაა, როგორ ვაუღლო? ვიხსენებ ჩემთვის ცნობილ ენებს, ვეძებ კავშირებს — ლმერთის ნავალს და ნატერფალებს, ნასახს, ნამუხლარს. დღე მოკვდა, ალბათ მოვკვდებოდი, მეც რომ მეთრია ამ შემოდგომის მთელი ოქრო, განძის სიმძიმე, შეხედე, მაჯა გატეხილი თერმომეტრია, ვერცხლისწყალივით განყდა სისხლი, აღარ ციმციმებს.

ზღაპარი

მზე როცა გადავა ალაგედან, მზის კვალს რომ ჩამოვწმენდ ტილოთი, დავინყებ სახლის დაღაგებას, ვივინყებ, რატომ ვტიროდი. გადავფენ მტვრის დიბა-ფლასეულს, ყველაზე უფასო ფასეულს, ობობის შალსა და ფარჩეულს — ყველაზე ნარჩენს და დარჩეულს... ღამე რომ ჩაიღვრება ჭერის ფსკერში, შიში მშვიერი და ურწყული, მოდის შორეთიდან (სხვას არ ერჩის) ჩემი საყვარელი ურჩხული, ჩრდილის გველებს ტოვებს დარაჯებად, იხდის სამოსსაც და დანარჩენსაც, ტყავსაც, ღამაზსა და საშინელს. ბუხართან მიაგდებს მაშინვე... და ყელის სიღრმიდან ამოიხვრებს ყველაზე მწარე კოცნით მოხვრებს. ცეცხლი, მისი სულის ალი-კვალი, ტყავის ნაფლეთებს რომ ალოკავდეს, იქნებ ის, სინათლით გატენილი, აქ დარჩეს, მზის შემდეგ ამოსვლამდე... სანამ ირიჟრაჟა, გავაცლიე, მოვა, ვიცი, მოვა, სულ ველი... ფანჯარა გამოვალე, დილის მზეზე შემოვდგი ყავის მწარე სურნელი...

გიჟვაპი სიზმარს

რომელ სიზმარშიც შენ არ იყავი, კაბის ბოლოზე ღველფი ამყვა ქერის მინდვრიდან, თვითონაც იცი, მწიფობის ბოლოს ნაპერწკლებს ყრთან ვარსკვლავები, იმდენად ცხელა. ჩემს წნელის სახლში მოვიტანე ცეცხლი იმ კაბით, ააღდა თმა და ჩამოაღდა ხელებს ნიკაპი, წითელი მამლის ეზოდ იქცა სიზმრის ქვეყანა, ვიცი, ვერაფერს გამოვიტანდი, თვალეები მაინც გამომეყვანა! შეშლილები რომ ჩამოვხსენი საფეთქლებიდან, წყლად ქცეულიყო ჰაერი და ქარიც ქრებოდა, ახლა რა ვუყო ორ შტერ ობოლს, ამ წყვილ ლოქორას? ვის შევუსახლო? შენ ხომ არ იცი? როგორ?

წერილი


ხმების ქვეყანა აღარ იხმის, ხმების ქვეყანა მოკვდა, საგალობლების, შელოცვების, ქურუმთა, ბერთა, მოგვთა, ხმების ვენახი, სადაც ღმერთი მტევანს ლექსივით მარცვლავს, ხსოვნაც ხმასავით თუ განყალდა, გაგმართლებია, მართლა. ვერ ამოფრინდა ქარაგმაში ჩაქვავებული წერო, ხმა ამომიშრა კრემლებიდან, უხმოდ ვტირი და გწერ რომ... ციხეს, არც დაბალს და არც მაღალს, ღამისოდენას — ვზი მე, მრავალწერტილი, სიტყვის კვალი, ჰე (მძიმე), ჩემო (მძიმე), კანზე ჰაერი შემომახმა და ფურცლებივით ვიცვენ, არაფერია, იმათ რა თქვან, ვინც არ მომკვდარა, ვინც ვერ...

შამოსხვევა

კვირადღე, ბავშვის ჩრდილს ვასეირნებ, კარგი ამინდია, მზეც, წვიმაც, ნამწამის ჩრდილი გავიმკვეთრე, გავიბასრე, გარბის, ვენევი, გავრბივარ, მენევა. ჯიუტია, ზოგჯერ გზატკეცილზე გადაწვება, ზედ გულზე, გულისგულზე იტარებს მანქანებს, საქანელაზე არ ჯდება, ზედ დგომა ურჩევნია, ქარი თმას უწენავს და უფრო ღონივრად, საშიშად გამოაქანებს. ნაიფორხილა, წაიქცა, სასწრაფოდ ავაყენე, გადავუკეტე ასფალტი, ჰემოფილია არ გადაედოს, არ გაქრეს, არ განყალდეს, მუხლზე სული შევუბერე, ვაკოცე. კვირადღე, ვსეირნობთ, მზიანი, ნათელი ამინდია, მოკლდება, თითქოს ფეხებთან წყალივით დაღვარეს, მეშინია, რომ არ გამიქრეს, შეშინებული ავეყურებ მზეს — ჩრდილების დედების მარადიულ დამხმარეს. საღამოს დაგრძელდა და ბნელი კუთხისკენ იწელება, ეძინება, ბავშვების ძილის დროა, ჩრდილების ძილის დროა, შენს სახლთან მოვიყვანე, თვალეებში შემაყარა ფოთლების შუქ-ჩრდილები, რაც კი დღეს მოაგროვა. — აჰა, შენი ჩრდილი, ირბინა, დალილია, მოგიყვანე, ჩაგაბარე, კარგად მოასვენე, შენს საწოლში ჩააძინე, და შუალამისას თუ ფარდის შერხევა შეაშინებს, იქ, სადაც გული ჰქონდა, თბილი ხელისგული დააფარე.



\*\*\*



2018 წლის ბოლო დღის ბოლო საათებში და, რატომ, არ ვიცი, ეს უწყინარი ფიქრი ამეკვივება: როგორ დახატავდა და დაახასიათებდა (გემახსოვრებათ მისი მინიატურა, რომელიც „დამხასიათებელი“ შქვია) ნათელმზილველობასთან ნაზიარები რეზო ინანიშვილი 90 წლის უბერო საკობიანოელ მელექსეს გაბრიელ გარაშვილს. რას გვეტყობდა და დავგანახებდა თავისი წვერნათილი ფანქრის საშუალებით საუკუნეს მიტანებული არარეგული ფაქტების ბერძენული ცხოვრებიდან. რას შეადარებდა ამ ასაკშიც კი ყოვლიანობა შავ მის უღვაშებს და ტყვეობით „გაუვალ“ წარბებს. რა ფერსა თუ მხატვრულ ხერხს მოიზარებდა წლების სიმრავლისგან ალაგ-ალაგ ჩატკეპილი მისი პირისახის საჩვენებლად...

გაბრიელ გარაშვილი — ჩვენი დროის ჩინებული მელექსე, როგორც თვითონ ამბობს, სიბერისგან „დახანოტებული“ და „დაღანძობებული“. ძველთა ამბავთა მცოდნე, „მხრეკელი“ და დაგემოვნებით მოხრობელი. ქცევით, გარეგნობით, ჩაცმად-დახურვით და სიტყვა-პასუხით „წინაჟმის“ კაცი, ვინც მიხა ხელაშვილის ერთ-ერთი მკვლელის „ჩაქალღების“ ამბავიც დეტალებში იცის და ვისაც ტყეში ყაჩაღად გასულ, არსენა ოძელაშვილის კვალში ჩამდგარ ვაჟკაცებთან ერთად ქართული პურდონის მადლი მიუღია...

ფარხა (გაბრიელის უმთავრესი თიკუნი. ნიშნავს ღარიბ-ღატაკს, ძველმანებით შემოსილს) — მამით ფაშველი და დედით ხევსური (ერთგან ამბობს: „დედულთ ჯიშისხს ნამამკრავს, გან მუღამა ვარ ჭკვიანი“) — იმ წაღმართი, ამაღლებული გზის განმგრობია, რომელთანაც პარასკევას და მერცხალას, ყორანას და ყრუ გიორგის, ხობას და ღვრათ ჩონქარას, ჯაბანის და მუშტათ ჭრულას, ფრუშკას და წინოთ კარატიელის, ბოტას, ბოკოლიკის და ფილიპე ღვინიაშვილის ნათელფენილი სახელებია დაკავშირებული. ხოლო მათგან იმით განსხვავდება და გამოირჩევა, რომ, სულ ცოტა, სამოცი ფსევდონიმი აქვს და ასეულობით ღირებული ლექსის ავტორია...

შარშანის ფონდ „ქართული გალობის“ მიერ მალაღ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული ლექსთა კრებული „გადიდარე, ზეცაო“ და სოლიდური ფულადი პრემია ჩაუტანეთ საკობიანოში (მონანილენი ამ საპატიო მისიისა: ქალბატონი ნანა გოთუა, ბატონი ანზორ ერქომაიშვილი, გიორგი დონაძე, ეთერ თათარაიძე და თქვენი მორჩილი). ვარდნარიან ეზოში გამოგვეგება, ტკბილი ფაშურით მოგვესალმა, დაგვლოცა, „დაგვამწყალობა“ და ამაოდ შეეცადა თვალზე მომდგარი სხარულის ცრემლის დამალვას... და ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ინიციატივით ქართულ პოეტურ ფოლკლორში შეტანილი გამორჩეული ნეოლიოსთვის გაბრიელ გარაშვილს საუკუნის ავტორ-მთქმელის ნოდება მიენიჭა...

ხოლო მანამდე, რამდენიმე თვით ადრე, მე და ეთერს საკუთარი ლექსებით საესე ასამდე თხელი და „საერთო“ რეული გვანდო და გამოგვტანა... და კი ხანს დავდიოდი უჩვეულოდ მდიდარი მისი პოეტურ სამყაროში არცთუ მოულოდნელი სტუმრობით გათანგული და გაოგნებული...

როცა ფარხას ფილფო და ძალ-ღონე მოსდევდა, „ზერე-ქვერე“ ავადობა ნაკლებად აწუხებდა და თვალის „ქორბულ“ უჭრიდა, თითქმის ყოველ წელს მონანილენობდა ხალხური პოეზიის საღამოებში. მისი ლექსები დიდად მოსწონდა ვახუშტი კოტეტიშვილს და, რომ დასცლოდა, ალბათ ჩემ ნაცვლად ის დაუნერდა ბევრად უკეთეს წინასიტყვაობას...

სიტყვის საღმრთო ტკივილებგაყურებული, ყველა ნამდვილი შემოქმედებით, გაბრიელ გარაშვილიც უქონელი და უქომავა. „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ მისნაირ „წერატანილებს“ არ თანიობენ. ამიტომაც აცხადებს პირად უპირატესობაში დარწმუნებული ადამიანის მწარე თვითირონიით, გაცნობიერებული სიამაყით და შეუ-

ამირან არაბული

სულუქცევრად საკითხავნი

ვალობით: „ყორანთა გაბრიელი ვარ, ეთელის სოფლის დარია, სახლისად ვერ ჩამისომის აკომკაი და კარია. ფარლიატია ყველგნითა, გარბის-გამორბის ქარია, ქარმ დამისრივნა კრამიტნი, წვიმას ჩამააქე ჩქამია“.

ფარხას ლექსთა ძველ, დაძინილ რეულიებში საკობიანოს მთებსა და ხევსუვებში (კვირიათგორი, ხველურთხევი, იფნიანტაფი, მმრალახევა, ჩოფანანის ახო, დიდამაშულელები...) მწყემსობისას მოკრეფილ კობტა ყვავილებს ჩასძინებიათ;

ყვავილებს, რომელთაც ჭრელკაბიან დებად და გულისთქმის შესაიდუმლებად თვლის გაბრიელ პაპა...

**P.S.** ზამთარია და, ვფიქრობ, ჩვენს გუნება-განწყობილებს გაბრიელ გარაშვილის არა სათოვლე და საყიამეთე, არამედ ასეთი ლექსი უფრო მოუხდება: „გამაგრა წუთისოფელმა, რა ნაშალის ბანარი, გამაძაროს, დედა ვუტირე, აი, ეგ არი, რაც არი! ლაგამ ჩამიდვა? — იმასაც კილებით ვუქენ კრანანი, ვერ დამაჩოქა, თუმცა კი ბევრჯელაც გამდგენ ლანანი. მაბრმო, მაყრუა, მაგრამ ვერ შამაყარა ნაცარი, ვერ ამაცდინა ჩემს გზასა, თუმც სურდა ჩემი ცანცარი, არ ვიცი, რადა მჯობობენ ე ზოგებ არაკაცანი!“

\*\*\*



...გიგლა იოლად ვიპოვეთ, მამუკას მიკვლევა გაგვიჭირდა.

ორივე გომბორის მკვიდრია. გვარად წინაპარაულები. ჩინებული პოეტებია, თუმცა „მელექსეობა“ უფრო შეჭფერის მათ გენეტიკურ ნიჭიერებასა და წერის მანერას.

ტრადიციული ოჯახების შვილებია. ღირსეული გვარის გამგრძელებლები. ნაუჩოქებლად მიუყვებიან წინამორბედთა მიერ გაკვალულ ბილიკს, რომელიც ხან მოზურუსებულა, ხანაც მზის იდუმალ არილში გაღანდული...

სარჩო-საბადებლის საძებრად დედაქალაქს შეჰხიზნიან, მაგრამ არც სოფელს ივიწყებენ და, გამონახავენ თუ არა დროს, იქითკენ იჩქარაინ (ძნელია, როცა მამისეულ სახლში აღარვინ მიგვლის და ერთიორი დღით ჩასულს თვითონ გინევს გამოქაყრებული კედლების გათბობა!)

მათ მხრებს უკან მთის მკრთალი კონტური რომ მოჩანს, იქ მამაპაპათა სალოცავის — გუდანის ქვენა ჯვრის ნიში ეგულვით, სადაც ზაფხულობით, საათენგნოდ ადიან და საკრალური რიტუალის მსვლელობაში მონანილუბენ...

მამუკას ამოთქმულია: „გაუსაძლისო ცხოვრება, თან დამდეკ კებნა-ღრენითა, ხან ძალით დაბლა დამაგდებ, ხან მომბარუნებ ენითა, სიამოვნებას განიჭებ უსუსურობით ჩემითა...“

ხოლო ეს გიგლა: „გეშველეთ, მამულიშვილნო, დრონი დგან დასაგმონია, სად გაგონილა მშვიდობა, მთელი ცხოვრება ომი! უქმად ნახარჯი სიცოცხლე არდაბადების ტოლია...“

მათი დღის განაწესი სიმყუდროვეს, ვერონის ტყეში ხეტიალსა და ფიზიკური ჯაფისგან თავისუფალ დროს ნაუკითხავ ნიგნებთან განმარტობასაც უსათუოდ გულსხმობს...

გიგლა და მამუკა წინაპარაულები — ბერი ბაადურის უნჯ ყმათა შთამომავლები. ახლა მათ გულსა და ბეჭებს ანებს ულურიან წინაპართა კაცობისა და ჯიშინობა-დღიანობის მძიმე ტვირთი.

ლონიერებია და შეძლებენ ზიდვას...

\*\*\*

ჯუთის შეღმა უზნის ნანილი. პირი ნაგვიანევი გაზაფხულისა. ამ დროისთვის ალაგ-ალაგ შემშრალ მზვარეში მორცხვი ენძლები ილიძებენ და ცა-ღრუბლის ბატონს დარიანი დღეების დადგომას ევედრებინან.

შორ მწვერვალებზე, სახენებასა თუ სალათის, ჯერ კიდევ ლუსუმი, უძრავი თოვ-

ლი დევს, ხოლო ფადუხის შუანელი შესამჩნევად შეჭრელებულა და საფეხვოდან ისე მოჩანს, იტყვი, ნამძინარევი ვეფხვი იზმორებო!

შავქარაფიდან და ყანათავის მიდამოებიდან ჭროლა შურთხების ზარი და გნიასი მოისმის, რაც ხანგამოშვებით მათზე დავეშლი ლაღი არნივის ღონიერი მხრების ქარიშხლისებრ შხუილში იკარგება...

ძილქუშიდან გამოპარულ სოფლის სულფონ შარაუნებს ამ ნეტარი ჟამისთვის ჩვეული ყრუანტელი უფლის. საცაა ხგნათესვა დაინყება. ნისლას და მერცხალას რქებზე თაფლის წყვილ-წყვილი სათლენი დაინთება და საგანგებოდ ამ დღისთვის გამომცხვარი მანიერი ქადა გაისერება. შესრულდება რიტუალი, საუკუნეებს რომ ითვლის. წლის მოუმცდარ მოსავლს ხომ აქედან უნდა დაედოს სათავე!..

საჩადლებში ჩადგმულ თივის შეყვითლებულ ზინებს ნინა ზაფხულის ხასხასა ფერები ეზმანებათ... გზისპირებისა და ნალობების ნოტიო მინიდან სამზლოვნე ჭინჭრის დაკბილულ ფოთლებს ამოუყვიათ თავი. მალე სახნისის ნაჯაფი წვერი და საკვეთევი გააპნობენ ნოყიერი მიწის ნიაღვს და ღრმა ორნაბე „მძლევრად“ ხმობილი წყლისფერი ურნატა მოჰყვება ჭილუების ძებნას...

გაზაფხულია, მაგრამ დილა-საღამოს ისევ გვარინად გრილა. დროდადრო ნამოლოშქრავს, პირდაპირაში ლემადე გაჩნდება და გასულ მთებზე თავხმირ თოვასაც გამოურევს...

ღარიბი და ნაღვლიანია ზამთარ-გაზაფხულის გაზაგასაყარზე გარჩენილი სოფლის პეიზაჟი. და მანც იმედი ასულდგმულებს მწერსა თუ ადამიანს: რამდენიმე დღეში შემდგურული ცაც ფერს იცვლის და მყოვანი, თეთრი საფარველისგან გაბზრებული მინაც სხვარივი ხმითა და ხალისით ადუღუნდება...

\*\*\*



ფიზიკური დაძაბუნების წინახანებში რამდენიმეჯერ ვინახულეთ ნოდარ ანდელულაძე — მსოფლიო რანგის უთვალსაჩინოესი საოპერო მომღერალი...

დიდი სიამოვნებით ვისმენდით და ვინერდით მოგონებებს, ფშავ-ხევსურეთში, სვანეთსა და გურიამ მისი მოგზაურობისა და „პიკანტური“ თავგადასავლების დიდპატარა ამბებს რომ ეხებოდა.

ყოველ ჯერზე გვაოცებდა მავსტროს ხალასი და უხარვეზო მხედველობითი მეხსიერება. რა ადგილები, წყალ-ჭალა, გზა-ბილიკები და დიალოგები, თანამოსაუბრეთა ორ ფრაზები და რეპლიკები ახსოვდა! და, რაც მთავარია, როგორ ყვებოდა — დიალექტური მეტყველების ნიუანსობრივი დეტალების შენარჩუნებით!..

მერე მისი ფერადოვანი ნაამბობი ნიგნად ვაქციეთ: „მავსტრო და (არა მხოლოდ) ხევსურეთი“ (2014); ნიგნად, რომლის ფორცლებზე გასულ საუკუნის 50-იანი წლების უნიკალური ფოტოსურათების განთავსების შესაძლებლობაც მოგვეცა...

ერთხელაც უაღრესად პირადულ, დიდად დელიკატურ საკითხს შევეხეთ: რა გარემოებამ შეუშალა ხელი დაოჯახებაში...

ალბათ ერთადერთი არა, მაგრამ ერთი უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ მავსტროს გენის გამგრძელებელი არ დარჩა, იმ უსუსუთავეს, ზე-მინიერ სიყვარულშიც იმაღლება, ერთ-ერთი მორიგი სტუმრობისას აღსარებასავით რომ გავგანდო მე და ეთერს: „ბარისახოში იყო ერთი არანორმალურად ლამაზი წინაპარაულის ქალი. შეყვარებული ვიყავი მასში. სახე ეხლაც მახსოვს, სახელი — არა. ჰქონდა ძალიან კარგი ტანი. იყო მალალი. ცუდი შედარებაა, მაგრამ საუკეთესო მომენტში — არლოვა!.. მაგრამ არლოვაზე ბევრად „დასტიონი“. მე აშკარად მქონდა ნაფიქრი: ამას ქალაქში ვერ ნავ-

იყვანი თუ რამე გავებდე, აქ უნდა დავრჩე. ამიტომაც ვერ გადავწყვიტე. რალაც საოცარი ტაქტის ძმა ჰყავდა. ვაჟკაცის სახელი ჰქონდა. ეცვა ხევსურულად. აქამდე მახსოვს. არ დამვიწყებია... შინაგანად ვგრძობდი, რომ იმ ქალის აქ, თბილისში ჩამოყვანა არ შეიძლებოდა...“

**P.S.** დღეს ორი თაობის არაერთი უნიჭიერესი შემსრულებელი ემსახურება თავისი უძვირფასესი მოძღვრისა და მასწავლებლისაგან ანდერძად დატოვებულ საზეო საქმეს — ვოკალურ ხელოვნებას.

გრძელდება სიმღერით სიცოცხლის სიხარული!

ხოლო არხოტის, ველკეთილისა და ლატვარის უღელტეხილებზე ისევ ჰყვავიან დეკა და კესანე — ნიშანი ამქვეყნიური სილამაზის მარადიულობისა...

\*\*\*



დუმაცხოელი მთქმელი და მთხრობელი ბურთა აფციაური სადებდბროს მთაზე მოღვანე ბერებისა და იმავე მთის ძირას მცხოვრები მჭედლის უჩვეულო ურთიერთობათა ღირსსახსოვრად ანდერგზს გვიყვება გუდამაყრის ფოლკლორული ექსპედიციის მონანილევებს (იურა ჯაფარიძე, ზურაბ კიკნაძე, მე) და საიმდროოდ ნაკლებადცნობილ ჩვენს უგულთადეს მეგზურსა და მასპინძელს გოდერძი ჩოხელს.

ერისიონის (სულხან-საბა განმარტავს: ერისიონი — ცისიერი, მთის თავს ზეით) სიახლოვეს დამკვიდრებული ბერები, ნიშნად მადლიერებისა, კალათით (!) წყაროს წყალს უგზავნიან მჭედელს: დაბლობში ხარ, სიცხე განუხებს, გულს გაიგრილებ, გესიამოვნებო! არც ეს უკანასკნელი რჩება ვალში და ბამბაში გახვეული გახურებული რკინის ნაჭრის მირთმევით უხდის სანაცვლოს: თქვენთან სულმუდამ სიცვივა, ფიზიკური გარჯა არ გაკლიათ და ხელების გასათბობად გამოგადგებათო!..

ზე და ქვე-მყოფნი თავიანთი სინმინდის წყალობით უსხულო არსებებებით გადაადგილებიან ჰაერში. და ასე გრძელდება მანამდე, სანამ ერთი ლამაზი ქალის მიზეზით ლევიტაციის უნარს არ დაკარგავენ რკინის ნრობის მესაიდუმლე მჭედელი და ცისა და მიწის გასაყართან მობინადრე მოწესე-მეჭემმარტინი... გულში უკეთური ზრახვის გავლებით ორივე მხარემ შესცოდა უფალს და სასჯელიც უმცარესი დაიმსახურეს...

რა გვახსენდება? ბეთლემის გამოქვაბულთან დაკავშირებული მოხეური ხალხური ამბავი და, რასაკვირველია, ილიას „განდეგოლი“, რომლის სიუჟეტურ ხევეულებში მითოსური მოტივებიც აშკარად ხშიანობს და ფილოსოფიურიც...

ასე და ამგვარად, მსგავს პირობებში მიკვლეული და ჩანერილი ჩვენი მრავალჟანიანი ზუპრისტიკვიერების დიდი ნაწილი: გაზამარასა და სათიბში, ლხინსა და სამწყემსურში, სამკალსა და სადღეობო ლუდის დულილში, მკვდრის რიგებსა და ქორწილში, წისქვილში, მწველ მზისგულზე და თავსხმა წვიმაში...

ხოლო ქვეყანა ჰგვის უკუნიითი უკუნი-სამდე.

და ადიდებული, ამღვრეული შავი არაგვიც, როგორც გოდერძი ჩოხელი იტყობდა, ისევ ისე „მიერეკება ღორღიან ჭალას“...

**P.S.** სიღრმეში რომ სახლი მოჩანს, სხვათაშორის, ემაგ სახლშიც ვყოფილვარ, ოღონდ სხვა დროს, სხვა ვითარებაში. სახელდობრ მაშინ, როცა მე და ორმა ჩემმა თანმხლებმა ვაჟა ფიცხელაურისა და ნაზი აფციაურის ნიშნობის საქმე გავარაგეთ...

\*\*\*



ჩარიგებდა, დამშრულ საქონელს დააზეზებდა, წიკვლის გამოუყენებლად გარეთ გამოყრდა, წყარუაყურემდე გალაღვდა, უკან შემობრუნებული გომურს გამოგვიდა, ზღაპრად ეზოკარს არყისხის უხეში ცოცხით დაასუფთავებდა, ძირისახლის სარკმელს შეაღებდა, ცოტათი მოსულფონებული ხელ-პირს დაიბანდა, თვალში გამოიხედებოდა და საუზმის თადარიგს დაიჭერდა (დილაუთენია ერბოთი დაპოხილი მსლოვნების დაცხობასაც კი ასწრებდა ხოლმე. ასწრებდა, ვიდრე მამა და სამი ძმა სათიბზე წავიდოდით)...

არაადამიანურ ჯაფაში ათენ-ალამებდა. ამ მხრივ ჯუთამი გამონაკლისი თითქმის არც არსებობდა. ქალ-დედროვანი „ექსტრემალურ“ რეჟიმში ცხოვრობდა და უძველესი წყნარ-მწუხარებით აღსავსე თავის წილ წუთისოფელს...

დედა „ქალაქისოდენი“ დღის განმავლობაში წუთით თუ წაუძინებდა, მითუფრო საუფლო დღესასწაულის — ათენგნობის მერე, მაშინ, როცა თიბზე და საქერსვილე ყველის მკა ინყებოდა... დასამხრებამდე, ყველის „ამონურვამდე“, შალანდიყში დაფლულ კარისპირულ მამულსა თუ მოლობილ წყლისპირებში ტრიალებდა და სახეცვლევებს შესუფულ ზალ-მონდავების გადაძახილს მისი ნამგლის წკრიალიც უერთდებოდა (გაგახსენებთ, როგორ ელაპარაკება მთიელი მელექსე თომა ნიკლაური თავის ნამგალს — „ორად მოხრილ რკინას“: „...ის დრო არ ჯობდა ამ დროსა, როს მიმიძლოდო ნინაო, პირს ოფლი გადაგვიდოდა, როგორც ჟუჟუნა წვიმაო...“ სადღა ან ის ნა-ამარგარი ნამგალი, ანდა, ანაგურელი ბიჭისა არ იყოს, წყალგაღმით გამომავალი ნამგლის საამო წკრიალი)...

დედამ ბევრი ხალხური ლექსი და, თურმე — ეს გვიან გავიგეთ! — ფანდურზე ძველებური ხევისურული „ლექსობაც“ იცოდა. მახსოვს, როგორ წაიმღერებდა დაბალ ხმაზე რომელიმე პოპულარული ლექსის სტრიქონებს. განსაკუთრებით უყვარდა სასწორფრო-საქალაქონი და ალაზას მონოლოგი ვაჟას „სტუმარ-მასპინძელიდან“: „...ნეტავი ნებას მაძლევდეს დედაკაცობის რჯულიო, რომ ეგ ვაცოცხლო, სხვას ყველას გავაფრთხობინო სულიო...“

სმენა ჰქონდა უნაკლო (და უნიკალური!). ხმაც ხელს უწყობდა, თუმცა დღეობებსა თუ სახმით-ქორნილებში მისი დაკვრა და სიმღერა ჯუთამი არავის უნახავს, არავის გაუგონია.

1980 წლის ზაფხულში დიდი „ჩანყობა“ — ნაცნობობის წყალობით ორთაჭალაში მაგნიტოფონი რომ შევიძინე, ერთი კასეტა დედის ნამღერით და საშიბუე ტყის ბინადარი ჩიტების გენიალური გალობით შევაკვე. დღემდე ამაოდ ვეძებ ამ ჩანაწერებს. სად შევიხაზე, ვეღარ ვიხსენებ...

ერთ ზამთარს ეთერის თხოვნით (მათი რძობა-დედამთილობის განანესი ამგვარ რამეებსაც ითვალისწინებდა) დრო გამონახა: რაცკი რამ ხალხური ლექსები ახსოვდა, ზღაგვეწერინა მწვანე ფანქრით (!) სამ თორმეტფურცლიან რვეულში ჩანერა და გაზაფხულზე თბილისში გამოგვიგზავნა...

...სულმუდამ სიკეთის სხვისა და ნასახს დაეძებდა შინ და გარეთ, სოფელსა და სამეზობლოში, საერთოდ, მთელ სახევესურეთში...

ამ ოცდახუთი წლის წინათ ავადობა-ცოდინარმა სრულებით მოულოდნელად დასწერა ჯვარი სააქაოს მყოფთ და წავიდა... ჩუმად შეეზიარა მთიანეთისთვისაც კი უჩვეულოდ მძიმე ზამთრის უსუფთავეს უსასრულობას.

\*\*\*

...მივიდიოდით, მივკვალავდით ფუფქ თოვლს და არასდროს გვიფიქრია, რომ მოულოდნელი სტუმრობით უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენებდით უცნობ მასპინძლებს. სადმე, რომელიმე სოფელში ნიჭიერ ავტორმთქმელსა თუ მარაგიან მთხრობელს რომ დავიგულვებდით, აღარც ყინვა-ყინამეთი იყო ჩვენი შემკვეთელი და აღარც

წელამდე თოვლში გაუჩინარებული, საზვავე და სხვა მხრივაც სახიფათო გზა-ბილიკების სიშორე (ერთ ზამთარს ასე ავედით გუდანდან გორშელმის სოფლებში — ჩხუბასა და აყნელში და ღამეც იქვე, გადუა არაბულის ოჯახში, გავათიეთ).

მაშინ ზამთარიც სხვანაირი — ჯიშიანი და მოუმცდარი იცოდა: უხვთოვლიანი, უჩვეულო ინტიმით დამუხტული, სიჩუმეში დაყურსული, პოეტი რომ ხატავს, დაახლოებით ისეთი: „მთის ჩიტი მთას შაკვდაო, თოვლი თოვს, არ ჩანს საფრენი, მთას ჰკითხეს, რა შავაკლდაო, მთამ — დიდი არც არაფერიო!...“

და თუ რომელიმე გრძელ-განედზე შეურყვენელი სამყაროს მაძიებელ სულს უამბოდა და ესადგომებოდა, ეს ხევესურეთი — „ნარმართული სიძველევების ცოცხალი მუზეუმი“ (ოთარ ჭილაძე) გახლდათ. ხალხი: აკვარგინი, სასურველი სტუმრის მომლოდინე, გულბია და ხელგამლილი... თიხის ბარაქიან დერგებში კურატის დამარილებული ხორციც ყოველთვის ეშოვებოდათ და საგანგებოდ გადანახული წინნაწერიანი (ძველად — სასწორფრო!) „მინებიც“.



საღამოობით საველე-შემკრებლობითი სამუშაოდან დროებით საცხოვრებელში რომ დაგბრუნდებოდით, ერთი სული გვექონდა, როდის მოვისმენდით ერთერთისაგან იმდღევანდელ ჩანაწერებს... გადიოდა დღეები და ივსებოდა უბის წიგნაკები თუ საერთო რვეულები ხოგაის მინდისა და ცაზე ორი მზის დგომის, იახსარისა და კოპალას, მინანისა და მამუკა ქალუნდაურის, ხირჩლა ბაბურაულისა და მარტია მისურაულის, გუდანისჯვრისა და ქაჯავეთის, თიბლუკისა და თოთია გაიდაურის, ბითაოებისა და ნანილიანების განსაცვიფრებელი ამბებით.

\*\*\*

მას მერე ორმოცი ცოდვარალიანი წელიწადი გავიდა. ეს ფოტოსურათი 1978 წლის თებერვლის შვიდშია გადაღებული. გუდანდან მოპირდაპირე მთის ფერდობზე მდებარე ჭიჭი ასვლას, სულ ცოტა, ორი საათი მოვანდომეთ, მაგრამ ღირდა დაღლად: ფოტოლოგი ექსპედიციის წევრებს (რომელთაგან ოთხნი — იურა, ბეჟანი, შერმადინი და ნოდარი — ჩვენ შორის აღარ არიან) ჭინჭარაულების უმშვენიერეს სოფელში დამხვდურთა დიდბუნებოვნებისა და უბერებელი ხალხური სიტყვის გულისგამთბობი გამოჩინებები გველოდა...

**P.S.** ჭიჭი ჩვენი მისვლა ჟიპიტაურის გამოხდას დაემთხვა. საცეცხლორთან მიმყუდროებულ ლუკა გამახელას ძეს ასეთ ამინდსა და მოცალოებაში დაუპატიჟებელ სტუმრებზე ძვირფასი რა უნდა ენატრა! ჯერ მოხერის რქა, ხოლო მერე „გარელოჯა“ — ბევრად მოზრდილი ყანნი — მოიტანა და მალე ნამდვილი ხევესურული ღრეობის მონაწილეებად გვაქცია...

შემგლისფერებულზე დავბრუნდით გუდანში. ღრმა თოვლში გადარულ საცალოფებო ბილიკზე ნაცადი მეგზურივით მიგვიძლოდა იურა ჯაფარიძის განუმეორებელი იუმორი...

ახლა ისევ ფოტოსურათის შესახებ. პირველ რიგში: პაატა ვეშაპიძე და ნოდარ გრიგალაშვილი.

მეორე რიგში: ლევან ბაბუხაძე, ბეჟან ხარაიშვილი, იურა ჯაფარიძე, შერმადინ ქალაღანი და მე.

ფოტოპარატს ვასიკო მაღლაფერიძე განაგებს. ამიტომაც არ ჩანს ის კადრში.

\*\*\*

...ერთხელაც, სექტემბრის ბოლოს, ხდის ხეობაში რომ მოვხვდით უნივერსიტეტის სტუდენტთა სამომდგომო ალპინადაზზე; მთელ კვირას რომ წვიმდა წვრილად, დაჟინებით; საჯიხვეებს ნისლი რომ ფარავდა და ჩვეიც, სველ კარავში გამომწყვედეულები, ხვეიდან ქოქიას მიერ ამოტანილი „სტალინი“ რომ ვიშუშებდით უამინდობით გამოწვეულ უგუნებობას.



კაცი ხომ ასეთ ექსტრემალურ პირობებში იცნობა; მთა ადამიანის გამოცდის საუკეთესო ადგილია; შუალამის ხანს ყინულიანი მწვერვალებიდან წამოსული ნიავის სისინზე რომ გაგვღვიძება და ერთიანად დაბუყებული მალე გათენებას რომ ნატრობ...

მანამდეც ვიცნობდი და ხდის ხეობაში ხელმეორედ გავიცანი ორი უღირსეულესი ქართველი ვაჟკაცი: თამაზ ბაძაღუა და გია ესებუა; ორი გამორჩეული სახელი სიახლისა და თავგადასავლების მაძიებელ ახალთაობაში; სწავლის წყურვილსაც რომ იკლავდნენ, იკმაყოფილებდნენ და არც ბოჭმურ ცხოვრებას, სამკაცო ტაბლასა და ღამეების თეთრად თენებას იკლავდნენ... საქართველომ მათი სახით ბრწყინვალე მწერალი და უპატიოსნესი იურისტი (ამაშიც ღრმად ვარ დარწმუნებული!) დაკარგა: თამაზი, ცოლშვილთან ერთად, ბრმა შემთხვევამ შეინირა სამეგრელოში, ხოლო გია ომის შორის ატეხილი სამარცხვინო ძმის ქარცეცხლმა იმხვეგრულა დედაქალაქში...

\*\*\*

„მარწყვის ჭალაში“ დავბანაკდით. ერთ ღამესაც (ისე ბნელოდა, თვალთან თითს ვერ მიიტანდი) თამაზ ბაძაღუა კარგიდან გავიდა და გაუჩინარდა. შევწუხდით, შევფიქრინა დიდი. მე, ზვიად ნოდარ და ვასიკო მაღლაფერიძემ ფარანი ავიღეთ და ზემოთკენ მიმავალ ბილიკს დავადექით. ვეძახეთ და ვერ გავაგონეთ. ალაღბედზე მივიდიოდით... ცოტაც და აბორგენული ხდისწყლის ნაპირზე, არყისხის ფესვებთან მივაგვინით. ფეხები შრავდა კბოდეზე ჰქონდა ჩაკიდებული და „ტკბილად“ ეძინა. სასწაულებრივად იყო ხიფათს გადარჩენილი!

ნაცრისფერ სივრცეში დარჩენამ და გამოდარების მოლოდინმა აზრი დაკარგა. აივსო მოთმინების ფიალა და კვირისთავზე თამაზთან ერთად დავემშვიდობე „ქარვების ქალაქს“. ჩამოვიარეთ ხდის აფერადებული ხეობა. ნითლად მოწყენილ ასკილსა და ცირცელს შეყვითლებული ფოთოლი სცვიოდა. ტალახიან ბილიკზე რჩებოდა ჩვენი ნაფეხურები. ჩაჟანტებული საჯიხვეებიდან ქვასაგორავის ხმა და ქვიშის ჩხრიალი მოისმოდა...

დარიალში, თამარ მეფის ციხესიმაგრის გასწვრივ რომ ჩამოვედით, ნისლმა მალა აინია. გამოჩნდა „ქუფრი ქარაფები“ და მუქმუნანდ მოხასხასე ტანკენარი ფიჭვები. ციოდან. კახისან მოგვინა ლოდინი. ბოლოს, როგორც იქნა. ჩამოვდა გროზნოს თუ პიატიგორსკის ავტობუსი. სულ ბოლო რიგში აღმოჩნდა ორი თავისუფალი ადგილი. დავსხვდით თუ არა თბილ სავარძლებში, დაღლილსა და ნასიცვიარ თამაზს ჩაეძინა და ფასანაურამდე თვალი არ გაუხელოია...

ხოლო იმ წარუმატებელი ალპინადაიდან უანგარო მეგობრობის მადლი და რამდენიმე (მათ შორის — ესეც!) შავ-თეთრი ფოტოსურათი შემომჩნა...

**P.S.** ხანდახან ასეც მეფიქრება ხოლმე: რომ დასცლოდათ და ასე ნაადრევად არ ჩაეკრიფათ „შუქნი მზისანი“, ნეტავ ახლა როგორები იქნებოდნენ თამაზ ბაძაღუა და გია ესებუა? დააჩნდებოდათ თუ არა უნდობარი დროჟამის ნიშანი? მათაც აიყოლებოდა ზენა-ქვენა ქარების დაუდევარი ქროლვა თუ ისეთებად დარჩებოდნენ, როგორებიც იყვნენ მაშინ, სიჭაბუკის ღამაზე, საწუკვარ წლებში?!

\*\*\*

გოგი ოჩიაური და ილო ფხოველი. ღირსეული საქართველო მოგვჩერებია მათი აზრანი, მოზომილი საუბრებიდან. ძველი ფხოური ამბების საუკეთესო მცოდნენი, მთხრობელნი და მეჭმეშარტიენი, უხარვეზო მხედველობით მესხიერებაში რომ აცოცხლებენ თავიანთი სიჭაბუკის, ჯვარისყმობისა და უღრუბლო ახალგაზრობის მღელვარე, სხვიოსან წლებს.

სწორფრობისა და წაწლობის ნაღვერდლიან ღამეებთან წილნაყარნი; „დღიანნი“ და ჯიშიანნი; მენაჭრელაე ნადობა და მელექსე-მესიტყვეთა შემოქმედებითი შთავგონების წყარონი, ბევრი თანადროული „პატრიოტისაგან“ განსხვავებით თვალში-უნდომლად შორს რომ იდგნენ სამარცხვინო კუთხური მჯობინობისა და ურთიერთსენვის უხერხული სულისკვეთებისაგან!

ამ ორი დიდი პიროვნების წყალობით თითქოსდა სხვარიგი „შარმით“ იყო შემოსილი ფშავ-ხევესურეთის არაგვის ხეობა (უფრო სწორად: ხეობები). გზაგამრუდე-ბულებს შევლოდა და აკვალაინებდა მათი პირადი მაგალითი, საკრალური ცოდნა, საქციელი და სულიერი გამოცდილება...



მართალი გითხრათ, მესიამოვნა, როცა გავიგე, რომ გოგი ოჩიაურს აღსასრულის წინა დღეებში თავისი მეუღლისთვის ჩემი ჩანაწერების პირველი ნიგნიდან „სულუქცევრად საკითხავნი“ ქისტებისა და ხევესურების მტრულმოყვარული ურთიერთობის ამსახველი დოკუმენტური ამბების წაკითხვა უთხოვია...

დავკონკრეტებდი და ამასაც ვიტყვი: ილო ფხოველს უნდა ვუმაღლოდეთ, ანა კალანდაძის შედეგები — ფშაური ციკლის სატრფილო ლირიკის შეუდარებელი ნიმუშები — რომ მოგვეპოვება!..

„ხართა მხნეთა დაუღლოთა“ (იაკობ ხუცესი) დახედა მოჰქონდათ საქვეყნო ტვირთი, თანამომძეთა „საცხოვრებისო წუხილი“ (ვაჟა), საღმობა და სატიკვარი...

ჩვენს უბის წიგნაკებს, საექსპედიციო რვეულებსა და ვიდეოკასეტებს მათი დამჯდარი და, ამავდროულად, ემოციური ნათქვამ-ნაამბობიც შემოუნახავს: იხსენებენ ფშავ-ხევესურეთის დარავრიან წარსულს, კოლორიტულ პერსონებს, ჩვენამდე ამბად მოსულ რჩეულ ადამიანთა თავგადასავლებს, უკანასკნელ ზუცეს-ხევისბრებს, ღვთისმსახურების თითქმის მივიწყებულ წესებს და იმედოვნებენ უკეთეს დღეთა დადგომას...

\*\*\*



ვინც იურა ჯაფარიძეს იცნობდით. ვინც გვანცა კოპლატაძეს იცნობთ...

ალბათ გეცოდინებათ, რომ ნათელმირონის მადლი იდგა მათ შუა.

სულისმიერი ნათესავეები ეთქმოდით. გვანცას გურულ სიფიცხესთან მიმართებაში შოდაკედელსა სიმძიმეს ედრებოდა იურას რაჭული სიღინჯე და სიღარბისლე. ამიტომაც ახერხებდა ასე ადვილად იმ ხანებში კათარზისის საკითხებით გატაცებული კოლეგის გამოწვევასა თუ უწყინარ გამოჯავრებას...

და ამ ფოტოსურათზეც, რომელიც ორმოციოდენ წლის წინ აბარში, იურას ძველრაჭული სახლის ფართო აივანზეა გადაღებული, სწორედ ის წარმავალი წამია შეჩერებული, კვიმატი სიტყვის სათქმელად მზადყოფ იურას უღვაშებში რომ ელიმეზა და წინდაწინ იცის, რა რეაქცია მოჰყვება გვანცას მხრიდან მისი მორიგ „გამანადგურებელ“ გამოსვლას...

ნეტა იმ დროს, როცა შეგირდებოდა თუ უმცროს მეგობრებს ერთთავად იურასკენ მივიწვევდა გული და მისი უძვირფასესი მშობლებიც — ქალბატონი თამარი და ბატონი ალიომა — ცოცხლები იყვნენ!..

**P.S.** აბარისა და აბარელი მასპინძლების განსაკუთრებულმა სიყვარულმა ათქმევინა ვახუშტი კოტეტიშვილს:

რაჭაში რო აბარია, ანგელოზებს აბარია, თავზე ადგას ხვთისმშობელი, უფლის კალთა აფარია.

ალეკო

ამ ბოლო დროს ხშირად ვფიქრობ ამაზე და მგონია, ის ჩემი ოჯახის წევრი რომც არ ყოფილიყო, სადმე შემთხვევით რომ გადავწყვიტო და დავახლოვდები, მაინც ასეთი თავზარდამცემი იქნებოდა ჩემთვის მისი ასეთი მოულოდნელი გარდაცვალება, რადგან დღემდე არ შემხვედრია უფრო საინტერესო, უფრო ნაღდი და ერთგული ადამიანი. თუ ის ბოლომდე დარწმუნდებოდა შენს ერთგულებაში, დაუფიქრებლად შეეძლო, თავიც კი გაენირა შენთვის და პირიქით, თუ ვინმეს ორპირობას შეატყობდა, უცებ საშინლად დაუნდობელი ხდებოდა. ამიტომ ბევრი გაუბრალოდა მასთან დაახლოვებას. ყოველთვის ძალიან მონესრიგებული, მოვლილი, უმაღლესი გემოვნებით ჩაცმული, ერთი შეხედვით, სიცოცხლეზე შეყვარებული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, არადა, სინამდვილეში სულ პირიქით იყო, მთელი ცხოვრება ბედისწერას თუ სიკვდილს ეთამაშებოდა, არ შეეძლო შიშისა და სიფრთხილის ერთმანეთისგან გარჩევა, თითქოს ამის უნარი ჰქონდა დაკარგული. ეს არა მხოლოდ მისი ფათერაკებით სავსე ცხოვრებაში, არამედ მის ყოველდღიურობაში იგრძნობოდა, თევზაობისას, ნადირობის დროს... სოფელში ერთი კაცი გვჭირდებოდა, რომელსაც უზარმაზარი აზიური ნაგაზი ჰყავდა, ადამიანებს ერჩოდა, ეზოში კი არა, იმ არემარეშიც ვერაფერს ბედავდა არხინად გავლას. შორიდან დაეუწყე დაძახება, ვერ გავაგონე. მიიხრა, ხომ კარგად იცნობ იმ კაცს, იქნებ სახლში შეხვიდეთ. მიზეზი ვუთხარი. მაშინვე გადმოხტა მანქანიდან, ჩემკარს ეცა და მოულოდნელად ეზოში შევარდა. ეს უზარმაზარი, ძალიან რომელიც გაავებული ასე აწყდებოდა რკინის ჭიშკარს, უცებ დაფრთხა, დაპატარავდა, ბრაზიანი ყეფა საცოდავ კავკავივად გადაეხარდა, გაიქცა. თევზაობისას, სადაც მივადგებოდი ადგილებზე, ფერმეცვლილ, უზარმაზარ ლოდებში მისი თუ კლდეების ვინრობებში მბორგავ მდინარეს, თითქოს ფონის შერჩევაც ეუხერხულებოდა, იქვე შევარდებოდა, უცებ ქრებოდა ავად მბრუნავ გუბებში, ცოტა ხანში მოეკრავდი თვალს მდინარის მეორე ნაპირზე მძლავრი დინების რიტმს აყოლილ ფეხის თუ ხელის კიდურს. გავიდოდა, გაღიმებული გადმოხედავდა თხმელებს შორის ასე გაშტერებულად მდგარს.

დასაფლავების შემდეგ თითქმის ყოველ ღამე მესიზმრება — თუ მარტონი ვართ, სულ კარგ ხასიათზეა, რაღაც სასაცილო ამბავს ჰყვება ხელების თავისებური მოძრაობით, მაგრამ საკმარისია, მოშორებით, თითქოს ნისლეულის სიღრმიდან, გამოჩნდეს ახალგაზრდა ქალის მაღალი ლანდი ორ პატარა გოგონასთან ერთად, უცებ სახე ეცვლება, ფითრდება, ყმები უცახცახებს, შემდეგ ასე ნელ-ნელა სახის ყველა ნაკვთი უქვავდება. და ამ გაქვავებულ სახეზე ყველაზე ნათლად იკითხება პატიება. მონატრება. სინანული...



„გაზაფხულია მაინც ასეთი, კეთილი, როგორც კარგი ხარება, ახალგაზრდობით მოკისკისეთი ახარხარება“.

რაღაცნაირად თქვა, სევდიანად, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა. მოგვიანებით ძლივს აღვიდგინე გონებაში ეს სტრიქონები, მაშინ ავტორის ვინაობაც არ ვიცოდი. მისი ეს საქციელი როგორ არ უნდა მომწონებოდა, მაგრამ მახსოვს, რომ არ მომეწონა.

ერთხელ ჩემს სოფელში რაღაც დღესასწაული იყო, ზოგი სოფლის კლუბში ქეიფობდა, ზოგიც — გარეთ, უზარმაზარ კაკლის ქვეშ. კაცების უმეტესობა მთვრალი იყო. ამ დროს რამაზიც გამოჩნდა, როგორც იტყვიან, განგრეული მთვრალი. ვიფიქრე, ახლა ვიღაცას აუხირდება და ატყდება აქ ერთი ამბავი-მეთქი. მან კი ტორტმანით გაიარა ხალხში, სავსე ჭიქას დანვდა და იქვე სოფლის კლუბის პატარა სცენის კუთხეში გაჩერდა. მერე ყურადღება მითხოვდა. ზოგი მართლა შებრუნდა მისკენ და გაისუსა, ზოგმაც ხელი აუქნია, ზოგს ყურადღებაც არ მიუქცევია, ყველა თავის სტიქიაში იყო. რამაზი კი რაღაცნაირად შეიჩხრა, გამოცოცხლდა, თვალები გაუბრწყინდა, თითქოს ამ უცნაურ, უსაშველოდ მოსაწყენ გარემოს ერთიანად მოწყდა და ნელი, რბილი ხმით (ის ხმა თითქოს მას არ ეკუთვნოდა) დაიწყო ნიკოლოზ ბართაშვილის ლექსის „ფიქრნი მტკვრის პირას“ წაკითხვა. დაიწყო და ამ ხმამ მეც ნამილო სადღაც, სადღაც დიდი სევდით და იდუმალებით მოცულ სამყაროში. ამ ყველაფერმა ერთიანად შემძრა, მსგავსი განცდა რომ არ დამუფლებოდა, ალბათ არც გამახსენდებოდა ეს ამბავი ოცდათორმეტი წლის შემდეგ. გამახსენდა და სწორედ ახლა მივხვდი, რომ პირველად სწორედ მაშინ მიიზიდა და გაანათა პოეზიამ ჩემი დაბინდული გონება. პოეზია მანამდეც მიყვარდა, თუმცა, ეტყობა, მარტო ზედაპირულად ვტკბებოდი, მეოცე საუკუნის პოეტების ესთეტიკით. ამ ხმამ კი თითქოს ძალით გამიტაცა და გამიზნულად დამკარგა იქ... ახლა ზუსტად ისიც არ მახსოვს, როდის მორჩა კითხვას, იმ ფრაგმენტს ვისხენებ, როგორ გაუჩინარდა ჩემი სოფლის მოსახლეობა ბარბაცით მიმავალი. და იმ დღის შემდეგ როგორ შემეფარდა ის კაცი, როგორ მიხაროდა მისი დანახვა. წლების მერე საზღვარგარეთ წავიდი, იქ მითხრეს, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულაო.

ბოსხის სიზმარი

ერთის მხრივ თითქოს კარგია, საშინელი დალილობისგან ისე რომ გირღუნდება სხეული, ფიქრის თავიც არ გაქვს, თუნდაც ლექსების ზეპირად კირკიტის თავი, რომელმაც ისეთი ჩათრევა იცის, მთელ ღამეს კომპარად გიქცევს. მე კი ძილი მინ-

სოსო მეშველიანი

ქართულ წარწერას გადააწყდები...

და, ენერჯის აღდგენა — უფრო მძიმე დღის მომლოდინეს. თუმცა, ასეთი დალილობა დაძინებაშიც ხელის შემშლელია. ნამონოლილმა შუბერტის „სერენადა“ ჩავრთე, მაშინვე შემოაღწია ჩემში ამ მაგიურმა მუსიკამ, ჩამეძინა. ეტყობა, ისე ღრმად შემოაღწია ჩემში, სიზმარიც ამ მუსიკასავით დიდებული იყო. პირველად არ ვხედავდი ამ სიზმარს, მაგრამ ამჯერად განსხვავებული იყო, უფრო ფერადი, უფრო დახვეწილი — ის სიყვანის მთის ქობმახიც (უფანჯრო ქვის მინური) უფრო ნათელი, უფრო მოდერნიზებული, კომფორტული. მეც გვიმრის ლეიბის ნაცვლად რაღაც სქელ, რბილ ქსოვილზე ვწევარ, იგივე შორიდან მომავალი ჩანჩქერების ხმაა, უამრავი სხვადასხვა ფერისა და ზომის ჩიტების ფურცული, დეკიანი ქედის გაღმიდან მომავალი მოზულრავე ხარების ხმები. ქარი, ყვავილები, პეპლები, ყველაფერი თითქოს ერთნაირად არის და განსხვავებულიც.

რაღაც ყრუ ფხაკურმა კარის ზღურბლისკენ გამახედა, შევცბი, ეს ზღაპრული ფერადოვნებაც აიშლავს, განაცრისფერდა, ორი უზარმაზარი შავად მოლაპლაპე გომბემო შემოხტა შიგნით, ერთი ახტა და ყველის ამოსაყვანი ქვების თავსახურზე დახტა, თავსახური ოღნავ გვერდით გაცურდა, გამოჩნდა თეთრი გამკვრივებული სითხე. ამ დროს მეორე ახტა, იმ პირველს ზურგზე დაახტა და ორივე ქვაბში ჩავარდა. საინტერესოა, რა განცდა უნდა დამუფლებოდა, ასე უცებ რაღაც საშინელ ხმაურს რომ არ გავეღვიძებინე — ისევ ის ბოლიგივილი წყლია, ვისგანაც ეს ოთახი ვიქირავებ, ისევ უგონო მთვრალეები (ლუდით ილემებიან). ჯერ ლამის კარი ჩამოიღეს, მერე რაღაც ნააქციეს, ჩხუბობენ, ყვირიან, ღნავიან, ადამიანის სახე აქვთ საერთოდ ნაშლილი, მერე იცინიან.

მღერიან, მერე ისევ ჩხუბს იწყებენ, უცებ ჩუმდებიან. რაღაც ყრუ ხრიალი ისმის — შემეშინდა, ერთმანეთი არ დაახრჩონ — ნამოვხტი, საცვლების ამარა გაქვანდი სამზარეულოსკენ, საიდანაც ხმაური მოდიოდა. იქ ასეთი სურათი დამხვდა — ნელზე-მთო შიშველი, ფაშვგადმოგებული მსუქანი კაცი გულადმა წევს იატაკზე, ასევე მსუქანი დაბალი ქალი მუცელზე აზის და კათხიდან ლუდს ასხამს პირში, ეს უკანასკნელი ხრიალებს და უკან ამონთხეული ლუდი ყურებში ეღვრება. უცნაურია, საშინელმა სიბრაზემ უცებ გამიარა და მხოლოდ სიბრაზის განცდა დამჩრდა, და სინანულის, აქამდე რომ ვბრაზობდი და მთელი დღეები ვლანძლავდი.

თვითიზოლაციიდან...

დავმშვიდდი, დაძაბულობაც მომეხსნა, რაღაცნაირი სიმსუბუქეც კი ვიგრძენი. გზაშივე გაქრა ის პანიკის ნიშნები, რაც ჩვენთან, საქართველოში, იგრძნობოდა. მაგზა-

ვრობით გადადილობა, მაგრამ შუბლგახსნილობა გავიხედე ხალხით გაძედილი მატარებლის ფანჯრიდან, რომელიც ბარსელონის აეროპორტიდან დაიძრა. მოშორებით საოცარი ხედი იშლებოდა, ისეთი, პოეზიის, ლექსის წერის ხასიათზე რომ მოგიყვანს. აი, გონებაში თავისით, ძალდაუტანებლად დაიწყო დალაგება სტრიქონებმა:

...გულგრილი მაინც როგორ დარჩები, თებერვლის თვეშიც როცა იმ მდორე მდინარის ვალმა, დიდი მინდორი ხასხასებს მწვანედ, იქვე ყანჩები პატარა ტაძრის გუმბათზე სხედან...

„არა უშავს, ნავა, ჯერ კარგად დამწიფდეს გონებაში, მერე დაუბრუნდები და მივხვდები, ღირს თუ არა გაგრძელება“ — გავიფიქრე. კარგ ხასიათზე მოვედი, მატარებელში ერთმანეთზე გადახლართულ ხალხს გადავხედე, აქა-იქ სასიყვარულო სცენებიც გამოკრთა, მერე ჩემს ზურგჩანთას დავხედე და გამეცინა. ნუხელ, ნამოსვლის წინ, ძალით ჩამიდეს ერთჯერადი პირბადეების მთელი შეკვრა, ხელების დასამუშავებელი სპეციალური სითხე, შუშუნა აბები — ეს ყველაფერი რაღაც ახალი ვირუსის შიშით. გამეცინა — ეს მშვეილი, სიცოცხლით სავსე გარემო მაძლევდა ამის საფუძველს. მაშინ შეუძლებელი იყო იმის წარმოდგენაც კი, რომ მე და იქ მყოფ ადამიანებს, ასე უდარდელად რომ ვენაფებოდი სიცოცხლის უტკბეს ნექტარს, სულ რაღაც ორ კვირაში ყველაფერს შხამად ამოგვადენდა ბედისწერა — შორეული უპანიდან ნამოსული ჭირი, რომლის სახელსაც იმჟამად ვერაფრით ვიხსენებდი. ვერც იმას წარმოვიდგენდი, თუ ასე სწრაფად, კვალში ჩამდგარივით დამეწეოდა და გადმოსწვდებოდა მთელ პირინეის ნახევარკუნძულს — სულ ცოტა ხანში მთელ ევრაზიის რუკაზე ჩინგიზ ხანის იმპერიასავით რომ გაიშალა. ყველაფერი ერთ დღეში შეიცვალა, აირია, თავდაყირა დადგა. მერე ბევრი მძიმე, გამოგნებლად უცნაური დღეები, გაშტერება, გაბრუნება, ჩაკეტილობა, სრული სიცარიელე. უკვე სახლის (საკუთარი ოთახის) დატოვებაც დიდი დანაშაულია. ჯერჯერობით სამშობლოში დაბრუნების არანაირი შანსი არ ჩანს. ასე სასონარკვეთილი, უაზრო მდგომარეობისგან უკიდურესობამდე მისული ვიპარები ცოტა ხნით აქვე, ერთ ყრუ, უკაცრიელ სკვერში. ტყისპირია, ამის იქით დასახლებები არ არის. ჩიტების ჭიკჭიკი ვუსმენ დაძაბული იმის შიშით, საიდანღაც ადამიანი (პოლიცია) არ გამოჩნდეს. სამშობლოდან კი არა, საერთოდ რომ გგონია, ცხოვრებიდან ხარ „ამოჭრილი“ და უცებ სასიერო ბილიკზე ქართულ წარწერას გადაწყდები „მიყვარხარ“... ამან ისე ამაფორიაქა, არც მახსოვს, რამდენჯერ აფუარ-ჩავუარე. ამაზე უცნაური რა შეიძლება იყოს? მეც ძალიან მიყვარხარ...

კალადობა

ძალადობა უცხო კი არა, ყველაზე ახლოებული შეიძლება იყოს ჩემთვის. ბალიდან მოყოლებული, უფროსი ბიჭები რომ მებრძოლი ძალის ლეკვებით აგვარჩევდნენ, გაგვიყვანდნენ, ჩვენ შორის გაშლილ ხელს გააჩერებდნენ და გვიბრძანებდნენ: „აბა, რომელი მიაფურთხებთ პირველი ერთმანეთს“ ან „აბა, რომელი ნამოარტყამით“ — როგორია? თანამოცილი, რომელთანაც მთელ დღეებს ატარებ, გიყვარს, ძმასავითაა, უნდა მიაფურთხო ან დაარტყა თუ არადა: „ფუ, მშობარა“ — და თავად ნამოგარტყამდნენ. როგორ მეზიზღებოდნენ ჩემიანები, ჩემი უვიცი უფროსი ძმები. არადა, დიდი, ღონიერი ბავშვი ვიყავი, ჩემს თანატოლებს დავისევდი და ვერაფერს მიზამდნენ, მაგრამ არ მინდოდა ჩხუბი. არ მეშინოდა, უბრალოდ მეზიზღებოდა ძალადობა. ამაზე დიდად არც უფროსებს ჰქონდათ რეაქცია, ჩვეულებრივი ამბავი იყო. იშვიათ შემთხვევაში თუ ამომასხამდა და მივბეგავდი ვინმეს. სკოლაშიც იგივე ხდებოდა, უფროსი კლასებში — უარესი, მერე სტუდენტობა და 90-იანი წლების ქუთაისი, მერე — რუსეთი. იქ ერთთან მომიხდა ჩხუბი, გავლახე. მერე ექვსნი დამხვდნენ, ისეთ დღეში ჩამაგდეს, დღეები სუნთქვა მიჭირდა, გვერდები მქონდა დაბეჭდილი, ყბებს ვერ ვამოძრავებდი, ორი კვირა მარტო რძეს ვსვამდი...

ახლა რომ ჩემ შვილს ვინმე ისე მოექცეს, არ ვიცი, ალბათ კბილებით გამოვლადრავ ყელს. ასევე — ყველა მოძალადეს. ვიდრე ვნახე, სადაც ბავშვებს სცემენ აფთრის ნაშობები და მთელი დღე მიკანკალებდა სხეული სიბრაზისგან, ასეთ დროს, არა მგონია, ჩემზე საშიში ვინმე იყოს.

### ჩემთვის წარა

ერთ დროს ძალიან მიხაროდა ჩემი ლექსების ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდვა, წიგნად გამოცემა, გამოხმაურებები, პრემიები... მიხაროდა და თან რაღაც ძაან უარყოფითიც ახლდა, რაც სულ თან სდევს ამ ლიტერატურულ პროცესებს, რომლის შემჩნევაც არ მინდოდა. ეტყობა, ასე წვეთ-წვეთად მაინც გროვდებოდა ჩემში ეს უარყოფითი ემოცია, სანამ ერთ დღეს უზარმაზარი კაშხალივით არ გასკდა და თან ნაილო ის სიხალისე, ის შემართება. ახლა მხოლოდ ჩემთვის წერა მირჩევნია, როგორც ადრე, 17 წელი რომ მართო ჩემთვის ვერდი და არავისთვის გამიმხელია. მაინც ლექსის წერის პროცესია ნამდვილი სასწაული, როცა რაღაც კარგს აგნებ და სისხლიც თითქოს თავლივით ტკბება. მერე კი სულერთია, ბლოკის თქმისა არ იყოს, „გაჩუმდით, წყევლო წიგნებო, მე თქვენ არასდროს დამინერხებთ“. და ბოლოს, ასეთი გამონათქვამიც ხომ არსებობს: „ბოლოს ყველაფერი თავის პირვანდელ საწყისს უბრუნდება“.

### ახლაც ჩამესმის

დედარჩემის შეკვივლება ათწლეულებია, ჩამესმის, როცა იმ გაჭირვებაში გადანახული კაპიკებით 2 ტომარა „სერო“ ფქვილი იყიდა. პურს ნატრული ვიყავით, თვეები კარტოფილსა და ყველს ვჭამდით. უკანასკნელი კაპიკებით მეზობლებს ანზორასგან ფქვილი იყიდა. გვიხარია, პურს შევჭამთ, და უცებ ბელლიდან კივილი გვესმის. მივცვივდით, რას ვხედავთ — დგას დედაჩემი და მატლებით სავესე საცერი უჭირავს. გოლდა მერიმა თქვა, კორუმპირებული ჩინოვნიკი შვიდ თაობამდე უნდა გამოაცხადო ქვეყნის მოღალატედ. ჩვენთან პირიქით — მერე და მერე უფრო ყვავის და ბიბინებს.

### სიგიჟეა მათი

ეს სიგიჟეზე მეტია, რაც უფრო იშხამები ცხოვრებით, უფრო რომ გენერება. ეს კიდევ არაფერი, ამით რომ კმაყოფილი ხარ, ეს არის სრული აბსურდი. ზოგჯერ საშინლად მაღიზიანებს ეს ყველაფერი, და აქაც რომ წენვა-გლეჯაა, ამაზე ხომ საერ-

თოდ გული მერევა. ხშირად ჩავილაპარაკებ ხოლმე ჩემთვის — „რას იტყვარჭები, დატკბი ცხოვრებით და დაახვიე აქედან“.

### საუბარი ქუჩის კალაქთან

რა ხანია, ის მანანალა ძაღლები მესიზმრება — ამდენჯერ ახლობელი ადამიანი არ მინახავს სიზმარში. ვერ ვიტყვი, რომ ჩემთვის ძალიან ადამიანზე მნიშვნელოვანი გახდა, თანაც ქუჩის მანანალა ძაღლი, მაგრამ რაც უნდა უცნაური იყოს, მაშინ ის კვირები, ის დაწყევლილი დღეები ასე იყო. ნაუცბადევიად მომიხდა ოთახის ქირაობა, დრო არ იცდიდა, ფულიც ცოტა მქონდა დარჩენილი. როგორც კი ვნახე თითქმის ნახევრად მინის ქვეშ მოქცეული ოთახი, ვინრო, მოგრძო სარკმლით, მაშინვე დავეთანხმდი. იმ პატარა სარკმელში კი მხოლოდ ქუჩაში მიმავალი ადამიანების ფეხები ჩანდა. თუ წვიმდა და სარკმელს გავალბდი, ასფალტიდან ასხლეტილი წვიმის შხეფები სარკმლიდან შიგნით იღვრებოდა. ის იყო, შევეხიზნე უცხო ადამიანებს და მესამე დღეს ქვეყანა ჩაიკეტა, ადამიანებს აეკრძალათ ქუჩაში გასვლა ამ ავადსახსენებელი პანდემიის გამო. შევჩრი სამ სრულიად უცხო უკრაინელს. კარგი ხალხი აღმოჩნდა, ჩემდა საბედნიეროდ. სხვაგვარად, გაფიქრებაც მზარავს, რა დღეშიც აღმოვჩნდებოდი. წესიერი ხალხი იყო, დაღევა უყვარდა. თავიდან მეც ავყევი, რამდენიმე დღე ვილოთავე, მერე კუჭმა შემანუხა და შევევთი. ისინი კი მეტობიშვებოდნენ და აგრძელებდნენ...

ჩავიკეტებოდი ჩემს მინურ-ოთახში, არც კითხვის თავი მქონდა, არც წერის — ინტერნეტიც მოსაბეზრებელი გახდა, ამდენი მძიმე ინფორმაციით გაძეძგილი. სწორედ მაშინ მომაკითხეს პირველად — ჯერ ერთი მოვიდა, რაღაცნაირად მოაშტერდა ჩემი ოთახის სარკმელს, ნამოხვტი, გავუღე, მოვეფერე, გავედი სამზარეულოში, უამრავი საჭმლის ნარჩენი იყო, გავუტანე ბლომად და ხელის აწევით ღია სარკმლიდან ფეხებთან დავუყარე. ჭამა, ვესაუბრე, ძაან სევდიანი თვალებით მომაშტერებოდა ხოლმე. მერე წავიდა, მე ძლიერი ძილის ნამალი დავლიე და თან მეძინა, თან მთელი შიგნული მენვოდა, საშინელება იყო. საღამოსკენ ფხაჭუნმა გამაღვიძა. ავიხედე, ახლა სამნი იყვნენ, სამივეს თავი ჰქონდა შემოყოფილი იმ პატარა, მოგრძო სარკმელში. გავედი, ისევ გამოვუტანე ნარჩენები სამზარეულოდან და ბლომად დავუყარე, ბევრი ველაპარაკე. ასე გრძელდებოდა დღეები — მაკითხავდნენ, ვაჭმევდი, ველაპარაკებოდი. დღეები უსაშინლესად დაგრძელდნენ, მე კი ყველაფრის ხალისს ვკარგავდი, გარდა ქუჩის ძაღლებთან ლაპარაკისა და ალაგ-ალაგ მაგრად გამოთრობისა.

## როსტომ ჩხეიძე როგორ შევკლავ ბაბექცე, უფალო?

რომანი ფრანცისკე ასიზელის სვინაქსარად

დონ კიხნოტის თავგადასავალი სანჩო პანსას რომ აღენერა, ის ყოფილიყო მისი ბიოგრაფოსი.

ასე რომ მომხდარიყო: ცხადია, თბრობას გამოეცლებოდა პაროდიული პათოსი და რომანტიკულ საბურველში გახევოდა, მთავარი გმირი გარეგნულადაც იმ ბუმბერაზულ ხასიათად რომ წარმოდგებოდა, რაც მიველ დე სერვანტესს თავისდაუნებურად მაინც გამოუვიდოდა — კომიკური პერსონაჟი თვალსადახრელში ტრაგიკულ გმირად რომ გარდაესახებოდა და სიკეთის, უანგარობის, სიალლის, თავგანწირვის სიმბოლოდ განზოგადდებოდა, დაცემული, დაკინებული სინამდვილის ამალგებულს რომ ესწრაფოდა, დაკარგული იდეალების აღდგენას და კაცობრიობის შეგულიანებას ამ და მხოლოდ ამ გზაზე სვლისათვის.

თავისთავად საგულისხმოდ გამოიყურება, არა, სანჩო პანსას ბიოგრაფოსობა?! ყოველ შემთხვევაში რაღაც ამგვარი მხატვრული ჩანაფიქრი მიიზიდავდა ნიკოს კაზანძაკისს, რომელიც „ღვთის გლახას“ — ფრანცისკე ასიზელის ცხოვრების ქრონიკას — სწორედ ამ თვალთახედვით შეადგენდა, თითქოს სანჩო პანსას დაენეროს დონ კიხნოტის ბიოგრაფია.

ლეონე, ვინც პერსონაჟი გახლდათ ფრანცისკე ასიზელზე შექმნილი ბიოგრაფიული გადმოცემებისა, ნიკოს კაზანძაკისის ხელთ მთხრობელად უნდა გარდასახულიყო და კვალში ჩადგომოდა თავის გმირს — ახალი დროის მათედ, ლუკად, მარკოზად თუ იოანედ, რაკილა ფრანცისკე ახალი დროის იესო გახლდათ, ქრისტიანობის პირველსაწყისის, დასაბამის აღმდგენელი, და სახარების გადამსწელი იმ პასაჟზე, რომელიც გვაუწყებდა მაცხოვრის ქადაგებას მთის თხემზე.

ნიკოლოსი მაკაველი თხზულებაში „მსჯელობანი ტიტუს ლოიუსის შესახებ“ აუცილებლობად რომ მიიჩნევდა რელიგიების განახლებას და მათ დაბრუნებას თავიანთ პირველსაწყისთან, წმინდა ფრანჩესკოს ღვანლს ასე წარმოაჩენდა:

უიმიხოდ ქრისტიანობა საბოლოოდ ჩაქრებოდაო.

რატომ და: სიღარიბის გზითა თუ ქრისტეს მაგალითით მიაქცია ამ უჩვეულო ადამიანმა მორწმუნეთა გულები ამ მოძღვრების პირველსაწყისისა ანუ ნამდვილი ქრისტიანობისაკენ და ასე იხსნა რელიგია, რომლის შენარჩუნებაც ეკლესიას უკვე აღარ შეეძლო. ემილ ჟებარი მონოგრაფიულ თხზულებაში „მისტიური იტალია“ (ქართულ კულტურასაც რომ შეემატებოდა ბაჩანა ბრეგვადის წყალობით) მაკაველის ამ ამონარიდს რომ მოიხმობდა, თავის მხრივ ფრანცისკანელი მოძღვრების უმთავრეს ნიშნებს გამოარჩევდა:

აზრის თავისუფლებას, სიყვარულს, გულმონყალებას, ნათელ და მხიარულ განწყობილებას, სიმარტივესა და უბრალოებას, მორწმუნეთა სულში ნაზი და კეთილშობილური ვნების განმამტკიცებელს.

და გამოკვეთდა იტალიური ქრისტიანობის ორიგინალურობას, რაც ესოდენ მკვეთრად განასხვავებდა მას:

ბიზანტიური ფარისევლობისაგან, ესპანური ფანატიზმისა და გერმანული თუ ფრანგული სქოლასტიკური დოგმატიზმისაგან, ყოველივე იმისაგან, რაც სხვა ქვეყნებში თრგუნავდა და ცოტა არ იყოს აჩლ-



უნგებდა კიდევ ცნობიერებას — და დახვეწილი მეტაფიზიკა, ნატიფი ღვთისმეტყველება, კაზუსტიკა, სინანულისა თუ დისციპლინის სიმკაცრე, ღვთისმოსაობის უკიდურესი სკრუპულოზურობა ამიტომაც აღმოჩნდებოდა სრულიად უცხო იტალიისათვის.

ამიტომაც არ ეშინიათ იტალიელებს ღვთისა — რაკილა მისი სიკეთისა და გულმონყალებისა ეიმედებათ.

და არც ეკლესიისა ეშინიათ — ვინაიდან თვითონვე ჰქმნიან საკუთარ ეკლესიას.

და ეს ყოველივე იმ კაცის წყალობით, მდიდარი ვაჭრის მემკვიდრე რომ იქნებოდა, ფრანგულ რომანებზე, ფაბლიოებსა და სირვენტებზე აღზრდილი, რაინდობასა და უჩვეულო ავანტიურებზე მეოცნებე, მომლხენი, უზრუნველი, თავისი პატარა ქალაქ ასიზის ქუჩებში სიმღერ-სიმღერით სიარული და მეგობრებთან ერთად ღრიანცელი ყველაფერს რომ ერჩივნა, ვიდრე უეცრად უცნაური ხილვები მოეძალეობდა, აღარ მოასვენებდა და შემოფოტებული მიუგებდა იდუმალ ხმას:

— რას მიბრძანებ, რა ვქნა, უფალო?

და კიდევ ჩაესმოდა იმ იდუმალი ხმის კარნახი:

— რაც აქამდე ასე გიყვარდა ამქვეყნად, სამუდამოდ უნდა შეიძულო და მიატოვო!

და სწორედ ამ დიდი ფერისცვალებით, დიდი სულიერი შემოტრიალებით უნდა დაწყებულიყო ნიკოს კაზანძაკისის რომანი „ღვთის გლახა“, „ინტელექტი“ მისიანაც რომ დაამტკიცებდა თავის 25-წლოვან იუბილეს, ქართულ სამოსელს კი მოარგებდა მაია კაკაშვილი, ვინც ერთი მხრივ კონსტანტინოს კავაფისს გამოუჩნდებოდა გზის გამკვლევად პნკარედული თარგმანების გამოისობით — მათზე რომ ამოიზრდებოდა იზა ორჯონიკიძისა და მარიამ ნიკლაურის პოეტური ვერსიები — და მეორე მხრივ კი ქართულ კაზანძაკისიანას დასდებდა ღვანლს, „ღვთის გლახა“ უკვე მესამე რომანი რომ არის იმ ეპიკურ ქმნილებათა შემდგომ: „ქრისტე კვლავ ჯვარს ეცმის“ და „ალექსის ზორბასის ცხოვრება“ — მალე კიდევ ერთ რომანს რომ უნდა ველოდეთ. რომანში ჩართულ ლექსებს, ასე დამამშვენებელთ თბრობისა, ქართულად აამეტყველებდა გიორგი ლობჯინიძე, რომელიც კიდევ ურედაქტორებდა „ღვთის გლახას“ და მისი გულმოდგინება სასიკეთოდ წაადგებოდა რომანის ქართულ ორეულს.

ქართული კაზანძაკისიანა... ეს შესიტყვება შემთხვევით არ გაჩენილა, რადგან ესეც ის მწერალია, რომლის თხზულებათა სრული კრებულიც უნდა გვექონდეს ქართულად, ფრანცისკე ასიზელის ცხოვრების ქრონიკას კი — გარდა პირწმინდად ლიტერატურული მნიშვნელობისა — საზოგადოებრივ-რელიგიური მნიშვნელობაც ენიჭება, როგორც დიდებულ პანორამად წარმომჩენს ქრისტიანობის იმ სიღრმისა, იმ დაფარული შრეებისა, იმ მიჩქმალულ-მიბინარებული საწყისისა, მაცხოვარი რისთვისაც მოგვევლინებოდა და გადაგვიყვანდა სრულიად ახალ სულიერ განზომილებაში, რასაც თანდათან დაეზვინებოდა უამრავი განმარტება, რომლის მიღმაც უკვე ძნელად გაიჩეოდა ის პირველსაწყისი, ის დასაბამი, ის სწინდე, პირველი ქრისტიანები რომ აპყოლოდნენ.



დასასრული

იმ პირველქრისტიანად შეიგრძნობდა თავს ფრანცისკე ასიზელი — ემილ ჟებარის თქმისა არ იყოს — ხანგრძლივი ძილიდან რომ გამოიხმობდა ჭეშმარიტად უპოვართა ღმერთს, რომელიც კვლავ გაუღიმიდა უმწეოთა და მიუსაფართ.

და ეს იმიტომ, რომ: ფრანცისკე ასიზელი ყოველგვარი თეოლოგიისა და სქოლასტიკის, ყოველგვარი ბრძოლისა და მწვალებლობის გარეშე განაახლებდა ქრისტიანობას, რელიგიურ თავისუფლებას მიანიჭებდა თავის საუკუნეს და ახალ ხელშეკრულებას დადებდა ღმერთსა და მორწმუნეთა შორის.

ბიბლიური რეალობისა და ტრადიციისა არ იყოს, ეს განმაახლებელი მოძრაობა უნდა დაწყებულიყო არა რომაა თუ იტალიის სხვა დიდ ქალაქებში, არამედ მიყრუებულ მხარეში, თითქოს სრულიად რომ მოწყვეტოდა ქვეყანას და თავის წვენიში იხარშებოდა, და სწორედ ამ მხარეს, უმბრიის ხეობას უნდა დაებრუნებინა ევანგელური მოძღვრება იტალიისათვის, ფრანჩესკოს ქადაგებანი მართლაც რომ ყვავილებივით უნდა მიმოზნულიყო და თანდათან მთელს იტალიასა და ევროპას გადაწვდომოდა, ქადაგებანი — საგალობელნი ყველასა და ყველაფრის მიმართ აღვსილნი, წმინდანისათვის დებისა და ძმებისაგან რომ არ განირჩეოდნენ: ხე იქნებოდა, ბალახი, ჭია, ცეცხლი, ქარი, წვიმა, ტოროლა, მგელი, წყალი, თევზი, ქვა, რკინა, სიკვდილი...

და რაც მთავარი და უმთავრესია: ისიც და მისი მიმდევარნიც ამქვეყნიურ სიამეთ რომ განუდგებოდნენ და უპოვარობას გამოაცხადებდნენ იდეალად, თავიანთი სულის ხსნას კი არ ესწრაფოდნენ, არამედ ხსნას ადამიანთა მოდგმისა, რადგანაც სულიერი მოღვაწეობის გზად დაეხმობა მოქმედება და არა მედიტაციებში ჩაძირვა, სოფელ-ქალაქად დაუმცხვრალი სიარული და არა განმარტოება.

რომელიმე უცხოელი მკვლევარი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას თუ დაუკვირდება ამ თვალთახედვით, მის მიერ გასულიერებულ ბუნებასა და განცდა-შეხედულებას: მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერი, როცა ვარ შენუხებულიო, — შესაძლოა „აღუდა ქეთელაურის“ შემოქმედი ფრანცისკანე თელავს კი აღიქვას, მითუმეტეს „ჩემი ვედრების“ ამ სტრიქონებს სულაც ფრანჩესკე ასიზელის საგალობლის ფრაგმენტად დაიბეჯითებს:

ბალახი ვიყო სათიბი,  
არა მწადანი ცელობა;  
ცხვრადვე მამყოფი ისევა,  
ოლონდ ამშორდეს მგელობა.

და ეს იმიტომ, ვაჟა-ფშაველაც ქრისტიანობის დასაბამიერის აღდგენას რომ მიეღობოდა მთელი არსებით და ძალდაუტანებლად გასდებდა იდუმალ ხიდს ასიზელ წმინდანთანაც...

და ადვილი შესაძლებელი გახლდათ ეს სტრიქონები ეპიგრაფადაც მოხვედრილიყო ნიკოს კაზანძაკისის „ღვთის გლახის“ თავფურცელზე...

და თუ ეს არ მოხდა, ჩვენთვის მაინც ვიცოდეთ, ვაჟა-ფშაველას ის ვედრება რომ ჩაინთრავს ბერძენი მწერლის რომანის მთავარ სათქმელს, ერთდროულად რომ შეეყურებთ ქართველ პოეტსა და იტალიელ მოძღვარს, რომელიც თავისი მისიონერული მოღვაწეობის გზაზე უნდა გადაწყდომოდა ევანგელისაგან გასწრაფებულ წმიდა ოჯახსაც, იოსები რომ მიუძღოდა ურემს, რომელზეც მარიამი ყრმას ძუძუს აწოვებდა.

და ეს უნდა ყოფილიყო კაზანძაკისის რომანის ერთი ყველაზე ღრმა და მრავლისმეტყველი პასაჟი, ამოზრდილი იმ ისტორიულ ეპიზოდზე, ფრანჩესკო ასიზელი უამრავ ადამიანს რომ მოუყრიდა თავს მაცხოვრის დაბადების რიტუალზე დასასწრებად — ზუსტად რომ გაიმეორებდა სახარებისეულ სურათს ყველა დეტალისა და ნიუანსის გათვალისწინებით, რათა ღვთის დაბადების უშუალო მონაწილე გახდებოდა თვითული მორწმუნე.

იესო ხომ ყოველ წელიწადს გადიოდა ამქვეყნიური მოღვაწეობის გზას დაბადებიდან ჯვარცმამ-აღდგომამდე, ოლონდ გადიოდა მანამდე, ვიდრე ქრისტიანები ფარისევლურად კი არ ეთავყვანებოდნენ, არამედ ბოლომდე შეიგრძნობდნენ ევანგელურ ჭეშმარიტებებს...

და რაკილა მინავლებულიყო ჭეშმარიტი რწმენა, ფრანჩესკო ასიზელს ხელშესახები უნდა გაეხადა შობის სურათიც, და ამ მადლის წყალობით ყოველწლიური მისტერიაც იესო ქრისტესი კვლავინდებურად დაემკვიდრებინა.

შეენწყვიტა ყოველწლიური აღდგომა მაცხოვარს?

ფრანჩესკო ასიზელის წყალობით კვლავ განაახლებდა.



ამ გადმოსახედიდან ნიკოს კაზანძაკისის გამორისთვისაც წმინდა საფლავის გამოხსნა სულაც არა ნიშნავდა ჯვაროსნულ ლაშქრობას აღმოსავლეთში, არამედ:

გამოხსნას საკუთარი სულისა!..  
ესეც მაცხოვრის წმინდა საფლავი — თვითული ადამიანის სული.

თვითონ ფრანცისკე ამ რწმენითა და მადლით აღვსილიყო და მონაფეთა და მიმდევართაც ამას შთააგონებდათ:

იცოდეთ, შიდა ყურები, შიდა თვალები და შიდა ენაც გვაქვს. ისინი მინისგან არაა გამოძერწილი, ცეცხლისაა. მათ მოუხმინეთ, მათით იყურეთ და მათით ილაპარაკეთო.

მარგალიტი მარგალიტზე მოედინებოდა მის ბავთავანს.

— წმინდა სიყვარულო, ღვთის სიყრმის შვილო, ხელეებს აღვაპყრობ, მომისმინე, გულელები გაგვიფართოვე, რათა ყველა ადამიანი დაიტოვოს — კეთილიცა და ბოროტიც, რათა ყველა ცხოველი დაიტოვოს — შინაურიცა და გარეულიც, ყველა ხე — ნაყოფიერიცა და უნაყოფოც, ყველა ქვა, მდიწარე და ზღვა. ყველანი ძმები ვართ, ყველას ერთი და იგივე მამა გვყავს და ყველანი უკან, მამისეულ სახლში, დასაბრუნებელ გზას ვადგავართ! — ეტყოდით ფრანცისკე.

— ხალხის აღდგომა, აი რას ნიშნავს ქრისტეს აღდგომა, — ეტყოდით ფრანცისკე.

— დრო, ღვთის ერთგული მეურმე, გვიჩვენებს გზას, — ეტყოდით ფრანცისკე.

— ყველაფერი სასწაულია. რა არის წყალი, რომელსაც ვსვამთ, მიწა, რომელზეც დავაბიჯებთ, ღამე, რომელიც ყოველ საღამოს თავისი ვარსკვლავებით ჩამოდის, მზე, მთვარე? ყველაფერი სასწაულია. ერთი უბრალო ხის ფოთოლიც, სინათლეზე რომ გახედოთ, რამხელა სასწაულია! მასზე ჯვარცმამა დახატული, მეორე მხრიდან თუ შეაბრუნებ: აღდგომა! ეს ხის ფოთოლი არ არის, ჩემო ძმებო, ხის ფოთოლი არ არის, ჩვენი გულია! — ეტყოდით ფრანცისკე.

— შვიდი სართული აქვს მიწას, შვიდი — ზეცას, და ღმერთს მაინც ვერ იტყვს, ადამიანის გულმა კი დაიტია. მამ ჭკუით

იყავით, ადამიანის გულს ნუ დაკოდავთ, რადგან ამით შეიძლება ღმერთს მიაცენოთ ჭრილობა, — ეტყოდით ფრანცისკე.

— ვაი სოფელს, სადაც ყველანი წმინდანები არიან, და ვაი სოფელს, რომელსაც ერთი წმინდანიც კი არა ჰყავს, — ეტყოდით ფრანცისკე.

— მოვა დღე, როცა ცხვრები და ლომები დამეგობრდებიან. მამ ნუ გადაირევით. ჩვენს გერბზე ერთი პატარა, პანანინა, უბ-

და ვაჟა-ფშაველას სიკვდილის ის დითორამბიცი, მის არსებობას სიცოცხლის მშვენიებად რომ აღიარებდა, კვლავაც ასიზელი წმინდანის საგალობლის ტაქეებად შეიძლება მივიჩნიოთ.

ხოლო სიყვარულის არსში ჩასანვდომად რომ მოუწოდებდა ადამიანებს ფრანცისკე, უბეჯითებდათ, რომ:

სიყვარული მხოლოდ თანაგრძობასა და სიკეთესთან უნდა გაგვივიციებინა.

და ეს იმიტომ, რომ: თანაგრძობაში ორი მონაწილეობდა — ის, ვისაც სტკიოდა, და ის, ვინც თანაუგრძნობდა.

და სიკეთეშიც ორი — ის, ვინც გასცემდა, და ის, ვინც იღებდა.

სიყვარული კი ერთი გახლდათ, ორი ერთდებოდა და ერთი ხდებოდა, მე და შენ აღარ განირჩეოდა, ქრებოდნენ. და „მიყვარს“ სხვას არას ნიშნავდა, თუ არა: ვიკარგები.

ასე და მხოლოდ ასე უნდა შერწყმოდა და შენივთებოდა იესო ქრისტეს, თავით ბოლომდე რომ უნდა განეცადა დედამიწაზე დაბადებული უფლის ბიოგრაფია და ჯვარცმაც თავის თავზე გადაეტანა — დასისხლიანებული ხელ-ფეხით.

და უკანასკნელ სიტყვებზე ამოეთქვა: უპოვარება, სიმშვიდე, სიყვარული.

ნიკოს კაზანძაკისი ფრანცისკე ასიზელზე შექმნილი ბიოგრაფიული ქრონიკებიდან გამომწარავდა ყოველგვარ ცნობას, ყოველგვარ „წვრილმანს“, რათა ახალი დროისათვის შესაფერისი ქრონიკა შეედგინა, ბიოგრაფიული რომანის მსგავსი, ფინალურ აკორდად ყველაზე ზუსტ, ყველაზე ნიშანდობლივ, ყველაზე შემძვერე და შთამბეჭდავ სურათს რომ იპოვნოდა:

იმ წმინდა წამს, როდესაც ბერი ლეონე თავის სენაკში თავდახრილი წერს ფრანცისკე ასიზელის ამ უკანასკნელ სიტყვებს და თავის საყვარელი მოძღვრის გახსენებაზე ტირილს ვერ იკავებს, ერთი ბედურა უნდა მოფრინდეს და ფანჯარაზე მიუკაკუნოს — ფრთებგაღუმშულმა, აძაგაგებულმა.

და ლეონე რომ ადგებოდა, რათა მისთვის სარკმელი გამოეღო, კიდეც უნდა მიმხვდარიყო!

ეს ხომ ის გახლდათ, მამაო ფრანცისკე, ბელურად შემოსილი.

ცხოვრების ქარგა ფრანცისკე ასიზელისა — ღვთის გადამრჩენისა კაცში და კაცის გადამრჩენისა ღმერთში — სხვაგვარად ანკი როგორ უნდა დაგვირგვინებულყო!..

და ლეონე რომ ადგებოდა, რათა მისთვის სარკმელი გამოეღო, კიდეც უნდა მიმხვდარიყო!

ეს ხომ ის გახლდათ, მამაო ფრანცისკე, ბელურად შემოსილი.

ცხოვრების ქარგა ფრანცისკე ასიზელისა — ღვთის გადამრჩენისა კაცში და კაცის გადამრჩენისა ღმერთში — სხვაგვარად ანკი როგორ უნდა დაგვირგვინებულყო!..




და ლეონე რომ ადგებოდა, რათა მისთვის სარკმელი გამოეღო, კიდეც უნდა მიმხვდარიყო!

ეს ხომ ის გახლდათ, მამაო ფრანცისკე, ბელურად შემოსილი.

ცხოვრების ქარგა ფრანცისკე ასიზელისა — ღვთის გადამრჩენისა კაცში და კაცის გადამრჩენისა ღმერთში — სხვაგვარად ანკი როგორ უნდა დაგვირგვინებულყო!..

და ლეონე რომ ადგებოდა, რათა მისთვის სარკმელი გამოეღო, კიდეც უნდა მიმხვდარიყო!

ეს ხომ ის გახლდათ, მამაო ფრანცისკე, ბელურად შემოსილი.



### რიხარდ დემელი

#### ჯაფხულის საღამო

დასვენებულა ველ-მინდორში წმინდა ჰაერი; შორს ორთქლიანი ტბორი მოჩანს, ელავს ლერწამი, მზე უკანასკნელ ნიშანს ტოვებს, რალაცნაირი, უფერულ ღრუბელს ფეროვნებას აძლევს მენამულს.

ზარის მოინვეს ხმიანობა მდებლობიდან, მწყემსი თავს უყრის ნება-ნება სამწყსოს დამაძლარს; ტყემ გაყურება ვერ მოასწრო, ისე შებინდა, არე თბილ სურნელს ცვარ-ნამისას ზანტად დააცხრა.

ყოველი ღერო უძრაობას აუტანია, ჩუმდება ზარი, თითქოს რეკვა აღიკვეთაო; ჭრიჭინებია დამღერიან ფსალმუნს თავიანთს. მიიღე, გულო, ეს სიმშვიდე საყოველთაო!

### პეტერ ჰუხელი

#### ანგალოზები

კვამლია, ჩრდილი მალა ინევა, მიემართება ოთახის გამჭოლ, სად დედაბერი ბატის ფრთის ძონძით უღონო ხელში წმინდს ღუმლის შვერილს. ცეცხლი ანთია. არ დამივიწყო, ჩურჩულებს მტვერი.

ნოემბრის ნისლი, წვიმა, წვიმა, და სძინავთ კატებს. ცა შავბნელია და მდინარე ალაფებული. სიცარიელეს დრო სდის პირიდან, დასდის თევზების ფარფლებს, ლაყურებს და ცივ თვალებსაც ანგელოზთა, ჭვარტლიანი ფრთებით ბინდბუნდის იქით კაენის ასულებთან რომ ეშვებიან.

კვამლია, ჩრდილი მალა ინევა, მიემართება ოთახის გამჭოლ. ცეცხლი ანთია. არ დამივიწყო, ჩურჩულებს მტვერი.

### პაულ ცელანი

#### სიკვდილის ფუბა

შერიჟრაჟების რძე შავფერი ვსვამთ მას საღამოს ვსვამთ შუადღეზე ვსვამთ დილით და ღამდამეობით ვსვამთ გადაბმულად ჩვენ ვთხრით სამარეს ჰაერში ვინროდ თავს იქ არ იგრძნობ სახლში კაცი დგას იგი გველებს ეთამაშება ის ინერება შეღამებულზე ინერება გერმანიაში ეს ოქროსფერი თმა მარგარიტა ის ინერება და გადის გარეთ და ვარსკვლავები კრთიან ის უსტვენს თავის ქოფაკებს ის უსტვენს თავის იუდეველებს მიწაში თხარეთ სამარეო ის ახლა რამე საცეკვაო დაფუკრათ ბრძანებს

შერიჟრაჟების რძე შავფერი შენ გსვამთ ხოლმე ღამდამეობით გსვამთ ხოლმე დილით შუადღეზე და გსვამთ საღამოს გსვამთ გადაბმულად სახლში კაცი დგას იგი გველებს ეთამაშება ის ინერება შეღამებულზე ინერება გერმანიაში ეს ოქროსფერი თმა მარგარიტა

ეს შეფერფლილი თმები სულამით ჩვენ ვთხრით სამარეს ჰაერში ვინროდ თავს იქ არ იგრძნობ

იძახის უფრო ღრმად თხრიდნენ ერთნი მეორენი კი სამღერს უკრავდნენ იძრობს წელიდან რკინას და იქნევს ცისფერთვალება უფრო ღრმად ვჭრიდეთ ბარებით ერთნი მეორენი კი საცეკვაოს ვუკრავდეთ ისევ

შერიჟრაჟების რძე შავფერი შენ გსვამთ ხოლმე ღამდამეობით გსვამთ ხოლმე დილით შუადღეზე და გსვამთ საღამოს გსვამთ გადაბმულად სახლში კაცი დგას ეს ოქროსფერი თმა მარგარიტა ეს შეფერფლილი თმები სულამით იგი გველებს ეთამაშება

უტკბესად უნდა უკრავდეთო სიკვდილს სიკვდილი ოსტატია გერმანიიდან ჩამოჰკარითო უფრო მრუმედ ვიოლინოებს მერე კი კვამლად აინევთ მალლა სადაც სამარე გელით ღრუბლებში ვინროდ თავს იქ არ იგრძნობ

შერიჟრაჟების რძე შავფერი შენ გსვამთ ხოლმე ღამდამეობით გსვამთ შუადღეზე ხოლმე სიკვდილი ოსტატია გერმანიიდან და გსვამთ საღამოს და გსვამთ დილით გსვამთ გადაბმულად სიკვდილი კიდეც ოსტატია გერმანიიდან ცისფერთვალება ის ტყვიას გარტყამს ზუსტად გახვედრებს სახლში კაცი დგას ეს ოქროსფერი თმა მარგარიტა თავის ქოფაკებს გვისევს სამარეს გვაძლევს ჰაერში იგი გველებს ეთამაშება ოცნებაში სიკვდილი კიდეც ოსტატია გერმანიიდან

ეს ოქროსფერი თმა მარგარიტა ეს შეფერფლილი თმები სულამით


### ინგებორგ ბახმანი

#### თქვი, სიყვარულო

გხდის ნიავქარი მსუბუქად შლაპას, და გებურება თავზე ღრუბლები; საით გენევა გული, ახლებურ რა მეტყველებას იზნევ ბაგეზე? ატეხილია ირგვლივ ცახცახა, ზაფხულს ასტრების გაუჩენია ნთება და ქრობა, და, თვალმოჭრილი და არეული, თავს უკან აგდებ რის მოლოდინში —

თქვი, სიყვარულო!

აგერ, ფარშავანგს ბოლო გაშლია, დაიფხორება მტრედი, მატულობს მისი კრუტუნით სავსე ჰაერი, ყვირის მამალი იხვი, ქვეყანა ველურ თავლს იცხებს; დაკვანულ პარკშიც ოქროს მტვერია ყვავილნარებზე.



მარჯნის სარეცელს მონყურებული, მთელ გუნდს წინ უსწრებს ლაჟღაჟა თევზი. ხტის ღრიანკალი ხმოვან ქვიშაში. საყვარლის სუნს გრძნობს შორიდან ხოჭო; ეს ალლო მომცა, ჯავშნის ქვეშ ფრთებზე კრთომას მივუხვდე და შორეული მარწყვის ბურქისკენ ავილო გეზი!

თქვი, სიყვარულო!

აუბნდა წყალი, ტალღამ მოავლო ხელი ტალღას, მსხმოიარობით სკდება ყურძენი. როგორ მხნედ ტოვებს სახლს ლოკოკინა!

ქვა ქვას არბილებს, ასათუთებს!

თქვი, სიყვარულო, გამაგებინე: მთელი ეს მოკლე შესაზარელი დრო ნუთუ ფიქრებს დავანებო და სიყვარული ვერც შევიტყო და ვერც გავილო? რას ვფიქრობთ ამდენს, თუკი გვენატრობენ?

ამბობ, სხვა გონი დავგნდობიაო... ნულარას მეტყვი. მე ვხედავ, ყოველ ცეცხლს როგორ გადის საღამანდრა. არც რამე ზარავს, არც რამე სტიკვა.

### ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი

#### ბამოკითხვა შუალამისას

სად, ჩემთან ხელიხელ მყოფი, თანამგზავრო, შემორჩი, რა კამარებში დაგიდის, ვიდრე კოშკებზე ზარებს ეჩვენებათ, რომ დაიმხვრენენ, გული?

სად, რომელ ნაკაფიანს გარბიხარ შენ, ვისაც ყვრიმალზე ვეფერები, რა მათრობელა ღამის ბალახი გეტმასნება, ფიქრიანო, ან რა მარჩხობის ხლართებმა შეგისკვნეს ფეხები?

სად, ღრუ ცა რომ ნაცრდება, საყვარელო, მიშრიალეც ოცნების ლელქაში, ხელს უსვამ კარებს და აკლდამებს, რის მახარობელთან გაცვალეს კოცნები შენმა მთრთოლარე ტუჩებმა?

სადაა ფლეიტა, სმენით რომ ეკვრები, სადაა გოდება, შენი თმის უჩუმრად ამწენი, და ვნევიარ დადამბლავებულივით და ვისმენ და ვფხიზლობ, და რას მიაქვს საით შენი ბუმბული?

სად, რა ტყეებში ნებაგს გაგაბას, ჩემთან ხელიხელ მყოფი, თანამგზავრო, მაგ შენს ოცნებას?

თარგმანი ნიკა ჯორჯანელმა



რაინერ მარია რილკე

თეთრი ღამეების სასწაული

ასეთი თეთრი ღამეებიც ხომ არსებობენ — სასწაულები ვერცხლისფერად რომ იდებენ ბინას და ვერცხლისფერი შუქი დასდით ზამთრის გორაკებს.

შორ მანძილზე კი მინდვრები და ნიაღვარები ჩანან და თითქოს ალმასების მტვერი მოჰყრიათ — ისე ბრწყინავენ.

ღამისა თვალი

დამივსე თვალი: შემოიღია, მაინც რომ გნახო, დამიხსენე ყური: მე მოგისმენ სულით და ხორციით,

გადამამტვრიე ეს მკლავები — მე შევძლებ მაინც, რომ ჩემი გული, როგორც ხელი, ისე მოგვხიო,

ჰოჯა

შენ ჩემგან ნასვლას ცდილობ, ჟამო, დროის საათო, და შენი ფრთები ჭრილობებზე შოლტივით მირტყამს,

მეფე

მეფე თქვამეტი წლის არის მხოლოდ, თქვამეტი წლისა ტახტზე ავიდა. თვალს ისე ავლებს თავის სამეფოს,

თარგმანი ირმა შიოლაშვილი

ჰოჯის სიკვდილი

ის იწვა. მისი ფერმკრთალი და უარყოფელი სახე კი ბალიშს მიყრდნობოდა, — ირიბად მიდგმულს,

მათ კი, ვინც მას სიცოცხლეში ხედავდნენ, არც კი იცოდნენ, ერთი მთლიანობა რომ უკვე ნახეს — რამეთუ წყლები, მდელოები და უფსკრულები —

ო, მისი სახე იყო ერთი მთლიანი სივრცე, რომელიც მისკენ მიისწრაფვის ახლაც და ცდილობს მის ხელმეორედ მოპოვებას და დაბრუნებას.

მეშინია ადამიანთა სიტყვის

ისე ძალიან მეშინია ადამიანთა სიტყვის. ყველაფერს ამოთქვამენ გარკვევით, ლიად. ლაპარაკობენ დასაწყისზე და დასასრულზე,

მაშინებს მათი მიზანი, რომ სხვა დაამცირონ. იციან, გუშინ რა იყო და ხვალ რა იქნება. ქვეყნად არცერთი მთა არ მოსწონთ.

ყოველთვის მინდა, შევუძახო: „შორს დარჩით-მეთქი, ლამაზ სიმღერებს ვუსმენ-მეთქი, არ გნახოთ ახლოს, თქვენ რომ ეხებით, შემდებთან და მუნჯდებიან —

ვცხოვრობ ხასიათით ჩემს შრეებში

ვცხოვრობ ხესავით ჩემს შრეებში, რომ მრავლდებიან და გარს უფლიან ჩემს საქმეებს, მიზნებს და დარდებს,

ვუვლი გარშემო ნრეებს უფალს, უძველეს გოდოლს, ვუვლი ათასი წლის მანძილზე, დროს ასე ვდევნი, და ჯერ არ ვიცი ვინ ვარ — ერთი დიდი სიმღერა თუ ქარიშხალი, ან, უბრალოდ, ვარ შევარდენი.

შეხვედით

შეხვედით, როგორ შეეზარდნენ ერთიმეორეს: არამინიერ გრძობად დასდით ძარღვში ყოველი. როგორც ღერძები, ისე უთრთით სხეულები და გარს უფლით ძალა — ცეცხლოვანი და მიმზიდველი.

სწყურიათ — სასმელს იწოდებენ სიყვარულისგან. კარგად შეხედეთ, უხილავსაც როგორ ამჩნევენ. მიეცით ნება — ერთმანეთში რომ ჩაიძირონ ერთუთრის გადასალახად და გადასარჩენად.

ბოლო ნარმოცხანა


სიკვდილი არის დიდი. ჩვენ კი, პირმცინარენი, მას ვეკუთვნივთ და მას ვუზივართ უხილავ პეშვში, მაშინ, როდესაც გვგონია, რომ ცხოვრებით ვტკბებით, ის ბედავს, თავი შეგვახსენოს — იტიროს ჩვენში.

აჰაჰა

ისე ძალიან დაიძალა გისოსებს გასწვრივ მოძრაობისგან მისი მზერა, რომ ვერ ამყარებს კავშირს საგნებთან, და აღიქვამს მხოლოდ გისოსებს — რომლის იქითაც არ არსებობს სხვა რამ სამყარო.

რბილად მიმოდის, ადგამს მოქნილ, ძლიერ ნაბიჯებს, პატარა ნრეებს უფლის ირგვლივ უხმოდ, ეულად, ძალაუფალის ცეკვას მოჰგავს ეს სიარული, წრის შუაგულში დიდი ნება გაყურებულა.

მხოლოდ ხანდახან თვალის გუგის იწვევა ფარდა, ისრუტავს სურათს, ეს სურათი აფხიზლებს თვალებს, და ეს სურათი კიდურების სიჩუმის გავლით მიდის გულთან და არსებობას იქვე ამთავრებს.



ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურის,
საორბისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
საქართველოს მინისტრის სახლი
რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ჟურული
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com
ISSN 2346-7940
9 772346 794004